

ମୁଦ୍ରଣ



ଲୋକାନ୍ତିଶବ୍ଦାଳୀ ପାଠ୍ୟବିଷୟ ନଂ 4 (63)
ମୁଦ୍ରଣମୁଦ୍ରଣମୁଦ୍ରଣମୁଦ୍ରଣମୁଦ୍ରଣ
2023



ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა

ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთის“

მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი ლევან ანდრიაშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი თენგიზ მთვარელიშვილი) მხარდაჭერით.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიზიანი“

გარეკანის პირველი გვერდის მხატვარი
გიორგი სონღლულაშვილი



№4,(63), 2023

სეტემბერი



გამოვისაძოველი ერთობელი



„ოლეს“ ლიტერატურული შურნალი



შიდაარსი

მხატვრული ლიტერატურა

2. სათუნა გოგალიშვილი. მოთხრობები
10. ანა მალავილი. ლექსები
12. მარიამ მოვილიშვილი. ლექსები
15. ლანა მანავლი. სად არის ბეჭნიერება.
რომანი

22. კახაბერ პავლიშვილი. ლექსები
25. ციური მასიშვილი. ასპინძის ომის
ფრთხოსწები. ლექსი
27. ჯავალ შანიძე. ლექსები
29. გიორგი ბერძნიშვილი. „პატარა
გიგოლო“ ანუ, – „პირველიაო“. მოთხრობა
31. შავლეგო არაგველი. ლექსები
34. გაია დიაკონიძე. მოთხრობები
38. ლენა ქამუკაშვილი. ლექსი

ახალგაზრდული ჩანართი „ნაპიჯი“

39. გიორგი ზურბაშვილი, მაკა
ლარიპაშვილი, თაგარ პურნაძე, ნათია
ჯავალიშვილი, ნინო მოსიაშვილი, გიორგი
გუგეგაშვილი, მზია აზნაურიშვილი, ელიზბარ
ვერსაშვილი, ნანა გართიშვილი, ნანა
სულხანიშვილი, თათია გოგაძე, ზაირა
როსტომაშვილი, ქათევან ჭავჭავაძე

თარგმანი

45. გალინა გრანოვსკაია. რომანტიკული
გაცნობა. მოთხრობა

კრიტიკა-კუპლიცისტიკა

49. ნანა რეზულიშვილი. რომანტიკული
პოეზიის ერთი ესთეტიკური ასპექტის
შესახებ

54. ქათევან ჯერვალიძე. მთას ვიყავ,
მწვერვალზე ვიდეგ

59. ნინო დარბაზისელი. პირველი ქართველი
პოსტმოდერნისტი და თანაც ქალი

62. აკაკი დაუშვილი. ფიროსმანის
მირონმდინარე ფუნჯი და რეზო ადამის
მართალ ნააზრევი

1



ოლე, №4, 2023



ხათუნა გოზალიშვილი

2



სამარტინი გამოცემა 2023 წელი

სამარტინი გამოცემა 2023 წელი

ძალამოზურვებული ფუნქცია და სალებავებს კილებ. ხატუნა კარგად გამოგვიხის – მეუბნება და წარმოუდგენლად ლამაზ და უსხო ფერებს გადამოსეუმო... თან ვლილინებ ჩემთვის გაუგერარ მელოდიას. როგორ შემიძლია, ისე.

ახლა თოვლით დაფარულ მიღამოს ფურცელზე გადმოვიდან. თეორ ფურცელზე თეორის ფახაჭვა უფრო ძნელია, მაგრამ მე ეს არ მაშინებს.

მე უგულობა მაშინებს, მე დამწინავი მზერა მაშინებს, მე განვითარება მაშინებს... მაგრამ ეს სითეთრე – არა. მეს ხომ საოცრად თეორი, ქათქათა სული მაქვს.

დამინახე...

6. გოზალიშვილი

და, იყოს სიბერე!

რაზე ვფიქრობ?

ბავშვობაში ხომ ოცნებებს ქვიშაზე ვაგებთ... და სწრაფად დავრბივართ...

ალბათ ისე სწრაფად ვირბინე, რომ დროც და ახალგაზრდობაც გადავიქროლე და მივადექი საზრიანი ცხოვრების ასაკს...

ახლა მოგონებები უფრო მეტია, ვიდრე სიახლე...

სოფელში, დედულეთს ხშირად ვსტუმრობდი და როცა მათ ვიხსენებ, საოცარია, მაგრამ ცხადად შევიგრძნობ იმ სუნს, რაც მათთან და იმ კარ-მიდამოსთან იყო დაკავშირებული. არ აქვს მნიშვნელობა სად ვარ: სახლში, სამსახურში, კაფესა თუ ტრანსპორტში, როცა მეხსიერების კუნჭულებიდან დედულეთი ამოტივტივდება, მაშინათვე ვგრძნობ გამხმარი თივისა თუ ცხენის თავლის, ზამბახებისა თუ ვარდების, ცხელი შოთის პურისა თუ არყისსახდელის, თათარისა თუ დაბლანაყარი მწიფე თუთის სურნელს...

მურას სუნიც კი მცემს. უფრო სწორად თუ ვიტყვი – შიშის სუნი... მის გამოუცნობ ხასიათს ხომ ვერაფერი გავუგე: ზოგჯერ ყეფით წამოვრინდებოდა და ადგილზე მაშებდა, ზოგჯერ კი ყურადღების ღირსადაც არ მოვლიდა. მისთვის გვერდის ავლა ტანჯვად მქონდა გადაქცეული, გული მეკუმშებოდა და შიშის სუნს ვგრძნობდი... არააა, არ მომწოდა, არ მინდოდა მხდალად დარჩენა და შიშის დასაძლევად, ღობელობები ატუზული, ჯიუტად ვაგრძელებდი გზას, თითქოს თავს გამბედაობაში ვცდიდიო...

სამაგიეროდ, მიყვარდა თივის ზეინზე ყველპურ-წიგნ მომარაგებული აძრომა და წამოკოტრიალება. გამხმარ ღეროს კბილებშუა მოვიქცევდი და ცას ავაშტერდებოდი უამრავი საოცნები სურვილით აღსებული... ხან წიგნის კითხვისას მორეული თვლება მიღულავდა თვალებს და მა-

შინაც, ამ მშვიდი, უსახელოდ მყუდრო თვლემისას, მძაფრად შევიგრძნობდი თივის სურნელსაც და ცაში მორიალე ღრუბლის ფთილებსაც აღვიქვადი, ათასგვარ ნახატებს რომ მიშლიდნენ სანახევროდ დახუჭულ თვალსაწიერში...

– ჩამოდი, გოგო, მზე დაგერავს. თანაც გამავდები და ვიღას უნდა მოეწონო შავტუხა? – ავოშვიშდებოდა ბებიაჩემი.

სოფელში თეთრი ქალები მოსწონდათ. „თეთრ-ყირმიზი“-ო – ვინმეზე თუ იტყოდნენ, იგულისხმებოდა, რომ ქალი ლამაზი იყო. („ყირმიზი“ – წითელი... თეთრ-ყირმიზი – ალბათ თეთრი – წითელი ლოყებით?) ახლა ვფიქრობ, ნაკვთების წყობა არაფერს ნიშნავდა, ანდა უკმეხი გამომეტყველება? მხოლოდ კანის ფერი ასოცირდებოდა სილამაზესთან?... თუმცა, ისიც მსმენია სოფელში: „აშხვართულია“-ო...

კანისპირი თეთრი პლუს აშხვართული ტანი – სილამაზის ეტალონს უდრიდა...

მაშინ არ ვიცოდი გარუკვა რა იყო, მაგრამ ბებიაჩემის ვიშვიშს არად ვაგდებდი და მზის აპაზანებს უხვად ვიღებდი. სულერთია, მაინც არავის მოვენინებოდი სოფელში, რადგან არც თეთრ-ყირმიზი კანი მქონდა და არც აშხვართული სხეული...

საღამობით, ვახშამზე, ყველა ერთად იყრიდა თავს. ერთი ბიცოლა ჩონგურზე უკრავდა, მეორე – გიტარაზე. ჩამოსხდებოდნენ გვერდი-გვერდ, ზამთრის გრძელ ღამებში ღუმელთან, ზაფხულში – უზარმაზარი თუთის ხის ჩრდილქვეშ და მონაცვლეობით მღეროდნენ, ქმრები კი ხმას აყოლებდნენ. იქვე იყო ჩასაფრებული მამაჩემის მუცლის კუნთების დამჭიმავი ცხელი იუმორი, დედაჩემის უდავოდ საინტერესო თხრობა, უსინათლო ბაბუის ჩუმი ჩაღიმება, ბავშვების ზამბარებიან საწოლზე ხტუნვა



და „შაშ-შახმატით“ გართობა... და ამ გართობასა და თამაშს შორის, შეგადაშიგ, სმენას მოწვდენილი ხმელი შეშის ტკაცუნი (ანდა ფოთლების შრიალი), რომელიც აკორდად გასდევდა ბიცოლაჩემის სევდიან მელოდიას: „ჩინარი დაჭკნება იცოდეენ, გაივლის ბავშვობის ხანა“...

გაიარა... დიდი ხანია უკვე გაიარა....

ბავშვობის ხანაც დასრულდა და ბევრმა წყალმაც იდინა...

ნაადრევად წასულმა ახლობლებმა გული გაიყოლეს და უზარმაზარი, ამოუვსები ხვრელი დატოვეს...

დაჭრობანას თამაშისას, მე დავრბოდი ყველაზე სწრაფად... ალბათ ისე სწრაფად ვირბინე, რომ დროც და ახალგაზრდობაც გადავიქროლე და მივადექი საზრიანი ცხოვრების ასაკს... მათ ვერ ირბინეს ჩემსავით სწრაფად და ვერ მიადგნენ ზღვარს, როცა მოგონებები უფრო მეტია, ვიდრე სიახლე...

მენატრება ის კარ-მიდამო ისეთი, როგორიც მაშინ იყო...

ახლა იქ ალბათ აღარც თივის ზვინი დგას,



ხათუნა გოგალიშვილი

არც ცხენი იქნევს კუდს აბეზარი ბუზების მოსაგერიებლად, ალბათ თუთის ხეც დიდი ხანია მოჭრეს და აღარც თონიდან ამოღებული „კუტი პური“ ერგება წილად მურას, ბებიაჩემის შეძაბილი, რომ ერთოდა თან:

— იქით წადი, შე სასიკვდილევ, ფეხებში ნუ მედები!...

ნეტავ მურას გარდა არავინ გამხდარიყო სასიკვდილე...

ქვიშაზე აგებული ოცნებებისაც არაფერი მახსოვეს... არც ჯადოსნური ჯოხი მქონია... არც ის ვიცი, როგორი წარმომედგინა ჩემი მომავალი ცხოვრება

პატარა გოგოს, რომელსაც არ ადარდებდა კახეთის მზე რომ აკვდებოდა კანში და შავტუხა არავის მოეწონებოდა... ვერც იმას ვხვდებოდი, იმთავითვე როგორ გამაფრთხილებლად ულერდა სიმღერა: „ჩინარი დაჭკნება, იცოდე... გაივლის ბავშვობის ხანა“...

ამბობენ, როცა მოგონებები გეძალებიან, სიბერე ახლოსააო...

დაე...

დაე, იყოს სიბერე!

3



დამინახე!

ფანჯარასთან ვდგავარ. გარეთ თოვს. ფანტელები ისე მსუბუქად ეშვებიან, ისე ლამაზად...

ყველაფერი თეთრია.

თეთრია ჩემი სულიც, ჩემი გონებაც თეთრია.

ვიღლები, ვჯდები და რაფაზე დაყრდნობილი გავცქერი ეზოში მოთამაშე ბავშვებს.

ხანდახან თავი მივარდება ხელებიდან, ვცდილობ გავსწორდე და კარგად დავინახო რაც გარეთ ხდება.

თამაშობენ ჩემი ტოლები, ჩემზე დიდები... გუნდებს ესვრიან ერთმანეთს. თოვლის პაპაც დადგეს და ხელჩაჭიდებულები უვლიან გარს, თან მღერიან.

მეც მინდა თამაში. მეც მინდა სიმღერა. ჩემთვის გაუგებარ მელოდიას ვლილინებ. როგორც შემიძლია, ისე.

თავი კვლავ მივარდება ხელებიდან. ვცდილობ პირიც მოვკუმო, მაგრამ ჩემი ენა ისეთი დიდია და ისეთი მძიმე, ვერ ვიმორჩილებ...

დედა რომ მოვა სამსახურიდან, ვთხოვ, გარეთ გამიყვანოს. ის კეთილია. დაღლას არ შეიმჩნევს. თბილ კაშნეს შემომახვევს, ხელთათმანებსაც წამომაცმევს და სახლიდან გასვლის

წინ მაჟოცებს. დედა ყოველთვის სიყვარულით მეფერება, მაგრამ როცა ქუჩაში გავყავარ, უფრო მაგრად მიხუტებს. ვიცი, ამით ერთგვარად მამხნევებს, რადგან ჩემეკენ გამოტყორცნილი უამრავი მზერა და გამომეტყველება უნდა მოვიგერიო.

მე ხომ ყველაფერს ვგრძნობ...

მწყინს, როცა ვინმე ზიზღით შემომხედავს. გული ისე მენურება, მეშინია, არ წავიქცე. ამ დროს დედა ხელს უფრო მაგრად მკიდებს და მიღიმის. თუ ვინმემ საწყალი მზერა შემავლო, ისევ მენურება გული. მაგრამ თუ ვინმე, როგორც სრულყოფილს, ისე გამომელაპარაკა, შეკუნტრუშება მინდება და ჩემი წვრილი თვალები სიხარულისგან უფრო მიწვრილდება...

ისე კი, გული უფრო ხშირად მენურება ხოლმე, მაგრამ მაინც მიყვარს ადამიანები. ცხოველებიც მიყვარს, სიმღერაც...

ხანდახან მინდა გავქრე, რომ არავინ შემამჩნიოს. როცა სარკეში ჩემს თავს შევცქერი, მესმის, რატომ არ უნდათ ადამიანებს ჩემი დანახვა.

მესმის...

მაგრამ იქნებ უკეთ ჩახედონ ჩემს თვალებს, რომლებშიც უძირო სევდაა... რომლებიც იმა-





მხატვარი სოფიო ჭელიძე

საც ხედავენ, რისი დანახვაც ჩვეულებრივებს არ შეუძლიათ. იქნებ უკეთ დააკვირდნენ ჩემს უშინო პირსა და ენას, რომლებიც ვერ ახერხებენ გრძელი, გამართული წინადადებების წარმოთქმას, მაგრამ ბოროტი სიტყვა არ დასცდებათ... ჩემს ბრტყელ სახეზე წამოსკუპებულ ცხვირს, რომელიც იმაზე მეტ, უჩვეულო სურნელს შეიგრძნობს, რომელთა არსებობა მათ არც იციან. ჩემს პატარა ხელებს, რომლებიც იმაზე მეტად თბილია, ვიდრე ფიზიკური სითბო. ჩემს დონდლო, მოუქნელ სხეულს, რომელიც კეთილ და მგრძნობიარე, დიდ გულს დაატარებს...

მე დაუნი ვარ.

მაგრამ მეც ისევე მწყინს და მიხარია, რო-

გორც თქვენ. უფრო მეტადაც კი, რადგან ჩემ-ნაირებს უფრო მოჭარბებული ემოცია აქვთ.

როცა მამის უკანასკნელი შემოხედვა მახ-სენდება, მაციებს. მის მზერაში ადრეც ბევრჯერ წამიკითხავს – „ასე რატომ დამსაჯე, ღმერთო!“

მე მგულისხმობდა. ჩვენგანაც იმიტომ წავი-და. არასდროს უფიქრია, რომ მე უფრო მიჭირს? თითქოს მე ავირჩიე ასეთად ყოფნა. ანდა დე-დას? მარტოს რომ შეატოვა ამხელა ტვირთი...

ყოველ გახსენებაზე ცრემლებს მუჭით ვი-წმენდ, ყველაზე მეტად გული ამ დროს მტკიცა, მაგრამ ვერ ვძრაზობ. რა ვქნა, სიბრაზე არა-ვისზე და არაფერზე არ შემიძლია.

აი, თიკომ შემამჩნია ფანჯარასთან. ჩემკენ გამოიქცა და გადაბადრული სახით მიხმობს გა-რეთ. თიკო კეთილია, დათოც. მეთამაშებიან, საჩუქრებს მჩუქნიან და თუ ვინმე დამცინებს, აფთრებივით ხდებიან.

– დდდედდა მოვვვა და... – ვცდილობ გა-ვაგებინო სათქმელი. ისიც თავს მიქნევს და მილიმის.

ხანდახან მინდა გავქრე, რომ არავინ შემამჩ-ნიოს.

ანდა, მხოლოდ თიკოსნაირები მხედავდნენ.

ძალამოზღვავებული ფუნჯსა და საღებავ-ებს ვიღებ. ხატვა კარგად გამოგდისო – მეუბ-ნება დედა – წარმოუდგენლად ლამაზ და უცხო ფერებს გადმოსცემო...

თან ვლილინებ ჩემთვის გაუგებარ მელოდი-ას. როგორც შემიძლია, ისე.

ახლა თოვლით დაფარულ მიდამოს ფურცელზე გადმოვიტან. თეთრ ფურცელზე თე-თრის დახატვა უფრო ძნელია, მაგრამ მე ეს არ მაშინებს.

მე უგულობა მაშინებს, მე დამცინავი მზერა მაშინებს, მე განდგომილება მაშინებს... მაგრამ ეს სითეთრე – არა.

მეც ხომ საოცრად თეთრი, ქათქათა სული მაქვს.

დამინახე...

ქარი

ისევ აიწყვიტა ქარმა...

როგორ უყვარს ყველაფრის არევ-დარევა. მტკრის ბურუსში გახვევს მიდამოს, ცასაც მტ-კრისფრად შეაფერადებს და გაქაფული ჩაირბენს შუებებსა და ქუჩებს. სახლებს შეაზანზარებს, აზრიალებულ სარკმელებში ცნობისმოყვარედ შეიჭყიტება, სახურავებსა და ხეთა კენწეროებს გადაევლება, ეკლესის ზარებს მძლავრად შემოჰკრავს, მერე, მისი უღერადობით სულშეძრულს, თავადვე გააურიალებს და კიდევ უფრო მაღლა აიჭრება, რათა მეტი სიმძლავრით დაეშვას ქვემოთ, ქუდი მოსტაცოს ვინმეს და გიშური

კმაყოფილებით გადაიხარხაროს...

ხასიათი აქვს ასეთი, ვერაფერს იზამს. ასე-თად გააჩინა დედაბუნებამ.

სიძოროტედ უთვლან, როცა ახლადაყ-ვავებულ ხელებს ფურცლებს შემოაცლის, როცა თავისი დაუკეპელი ენერგიით მოხუცს ან ბავშვს წააბარბაცებს, როცა თვალებს მტ-კრით ამოავსებს, როცა ისედაც უპატრონოდ მიგდებულ, ბზარებგაჩენილ სახლებს, ისტორი-იდან ერთ ჩუქურთმას კიდევ წარსტაცებს...

ხანდახან ისე ძლიერ უნდა, რომ წაზი იყოს, სიოდ გადაირბინოს პურის თავთავებზე, ფო-



თლების ჩუმი შრიალით დატკბეს, ჩიტების ნავარდს მშვიდად აედევნოს ან ლამაზი თმები შეურხიოს აშხვართულ ასულს...

არაფერი გამოსდის.

მხოლოდ ცოტა ხანს ჰყოფნის სინაზე. მერე კი, გაბრაზებული ამოიღმუვლებს, ციბრუტივით დატრიალდება და საკუთარ ტყავში დაბრუნებული, სინაზეზე აღარმოდარდელი, სტვენა-სტვენით გაექანება ახალი ონების ჩასადენად.

ონები კი, ნაირ-ნაირი სჩვევია...

გატაცებულ ზენრებს ხის ტოტებს შემოახვეს, სულს შეუბერავს და აღმართულ აფრას დაამსგავსებს... თოკიდან ჩამოგლეჯილ თბილ პლედს, სადმე კუთხეში მიყუჟულ უსახლკაროს მიაფარებს... დაკარგულ ლეავს ბურთივით მიაგორებს დედის სამყოფელთან... შესათბუნებლად ფოთლებს წააყრის გაყინულ, წაადრევად ამონვერილ მეტიჩარა ყოჩივარდებს...

აი ახლაც, სარეცხის თოკიდან მოპარული კაბა მიაკიდა შიშველ ვერხვის ტოტს. ლამაზი იყო კაბა, თხელ სილუეტად ჩამოქნილ სხეულზე მოსარგები, მაგრამ რაღაცნაირად მარტოსული.

არ მოენონა ქარს მისი სიმარტოვე. სწრაფად მოატარა მზერა და ანცად ჩაიცინა. ახლა მამაკაცის მაისური მოწყვიტა თოკიდან, ჰაერში ააფრიალა და კაბის გვერდზე მიაფინა. კაბა შეირხა, გვერდულად შემოტრიალდა და თვალი მაისურისკენ გააპარა.

მოქმედება იყო საჭირო და ქარმაც არ დააყოვნა. მის ყოველ დაქროლვაზე შეტოკდებოდნენ კაბა და მაისური, მკლავებს მაღლა აიქნევდნენ, ხან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და ხან შორდებოდნენ. თითქოს რაღაცას ვერ წყვეტდნენ,

ბჭობდნენ, კამათობდნენ...

გაბრაზედა ქარი. საიდანლაც მონადენი მუსიკის ჰანგები მოიტაცა, შლეიფად შემოახვია ტოტზე მიკიდებულ ტანსაცმელს და მძლავრად დაუბერა.

აცეკვედა მაისური. ტანი შემართა, მკერდი გამობერა და მუსიკის რიტმს აყოლილმა რწევას უმატა. განზე გაშლილი ხელებით ხან წინ მოექცეოდა კაბას და ხან უკან. თითქოს გასაქანს არ აძლევსო... მერე კი, თავისი სახელო კაბისას ჩასჭიდა და აღარ გაუშვა.

ნელა შემობრუნდა კაბა. ჯერ მორცხვად აიფრიალა ბოლოები, შემდეგ რაღაც, მისთვის უცხო გრძნობით ანთებულმა, თავადაც შემართა ტანი და ცეკვას აჲყვა... ცეცხლის ალივით ირხეოდნენ სილუეტები, ხან მინავლდებოდნენ და ხანაც აგიზგიზდებოდნენ... ბოლოს, ერთმანეთს შემოეხვინენ და დარჩინენ ასე, ჩაწნულ-ჩახლართულნი...

ქარს აღარაფერი ესაქმებოდა აქ. კმაყოფილმა გადაიხარხარა, კვლავ აიწყვიტა და ზარების დასარეკად გაქანდა...

მეორე დღეს, ახალმოსახლე კორპუსის აივანზე გამომდგარი ქალ-ვაჟი ვერხვის ხეს შეცეროდა.

- შენი კაბა?
- კი... და მაისური?
- ჩემი... ავძვრები ხეზე და ორივეს ჩამოვხსნი.
- კარგი.
- მე ლაშა მქვია.
- მე - მარიამი.

არტემიდას ტაძარი

თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიაო - ექიმმა.

ყოველგვარი ემოციის გარეშე შევდივარ კვლევაზე. თუ რამე ისე არ იქნება, მერეც მეყოფა ნერვიულობა...

მანვენენ, აპარატს რთავენ, სილრმეში მიმაცურებენ და მარტო მტოვებენ.

და აი, აქ ინწყება...

არასდროს მქონია კლაუსტროფობია. ლიფტში იმდენჯერ გავჭედილვარ, მაგრამ სიმშვიდე არ დამიკარგავს. ახლა კი ვგრძნობ, როგორ მეხუთება სული და ჯერარგანცდილი შიში მიპყრობს. უკვე ვაპირებ ბრახუნი და ყვირილი ავტეხო, რომ სასწრაფოდ მომხსნან აპარატიდან.

- აბა წესიერად მოიქცი, რა გჭირს, შენ ხომ ყოჩალი გოგო ხარ! - ვეუბნები თავს და ვცდილობ დავმშვიდდე.

არაფერი გამომდის. თვალებს როგორც კი ვახელ, მოგუდვის შიში მიძლიერდება და მგონია, სარკოფაგში ცოცხლად დამმარხეს.

- კაი ახლა, შენც არ მყავდე ფარაონის ცოლი...

სარკოფაგები რომ უამრავ ქვეყანაშია აღმოჩენილი (მათ შორის საქართველოშიც) და სხვადასხვა სოციალური ფენის ნარმომადგენლებისთვის სხვადასხვაგვარი იყო, კი ვიცი, მაგრამ თვალწინ გრანდიოზული, ძველეგვიპტური სამარხები ნარმომიდგება. მუმიების შესახებ წაკითხული თუ ფილმად ნანახიც არ აყოვნებს და ძრწოლა მიტანს.

- მოიცა, მოიცა, ხომ მართლაც საოცრებაა, როგორ ახერხებდნენ ამხელა პირამიდების აგებას - მინდა სხვა რამეზე გადავერთო და სიტყვა „საოცრება“ ბიძგს მაძლევს.



— აბა, მსოფლიოს შვიდი საოცრება ჩამოთვალე!

ხეოფსის პირამიდა,
სემირამიდას დაკიდებული ბალები,
ზევსის ქანდაკება ოლიმპოში,
ჰალიკარნასის მაგზოლეუმი,
როდოსის კოლოსი,
ალექსანდრიის შუქურა...

ექვსი ჩამოვარაკრაკე და უცებ, მეშვიდეზე გავჭედე.

— აი, ტაძარი რომ არის, ქალღმერთის სახელს რომ ატარებს, რა ჰქვია?

ვერ ვიხსენებ. ვიცი, რომ ზევსის ასულია, ანტიკურ ხელოვნებაში მონადირის სახით გადმოცემული მისი გამოსახულებაც თვალწინ მიდგას... აი, სახელი კი არ მახსოვს და მომკალით!

— 2000-იანი წლების დასაწყისში იუნესკომ მსოფლიოს ახალი შვიდი საოცრების სია გამოაქვეყნა — გადაეწვდი უფრო მასშტაბურს, მაგრამ ჯერ ძველზე ვარ გაჭედილი.

ტუ-ტუ... დაბ-დაბ... ბუმ-ბუმ... — ხმაურობს აპარატი.

ნეტავ რამდენი წუთი გავიდა?

ვცდილობ, დავივინყო სარკოფაგები, მუმიები, ჰეროდოტეს, პლატონისა თუ სტრაბონის ჩანაწერები ეგვიპტეზე და სხვა რამეზე ვკონცენტრირდე. მაგალითად, სასიამოვნო მოგონებებზე.

და თითქოს არანაირი წარსული არ მქონდეს, ვერაფერს ვიხსენებ.

— პატარაობიდან გამოყევი აბა, სად იზრდებოდი, გარშემო ვინ გყავდა...

ვფიქრობ, ვფიქრობ და მოგონებებს ძალად ვწველი მეხსიერებიდან.

და უცებ, ჩემი მეზობელი სონა ტივტივდება — წელში ოთხად მოხრილი, ტკბილი მოხუცი.

სონას 24 წლის შვილი იმში ჰყავდა დაკარგული. რძალს შვილიშვილების დაზრდაში მიხმარებია და შვილთაშვილების აკვინის რწევაც არ დაზიარებია. ახლა კი, თითქმის ასი წლისას, ქსოვა და სანთლების ჩამოქნალა შეეძლო. თავისი ჩანითლებული გუგებით ისეთ ფერებში აწყობდა წინდებს, თვალსაც უხაროდა და გულსაც. სანთლების დასამზადებლად კი კარის სახელურს ნართის ძაფს გამოაბამდა, შემთბარ ფუტკრის ცვილს გარს გუნდად შემოახვევდა და მის ჩამოგრძელებ-ჩამოქნას იწყებდა. მერე მტკავლის ზომაზე დაჭრიდა სანთლებს, რვეულის ფურცელში გადაახვევდა და სკივრში გამოამწყვდება და საჭირო დრომდე.

ისეთი დუხჭირი ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი, გადასაგდებად არაფერი ემეტებოდა. ერთხელ, შვილიშვილის ცოლმა ვადაგასული წამლები გადაარჩია გადასაყრელად. სონამ კი კოლოფები გადმოცალა, აბები მუქში მოიქცია და ყველა

ერთად გადაუძახა პირში. „ცოდნაო“ — წამლებს გულისხმობდა. მთელი ორი დღე შეშინებულები შესცეკროდნენ, ან ახლა დაემართება რამე, ან ახლაო. ის კი მშვენივრად გრძნობდა თავს.

გვერდით მუდამ ბურნუთით სავსე კოლოფი ედგა. შიგადაშიგ გახსნიდა ამ კოლოფს, მწიკვინილს ამოილებდა და ღრმად შეისუნთქავდა. ერთხელ ვკითხე — ეგ რა არის-მეთქი და სამკურნალო ბალახიაო — მიპასუხა. ასე სჯეროდა. აბა, სონასთვის ვინმეს რომ ეთქვა ეგ იგივე თამბაქოა და შენ მწეველი ხარო, შეურაცხყოფილი დარჩებოდა. ფრიად უკვირდა ქალების სიგარეტის მოწევა.

ერთხელაც, იმ დროს წავადექი, სამზითვო სკივრისთვის რომ აეხადა თავი. ტანსაცმელი უნდა გავამზეუროო — მითხრა. ჩაიხრებოდა სკივრის სილრმეში და მხოლოდ ტანსაცმელი კი არა, რა აღარ ამოქერონდა იქიდან: ლამფის თავსახურები, პატარა კოლოფები, საქარგი მოწყობილობა, ქალალდში გადახვეული პიტნის კანფეტები და კიდევ ბევრი რამ.

ალაგებდა და ალაგებდა... უკვე უძირო მეგონა სკივრი, რომ უცებ შეჩერდა, მზერა მიაქვავა რაღაცას, მერე ფრთხილად ჩაიხარა და რუდუნებით დაიდო მუხლებზე სკივრიდან ამოლებული თეთრი ტილო. ისეთი სასოება ეხატა სახეზე, ისე უკანკალებდა ის ასწლოვანი ხელები, მიგხვდი, სკივრსაც ჰქონია თავისი საიდუმლო და სონასაც.

განცვიფრებით და მოლოდინით ავსებული შეცეკროდი მოხუცს. ის კი შორს იყო ძალიან, მოგონების ღრმა ხვეულებში გახლართული და როგორც ჩანს, მე სულაც დავვინწყოდი. ნელა გადმოშალა ქსოვილის ჯერ ერთი კუთხე, მერე მეორე და... გახამებულ ტილოზე ობლად დაგდებული დიდი, უანგმოკიდებული ლურსმანი დავინახე.

— ეგ რა არის? — წამოვიყირე იმედგაცრუებულმა.

სონა გამოერკვა, თავისი ჩანითლებული თვალებით ამომხედა, იმ დამჭენარ სახეზე აღმურმა გადაჰკრა, რაღაცნაირი კდემამოსილებით გადაუსვა ხელი ლურსმანს და

— ეს ჩემი სიყვარულის სახსოვარიაო, — მიპასუხა.

ერთი ახალგაზრდა ხურო ჰყვარებია თურმე. იმ ბიჭს აუღია და ლურსმანი უჩუქებია...

ამაზე უცნაური საჩუქარი არც მანამდე და არც მერე მსმენოდა. გაოცება შემატყო და

— ხურო იყო და ჩაქუჩ-ლურსმნების მეტი არც არაფერი ებადა, დაამატა.

ან როდის მოასწრო ასე შეყვარება? 13 წლისა უკვე სხვაზე გაუთხოვებიათ. ამ ლურსმანს კი, თავისი გულისსწორის მოსაგონებლად, თითქმის ასი წელი ინახავდა...



მერვე კლასში ვიქებოდი, როცა სონა ბაბო მოკვდა. სკივრიდან მისი საგარეო სამოსი ამოა-ლაგეს და გამოაწყვეს. კუბოში არც ბურნუთის, საქსოვისა და სხვა „საჭირო“ ნივთების ჩადება დავითებუნიათ, მაგრამ მე ვიცოდი ყველაზე მეტად რაც „გაახარებდა“. დრო ვიხელთე, თეთრ ტილო-ში გამომწყვდეული ლურსმანი ჩუმად ამოვილე და მიცვალებულს ჯიბეში ჩავუცურე. მომეჩენა კი არა, თითქოს ნათლად დავინახე, მადლიერმა სონამ როგორ გაიღიმა და შვება ვიგრძენი...

ისე, ეს რა იცოდნენ უნინ, მიცვალებულს რომ იმქვეყნად რაღაცებს ატანდნენ? თუ რას წარმოადგენდა ადამიანი სიცოცხლეში, რა უყვარდა, რა ნივთებს მოიხმარდა – გასატანებლებიც იმის მიხედვით დგინდებოდა. მასწოვს, ერთ ჩემს ახლობელს ვაზის მაკრატელი ჩაუდეს კუბოში, მევენახეა და დასჭირდებაო... მაშინ გავიფიქრე – ნეტავ, თოხი არავის გაახსენდებოდეს-მეთქი... ის კი არა, საგარეო და საშინაო ტანსაცმელიც სეზონების მიხედვით უნდა ჩაეწყოთ. ხან იმდენის ჩალაგება უხდებოდათ, რომ გარდაცვლილის ადგილი ძლიერ რჩებოდა.

ერთხელ კი, ასეთი ამბის მომსწრეც გაეხდი. მეზობლის სამძიმარზე მოსულმა ვიღაც ქალმა ჩანთიდან მამაკაცის ფეხსაცმელი ამოილო და ტირილით გვამცნო: მეუღლისთვის, იმ ქვეყნად გამგზავრებისას, ახალი სამოსი ჩაუცმევიათ. მას მერე, გამუდმებით ესიზმრება ქმარი და შესჩივის – ახალი ფეხსაცმელი მიჭერს და ვიტანჯებიო... ჰოდა, ამ ქალმა მოიტანა ქმრის ძველი ფეხსაცმელი, დადგა მიცვალებულთან და ხვენნა დაუწყო: წაულე შენი ჭირიმეეე, არ მითხრა უარიი, არ გამანბილოო, შენ არ შეგანუხეეებს, თვითონ მოვა და გამოგართმეეევს, წაულე აგრემც შემოგევლებიო...

წაულო...

ტუკ-ტუკ... დაბ-დაბ... ბუმ-ბუმ... – ხმაურობს აპარატი.

ნეტავ რამდენი წუთი გავიდა?

ჩვენს სახლს, როგორც ძველად აშენებული სახლების უმეტესობას, განიერ რაფებიანი ფანჯრები ჰქონდა. მიყვარდა იქ ჯდომა. მოვკალათ-დებოდი რაფაზე და ხან წიგნს ვეითხულობდი, ხან წვიმას გავცქეროდი და ოცნებებს ვეძლეოდი.

იმ ფანჯრების ქვეშ დედას ყვავილნარი ჰქონდა გაშენებული. მცენარეები აღრიან გაზაფხულზე იწყებდნენ შემკობას და დეკემბრის ბოლომდე მონაცვლეობით ყვაოდნენ.

ვარდები, ტიტები, შროშანები, ბაცი მელნის-ფერი ზამბახები, ნარგიზები, ძოხისფერი მამლის ბიბილოები, ლომისპირები, ქრიზანთემები...

მახსოვს, როგორ ეფერებოდა დედა მათ და როგორ უთბებოდა მამას მზერა, როცა ყვავილებთან მოლაპარაკე ცოლს ჰქიდებდა თვალს.

მამა სიმპათიური, იუმორით გაჯერებული, თბილისელი „სტილიაგა“ იყო. დედა კი – სოფელში გაზრდილი, დახატული, მწვანეთვალება საოცრება. მამა ყოველთვის თავად არჩევდა მისთვის ტანსაცმელსა თუ აქსესუარებს. არას-დროს შეცდებოდა მოდის ტენდენციებსა და მეუღლის ზომებში. ეგ კია, კაბას ყოველთვის ამოკლებინებდა – ლამაზი ფეხები უნდა ჩანდესო – უზბენებოდა და ამაყად დაატარებდა ყველგან...

აი, მე და ჩემს და-ძმას მანქანის ფანჯრებში თავი გვაქვს გაყოფილი. ნიავი თმებს სახეში გვაყრის, მზე მცხუნვარედ გვეფერება, გზისპირა ხეები ელვისუსწრაფესად გარბიან და ბუნების განუმეორებელი სუნი გვცემს ქროლვისგან დაბერილ ნესტორებში...

ფშატის ხეები მზეზე ვერცხლისფრად ელვარებენ და თვალს ჭრიან. მამა მანქანას აჩერებს და ფშატის ჩამოკრეფას ლამობს. მერე მუჭში დაგროვილს, ჩვენს განვდილ ხელისგულებზე ცლის. ჩვენ გაოცებით დავცქერით შინდის ფორმის ვერცხლისფრ ნაყოფს და გემოს ვუსინჯავთ. მწკულარტე და თბილია, მაგრამ სასიამოვნო...

ვერცხლისფრად ელვარებს მდელოზე დახრილი მამის ტალღისებრი თმაც. მალე გვირილები ეშვება დედის კალთაში. დედა ტბასავით ღრმა, მწვანე თვალებით ქმარს შესცქერის და ლამაზ სახეს კიდევ უფრო ლამაზი ღიმილით რთავს...

ქროლვას ვაგრძელებთ და მამის ზე-იუმორზე სიცილისგან ერთმანეთს ვაწყდებით.

– ილია, ნელა იარე, ახლა ხომ არ მიტაცებ? – ამბობს დედა და სიხარულითა და ბეღნიერებით აღსავსენი ისევ ვიცინით...

როგორ მენატრებიან...

დაბ-დაბ... ტუკ-ტუკ... ბუმ-ბუმ... – ხმაურობს აპარატი.

...მერე ის სახლი განახლეს, გაათანა-მედროვეს და ფანჯრებიც სხვებით შეცვალეს. თითქოს ბუდე დამინგრიერებით შეცველება. თითქოს ბუდე და ამის დიდანას განვიცდიდი. თავის საშველად კი დედის მამულებში გავრბოდი. იქ მეგულებოდა ძველი სისადავე, ბების მზითვის განჯინა, რომელშიც ყოველთვის იყო ქათქათა მარლაში გამოხვეული ჩურჩხელები, ლელვის ჩირი და შინდის კერკი...

ბებიაჩემის ახლოს ერთი ქალი ცხოვრობდა. ეთერი ერქვა, კახურად – ეთერა... ბებიასთან მიმავალს, ჯერ მის სახლთან უნდა ჩამევლო. მეშინოდა ამ ქალის. როგორც კი დამინახავდა, გამოვარდებოდა და ისე მაგრად მიხუტებდა, ფიზიკურ ტკივილს ვგრძნობდი. ჰოდა, ჩვევად მექცა ჯერ მიდამი დამზევერა და მერე ჩამევლო, მაგრამ ხან ისე უმალ გამოხტებოდა, გაქცევას ვერ ვახერხებდი...





ჩემხელა შვილი ჰყავდა, ბიჭი... მაშინ არ ვი-
ცოდი რა იყო დაუნის სინდრომი, პატარა ვიყავი.
არც ეთერამ იცოდა ალბათ, თუმცა დიდი იყო,
მაგრამ ორივე ვევდებოდით, გამორჩეული შვი-
ლი რომ ჰყავდა. პოდა მე, ჩევეულებრივი ბავშვი
ვყავდი ამოჩემებული. თუმცა მისი უხეში ჩაბ-
უტებისგან ნერებს ტკაცუნი გაპქონდა და ნა-
ჩემეტებიც ერთი კვირა მიხურდა, მაგრამ ხმას
არ ვიღებდი, მის გაუწონასწორებელ მოფერებას
მედგრად ვიტანდი და საწყლად, მაგრამ მაინც
ვულიმოდი...

მრავალი წელია იქ ალარ ვყოფილვარ, არც
ეთერასი ვიცი არაფერი და არც მისი შვილის,
ნეტავ ცოცხლები არიან?

რაღაც ჩამნები გულში. როგორ ქრებიან
ადამიანები, როგორ იშლებიან მეხსიერებიდან...
და მაინც, ზოგჯერ ისეთი ვიღაც, ან რაღაც
ამოსხლტება ხსოვნის კუნჭულებიდან, გაოცებუ-
ლი რჩები...

პოდა, რას ვამბობდი? ბებიაჩემის განჯი-
ნაში გადამალულ, დაშაქრულ ჩურჩელებს ვიხ-
სენებდი... პაპა მეტყოდა ხოლმე: ვიცი კბილები
გიკანკანებს და აიღე, მე დაიბრალებო...

ძალიან ლამაზი კაცი იყო პაპაჩემი. ისეთი
კეთილშობილი სახე ჰქონდა, ისეთი დაწყობილი
ნაკვთები, ნახატი გეგონებოდა. საოცარია, მა-
გრამ მისი უსინათლო თვალებიც კი ძალზე მე-
ტყველად მერვენებოდა, ხოლო ხმის ტემპი მომ-
ნუსხველად სასიამოვნო.

რაღაცნაირად მშვიდი, არასოდეს წუნუნებ-
და. ბევრ ჭირგადავლილს უსინათლობაც თან
დართვოდა, მაგრამ ცხოვრებას ისეთს იღებ-
და, როგორიც ბედმა გამოუცხო. განა არ წუხ-
და? მაგრამ თავის წუხილს სხვას არ მიუგდებდა
განსასჯელად... ყველას თავისი წილი ტკივილი
აქვს, შენი ალარ უნდა დაუმატო, მაინც ვერ-
აფერს გიშველისო – ამბობდა.

ხშირად მივპარვივარ ფეხაკრეფით და
სუნთქვაშეკრულს მისი გამომეტყველებისთ-
ვის დიდხანს მიცერია. თითქოს ჩემთვის უცხო
ენაზე დაწერილი წიგნის წაკითხვას ვცდილობდი.
აი ისე, მხოლოდ რამდენიმე სიტყვა რომ იცი ამ
ენიდან და შინაარსის გაგებას მათი მეშვეობით
რომ ცდილობ... ის კი იჯდა ყავარჯენზე ხელებ-
დანწყობილი და სივრცეს მისჩერებოდა თავისი
გადალიბრული თვალებით. ფიქრი ფიქრს ენაცვ-
ლებოდა ალბათ, მოგონება მოგონებას... ხან
ეღუშებოდა სახე და ხან ღიმილით ემოსებოდა.
იშვიათად კი, მისი უსინათლო მდვიმებიდან ნა-
კადულებად მდინარ ცრემლსაც წავწყდომივარ,
რომელსაც უმალ მოიწმენდდა და „ვინმეა აქ?“
– იკითხავდა ხმამაღლა. ეშინდა, არავინ გამხ-
დარიყო მისი ცრემლის მომსწრე, არ უყვარდა
თავისი სისუსტის სხვისთვის დანახვება, არ უნ-
დოდა, უმწეო და უნიათო გამოჩენილიყო ვინმეს

თვალში.

ვერძნობდი, მე განსაკუთრებით უყვარდი...
ალბათ ყველაზე პატარა რომ ვიყავი, ამიტომ.
წინ დამიყენებდა, თავიდან ფეხამდე მტკავლით
გამზომავდა და კიდევ გაზრდილხარო, მეტყოდა.
მერე სახეზე ნელა ჩამომისვამდა ხელს, სათი-
თაოდ მიმოწმებდა ნაკვთებს, ცხვირს ოდნავ
მომქაჩავდა, თვალებზე ნაზად გადამატარებდა
ცერს, თითქოს მათი ფორმის ამოცნობა სურსო,
თითებულა მოსინჯავდა ჩემი თმის სირბილეს და
კმაყოფილი გაიღიმებდა...

ნეტავ როგორი წარმოვედგინე?

სხვებთან არც ისე ენაწყლიანს, ჩემთან
უყვარდა საუბარი. ამოწმებდა როგორ ვკითხ-
ულობდი, როგორი თხრობა შემეძლო, აინტერ-
ესებდა რას ვხატავდა... გაზაფხულის წვიმისას
ვერანდაზე ვსხდებოდით, ჩემს პანია ხელს თავის
თბილ ხელისგულში მოიქცევდა და:

– აბა, რას გიყვებიან წვიმის წვეთები? –
მკითხავდა. მეც ათას ამბავს ვთხზავდი და ვთხ-
ზავდი...

ახლა ვევდები, ამით უნდოდა გაეგო ვინ ვი-
ყავი, რა მიხაროდა და რა მაწუხებდა...

სიკვდილის წინ, სარეცლიდან ძლივს
წამოწეულმა, კიდევ ერთხელ მოსინჯა ჩემი ნა-
კვთები, ცრემლი ჩამომწმინდა სახიდან, მერე
მარცხენა მხარეს გულზე დამადო ხელი და მითხ-
რა: ძებნას შორს ნუ დამიწყებ, აი აქ ვიცხოვრებ,
როცა დაგჭირდები, აქ მომნახეო...

სწორედ ის გახდა ჩემი გულის პირველი
ბინადარი. უამრავი წელი გავიდა მას შემდეგ
და ჩემს გულში მასთან ერთად ბევრი ადამიანი
ჩასახლდა. ახლა ჩემი გული ჩემი სახლია. იქ ცხ-
ოვრობენ ჩემთვის ძვირფასი ადამიანები. როცა
მიჭირს ან მიხარია, ამ სახლს ვაკითხავ და თი-
თოებული მათგანის ცხოვრებიდან საჭირო მაგ-
ალითს ვიღებ.

მთავარი ყურება არაა, მთავარი დანახვაა და
ეს, გულს ყველაზე კარგად შეუძლია.

აი, რა მასწავლა იმ ლამაზმა, ძლიერმა,
გაზაფხულის წვიმას წაყოლილმა უსინათლო
მოხუცმა.

ტუკ-ტუკ... დაბ-დაბ... ბუმ-ბუმ... – ხმაუ-
რობს პაპარატი.

ალარ შემიძლია, უნდა მშველელებს მოვუხ-
მო და აქედან გავიქცე.

– დაწყარდი, ეს პანიკაა, არაფერი
დაგემართება... შენ ხომ ყოველთვის გძულდა
ისტერიკები...

გახსოვს, როგორ გიკვირდა ქეთო მასწავ-
ლებლის? კლასში ხმაურის დროს ისტერიკაში
რომ ვარდებოდა და რომელიმე ცელქ მოსწავ-
ლეს ისე აჯანჯლარებდა, ლამის შემოკვდომოდა.
რა ცუდი სანახავი იყო... მაგრამ უფრო ცუდი



სანახავი მაშინ იყო, როცა მშობლებთან ერთად სახლში მივადექით. ვიცოდით, რომ ავადობდა და სკოლაშიც ამიტომ აღარ დადიოდა, მაგრამ რაც ჩვენ ვნახეთ, ამას არავინ ელოდა.

ისე გალეულიყო, საწოლში თითქმის არ ჩანდა. აღარსად იყო მისი ღაულაჟა ლოყები, გამჭოლი გამოხედვა... ძლივი გაგვიღიმა და გვითხრა, რომ ვუყვარდით. მერე მშობლებს სთხოვა, ის ტკბილეული და ხილი, რაც მის სანახავად მივიტანეთ, ჩვენთვისვე ჩამოერიგებინათ. ხილისა და შოკოლადისთვის პირი არავის დაუკარებით.

— ნეტავ კარგად გახდებოდეს და სულ არ ამოვილებ ხმას გაკვეთილზე, — თქვა გიამ.

— მე ვერ გავჩუმდები, ყბედი ვარ, მაგრამ ოღონდ კარგად გახდეს და თუნდაც ისე მაჯანჯლაროს, ტვინის შერყევა დამმართოს, — თქვა ნიკომ.

სხვებს არაფერი გვითქვამს, დათრგუნულები ვიყავით.

იმ ღამეს გარდაიცვალა ჩვენი კოპნია, ლამაზი, გაუთხოვარი მასწავლებელი...

გიაც აღარაა ცოცხალი, ნიკოსი კი არაფერი ვიცი...

ნეტავ სად არიან ის ლალი ბიჭები და გოგოები? ერთად რომ დავრბოდით, ჩანთებსა და წიგნებს რომ ვურტყამდით ერთმანეთს... მერე გოგოებს მკერდი წამოგვეზარდა, ბიჭებს ხმა ჩაეხლიჩათ და გაპრანჭვა ვისწავლეთ.

ჩემი კლასელი მახსენდება — ბავშვობიდან მოყოლებული რომ ვუყვარდი. არაფრით მანუხებდა სხვა, გიში თაყვანისმცემლებისგან განსხვავებით. ხან მინდვრის ყვავილები მხვდებოდა მერხზე, ხან რამე მცირე საჩუქარი... ჩუმი, უხმაურო, უპრეტენზიო იყო მისი სიყვარული. მზერაც კი არ გაუსწორებია არასდროს... იქნებ

ამიტომ ვერ ვიტანდი? ჩვენ, ქალებს, ასეთი ჩუმი კაცები ხომ იშვიათად მოგვწონს? ჰოდა, გველისთვალებიანს ვეძახდი და დავცინოდი. ნეტავ გველის თვალებში როდის ჩამეხედა? არადა, იმ ბიჭს ისეთი ლამაზი, ზურმუხტისფერი თვალები ჰქონდა, ბევრი ვერ დაიკვეხის... ახლა ძალიან მრცხვენია — ჩემი უტაქტო საქციელით რა მწარედ ვტკენდი გულს... ჰოდა, რომ მეგონა ჩემზე ოცნებაში ასე ჩუმადვე ამოხდებოდა სული, 19 წლისამ ცოლი მოიყვანა და კი დამტოვა გაოცებული...

ნეტავ როგორაა?

ჩემი კლასელები მახსენდებიან, ურთიერთობა თითქმის არავისთან მაქვს. დრომ სიშორის საზღვრები დაგვიწესა და ალბათ ჩემსავით მათაც, ხან ცხადად და ხან ფრაგმენტულად, ახსენდებათ წლები, რომელსაც დიდობაში განუმეორებელ ხანას ვუწოდებთ...

დავიღალე.

სანამ კვლევაზე შევიდოდი, ექიმს ვკითხე:

— რამდენ ტესლიანია თქვენი აპარატი? თავის ტვინის შრეებში ღრმად აღწევს?

— ისე ღრმად, რომ ვერც წარმოიდგენთ...

ტვინის არ ვიცი და მეხსიერების შრეებში კი, აშკარაა, შეაღწია.

კარის ხმაა. ვიღაც შემოდის.

— არტემიდა! — ვიძახი უეცრად.

— რაა?

— არტემიდას ტაძარი! ერთ-ერთი, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან.

— მორჩა, უნდა ადგეთ! — მესმის გაოცებული ხმა და ნელ-ნელა სინათლისკენ მოვცურავ.

— მოიცათ რა, ცოტა ხანს კიდევ ვიქნები, ბევრი დამრჩა გასახსენებელი...





ანა
განოველი

କ୍ଷୁଣ୍ଡ କ୍ଷେତ୍ରକିଳାର୍ଥ ଏନ୍ଦାତେଖିଲ୍ ମହାକାରୀ,
କ୍ଷୁଣ୍ଡକାର୍ଯ୍ୟଲୋକ ଦ୍ୱାରା ହିତେବି ଗ୍ୟାଲେରୀ,
କ୍ଷୁଣ୍ଡ କ୍ଷେତ୍ରକିଳାର୍ଥ ଏନ୍ଦାତେଖିଲ୍ ଧୀରଜ,
ଦ୍ୱାରାନ୍ତକାଳ, ରାତର, ଶେଷ ମେଘପୁଣ୍ୟରୀ.
ଗାନ୍ଧିଶାର୍କର୍ଯ୍ୟରାମ ମେ ଲ୍ରାନ୍ତର୍ଦ୍ଵାରା ମାତ୍ରରୀ,
ଗ୍ୟାଲୋ ପାଇଁ – ନିର୍ଵିଳ, ରାତରକାର୍ଯ୍ୟ ଫ୍ରାନ୍କମିଳ୍ଲୋ,
ଶେଷର୍ଥୀ ଫୌଜିର୍ଯ୍ୟରୀ ଲୋ ମେନ୍ଦ୍ରାଜ:
ରାତରକାର୍ଯ୍ୟ – ନିର୍ବିଳ, – ମୁଖ୍ୟି, ଫ୍ରାନ୍କମିଳ୍ଲୋ.

5. ପାନକ୍ଷେତ୍ରଗୀଳୀ



ანა განოვანი

დოკოს მაჭარებელი

წევდის წუთისოფელი, სევდით შემოვიარე,
ვერ ვიშმორებ ცხოვრების ქრილობებს და იარებს.
ცხოვრება ხომ ბრძოლაა, ტვირთი, – სატარებელი,
წამითაც არ ჩერდება – დროის მატარებელი.
მიდის, მიძერის, მიარღვევს: უსასრულო ნაპირებს,
ბევრჯერ გაგვახარებს და...
ბევრჯერ მწარედ გვატირებს.
ბოლოს მაინც წაგვლეკავს, –
ბობოქარი დინება,
დრო კი, მაინც, მიდის და...
მაინც, მიედინება...
სიცოცხლე კი – მიფრინავს, –
გვსურს დავიწყოთ – ახლიდან,
მაგრამ, უკვე, მივდივართ,
წუთისოფლის სახლიდან.
ცხოვრება ხომ ბრძოლაა,
ტვირთი, – სატარებელი;
წამითაც არ ჩერდება –
დროის მატარებელი...

၁၃၁

ტყეში, მოუსვენრად,
დათარეშობს ქარი,
ისე — გიუმაჟია,
ისე — ცელქი არი.
ეჯახება ხეებს,
ფოთლებს ცაში აფრენს,
წითელს, ყვითელს, ლიას
მთლად მინაზე აფენს.
სულ არ ეცოდება —
არც ხე, — პანანინა,
შიშისაგან შემქრთადს,
ლამით რომ არ სძინავს.
ვის შეუხსნის ფანჯრებს,
ვის შეუხსნის კარებს,
ეხთქება ბუჩქებს
ბალახებს ძირს აწვენს.
ტყეში, მოუსვენრად,
დათარეშობს ქარი,
ისე — გიუმაჟია,
ისე (კლები არი!)



ძვირფასო, როცა შენ მეგულები!..

სულ სხვანაირად ანათებს მთვარე,
სიყვარულით ძერს ჩვენი გულებიც,
სულ სხვანაირად ანათებს ზეცაც,
ძვირფასო, როცა, შენ მეგულები.
განშორებამ მე ლანდად მაქცია,
გული კი – იწვის, როგორც ტრამალი,
შენზე ფიქრები ისე მეწვია:
როგორც – ნიავი, – ცელქი, ფრთამალი.
ნუშის რტოებს, რომ დანამქრავს ფიფქი,
ამ გაზაფხულზე, მსურდა მენახე:
ზღვა სიყვარული მომაქვს თილისმალ,
ოცნებით, მაინც, მოვალ შენამდე.
სულ სხვანაირად ანათებს მთვარე,
სიყვარულით ძერს ჩვენი გულებიც,
სულ სხვანაირად ანათებს ზეცაც,
ძვირფასო, – როცა შენ მეგულები.

ნეტავი, ვისოდე...

ნეტავი ვიცოდე შენ ჩემზე რას ფიქრობ?!..
ვიცოდე, ჩემს მიმართ, რასა გრძნობ?!..
თითქოს გიყვარვარ და თითქოს არ გიყვარვარ,
შენს ფიქრებს, შენს განცდებს ერთხელ არ გამანდობ...
მე შენი ხატება სულ მუდამ თან დამდევს,
ალბათ, სიყვარულიც მეწვევა,
შენზე ფიქრები – მტანჯავს და... მაწვალებს,
ოცნება სულ შენსკენ მომიძლვის, მეწევა...
ვაითუ მომტაცო გული, – სამუდამოდ,
და შენ კი იქნება, სულაც, არ გიყვარდე?!.
ვაიმე, რაღა ვენა?!.. ან რა მეშვეოლება?!..
უშენოდ ძალიან, ძალიან ვიდარდებ!..
უშენოდ გაქრება დღეები, – მზიანი,
ფიქრებიც დაჰქრიან, – ქარდაქარ,
დავდივარ, დაგეძებ, დავდივარ, დაგეძებ, –
სადა ხარ?!.. ნეტავი, ნეტავი, სადა ხარ?!..

სულ, შენზე ფიქრია...

დავდივარ, დაგეძებ, დავდივარ, დაგეძებ,
დღეები უშენოდ, უშენოდ, მიქრიან,
ასე, რომ მტანჯავს და... ასე, რომ მაწვალებს,
სულ შენზე ფიქრია, სულ შენზე ფიქრია.
დავდივარ, დაგეძებ, ამ ლამაზ მთებში და...
თოვლიან ქედებში გიპოვო, – იქნება,
ნეტავი, სადა ხარ?.. ნეტავი, სადა ხარ?..
ან რად გამიჭირდა – მე, შენი – მიგნება?!..
დავდივარ, დაგეძებ, დავდივარ, დაგეძებ,
შენს მოვლას უცდიან ნაცნობი თელებიც.
მოდი, რომ გაბრწყინდეს მაგ თვალთა ციალით
ლამაზი, ნათელი – ზღვა, ცისარტყელების.
გიხმობ და... გეძახი, გიხმობ და... გეძახი,
დღეები უშენოდ, უშენოდ, მიქრიან,
ასე რომ მტანჯავს და ასე რომ მაწვალებს,
სულ შენზე ფიქრია, სულ შენზე ფიქრია.



მარიამ გოვარდინი

12



לעומת הדרישות הפלגית, מטרת הדרישות הפלגית היא:

ඩ. ගෙන්ටර් සේවකලාංග

ქართული ენე-ფილოგრაფი

ჩვენ რომ ციხე-ტაძრები გვაქვს,
ცად ასული მიწიდან,
ის ტაძრები ვინ ააგო,
ქვა და კირი ვინ ზიდა?
ვინ მოხატა ის ფრესკები,
ის ჩუქურთმა ვინ კვეთა,
მერე მათ გადაწხაპნას
და ჩამომლას ვინ ბედდა?
ვინ ააგო –
ალავერდი, იყალთო და გრემი
და ასეთი დიდებული
ტაძარი გვაქვს ბევრი.
ვინ ააგო გელათის და
გერგეტის სავნე,
ასე თვალისმომჭრელი და
ყველა ქვა რომ ღალადებს!
კლდის თავს ვინ ააშენა
ნეკრესი და ჯვარი,
ღმერთოო, ეს რა სიმდიდრე
და ზეციური მოგვეც თვალი!
სვეტიცხოვლის აგბისთვის
ოსტატს მკლავი მოჭრეს,
„უკეთესი არ აეგო“ –
ახლაც ნაღვლად მომდევს!
ან ვინ კვეთა რუდუნებით,
უფლისციხე და ვარძია,
გავრბივარ და თან მომძახის:
„აქ ვარ, ძია... აქ ვარ, ძია!“
აქ ვარ! –

ჩემი საქართველო
 ჩემი ციხე-ტაძრები,
 გულს მიჩქარებს, სულს მიხუთავს
 და არსად ვარ გმიქცევი.
 ჩვენ რომ ციხე-ტაძრები გვაქვს,
 ცად ასული მინიდან,
 ის ტაძრები ვინ ააგო,
 ქვა და კირი ვინ ზიდა?!.



მარიამ გორგაძე





შემოიძარცვა

შემოიძარცვა ზაფხულმა სამოსი მწვანე,
კარს – შემოდგომა აფახულებს ოქროსფერ თვალებს,
სურნელად აფრევევს სიმწიფისგან მზით სავსე მტევნებს
და დიდი გარჯა დადგომია გლეხკაცის ხელებს.
ქუჩა მოურთავს ფერად-ფერად
ხეს შემწყდარ ფოთლებს,
ვეღარ ერევა ნიშა ხარი პირსავსე გოდრებს,
ზანტად მოდის და მოაგორებს დატვირთულ ურემს,
გლეხკაცის ღილინს თავის ურმის ტკბილ ჭრიალს ურევს.
ხავერდისფერი დასდებია მადლიან ველებს
და დიდი გარჯა დასდგომია გლეხკაცის ხელებს,
რადგან სანახელს დაუღია ძალუმად პირი,
უნდა მუცელი გაიხეთქოს ნატური ღვინით...
და მზე მიწაზე ჩამოვიდა მზისფერ სვეტებად...
და შემოდგომაც კარზე მოდგა ათასფერებად...

აპრილი

(ცესპრომტი)

აპრილმა მწვანე, ხასხასა კაბაზე
იები დაიკერა ყვითელთვალა,
მერე ჩამოჯდა და ყველა ცრემლი,
ვაზის ლერწს დადენილი, დაითვალა!
ბალში ტკბილ ტაროსად შეიპარა,
ალუჩას გულისპირი დაუკოცნა,
ყველა ხის სიშიშვლე შეიფარა,
ვარდებს დედოფლიბა დაულოცა!
ბულბულმა ჩასტვინა და შეაკრთო დედამიწა,
შაშემაც შეჰვალობა ცხრათვალა მზეს:
– ყვავილებს ფერები ესაკლისათ,
ამოდი, აანთე ოქროსფრად დლე!
...აპრილი ჩამოჯდა და ვაზის ლერწს დადენილი,
ყველა დარდი და ცრემლი დაითვალა,
მერე წამოდგა და დარდებაკრეფილი,
მაისის მოსვლამდე ფრთხილად გაიპარა!

ნიკო ფიროსიძე

ჩემო მხატვარო,
აიღე ფუნჯი და მოუსვი დინჯად
თეთრ ფურცელს,
სევდის ნაპერწკალს
ნუ აანთებ ბაჯალლო გულში.
რა ვუყოთ მერე,
ფრანგმა მარგომ თუ გილალატა,
ღალატისფერი ნაკვალევი დატოვა სულში...
მოუსვი ფუნჯი და ცოცხალი ხატე ფერები,
სულს ნუ დაამჩნევ
გარდასული დღეების რისხვას.





გინდა, თბილისი გამოსახე შენებრ ფერებით,
 ან მეტოვე სისხამ დილით ქუჩას რომ გვიდა!
 ჩემო მხატვარო,
 თავადური ხატე ნადიმი,
 ორთაჭალელი ლამაზმანი
 ცრემლებს იქარვებს.
 არ დაგავიწყდეს,
 მთვარეს შეხსნა
 ღრუპლის საკიდი,
 ალაზნის პირას იქუხა და რთველში იავდრებს!
 ხატე, მხატვარო,
 შენი ფუნჯით ღვთითკურთხეულით,
 ხატე მდიდარი, მებადური, ლომი ღრიალა,
 ხატე უირაფი, გრძელფეხება ჭრელი სამოსით,
 ნუ შეშინდები, არ დაგაფრთხოს
 ფერთა კაფმა!
 ჩემო მხატვარო,
 შეამთვრალე მირზანს ლამე,
 არსიანის მთას მოსდგომია
 პირსავსე მთვარე,
 ჭოტის კივილი სადაცაა გააპობს ლამეს
 და განდეგილი მწუხრის ლოცვას
 ისევ აღავლენს...
 შენ კი, მხატვარო,
 უნდა დახატო,
 ხომ კარგად იცი,
 ფუნჯები შენი
 აიტანს რამდენს...

ზორა ქალი

(გამოხმაურება ანა კალანდაძის – პოეზიის დედოფლის – ლექსს)

ხან ჩაუსტვენს მეზღვაური,
 ხანაც მთვარე შეკრთება,
 დაირას და უღარუნას ხმა
 ზღვის ტალღებში ერევა.
 ბოშა ქალის ჩუმ ნაღველზე
 დაირაც კი ინაღვლებს,
 სურვილის ზღვა აიშლება,
 მაღლიდან ცა იავდრებს...
 ბოშა ქალო,
 ხელგაშლილი მეზღვაური
 კოცნასაც ხომ დაგპირდა,
 განენილი თმის სურნელი
 სურს შეიგრძნოს თავიდან,
 ციდან მთვარე გიდარაჯებთ,
 რომ დაგბადოთ ახლიდან...
 ზღვის ტალღებიც მოლიცლიცე,
 მასთან გიხმობს, ნაპირთან
 გაგეპრანჭოს და ნაღველი
 ჩამოგრეცხოს სახიდან...
 სანაპიროს ბოშა ქალო,
 სტვენით ნუღარ ჩაიარ...
 დაუკარი, დაუკარი
 ბოშა ქალო, დაირა!



ლანა განველი

— სად ფაინანსი ამ შეკლამისას! — ფაუსურია.
მან ჰქონის არ გასწავა. შპროლოგოვაშ ჩალენა საბინებელში
შეიცვანა. ლურ ჩხუმს ავრიცელებდა. მელოდი საართაზოში
შევარდა და ატირდა. მმა კარის სახელის უკაფებურებოდა
და არ წერებოდა:

— რაო, ახლა ზაფშესაკ დაატარებ ძველი შეცვალე-
ბულების მოსაძებნად?

მელოდის იაჭვერიული სიწილი აუცილა. მერე ისევ
ატირდა. ამაზე ლურ სულ გადაირია:

— იყოდე, ჩემი ხელით მოგაქლოვ!

მელოდის სიმწილისგან ქვედა ტუჩი მოიკინია.

ლ. მანველი



Il est où le bonheur

სად არის ბედნიერება

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 5, 2021 წელი; „ოლე“ №1, 2, 3, 4, 5, 6, 2022 წელი; „ოლე“ №1, №2, №3, №4, 2023 წელი.

მთლად აკანკალებული მელანი, ჩაღლას ტირ-ილმა დააბრუნა რეალობაში.

ოთახიდან სტუმრების ხმა მოისმოდა. მელანიმ ჩაღლა თავის პატარა, საბავშვო ხალ-იჩაზე დასვა, იქვე სათამაშოები დაუწყო, თვი-თონ კი ჩირბიან ქვაბს გასათბობად ცეცხლი შეუნთო. მერე კარტოფილთან, პამიდორთან და ნიწაკასთან ერთად მომუშულ ფარშის ბურ-თულებს (კოფტე) ხის კოვზით გემო გაუსინჯა და სანახევროდ გამზადებულ სალათას, ზე-მოდან ზეითუნის ზეთი მოასხა.

ბოლოს, როგორც იქნა, ემირიც გამოჩნ-და. ჩულლუოგლუ-ს სანამცხევრეში შეძენილი ბაქლავის ასორტი მელანის გადასცა და სტუმ-რებთან შევიდა.

მელანიმ წყლით სავსე ჩაიდანი ქურაზე დადგა, შვილისთვის ფიალაზე ოსპის წვნიანი გადმოიღო, შიგ პურის გული ჩაფშვნა და ჩაღლა თავის სათამაშოებთან ერთად საბავშვო ოთახში გაიყვანა.

ემირმა ამხანაგების დახმარებით თვითონ გაიტანა საჭმლით სავსე თეფშები სასტუმრო ოთახში. როდესაც სამზარეულო განთავისუ-ფლდა, მელანი სამზარეულოში დაბრუნდა, პა-ტარა ჩაიდანში ჩაის ფერი დააყენა და ბაქლავა თეფშებზე გადაანაწილა.

ვიდრე ემირს სასტუმრო ოთახიდან თეფ-შები გამოპერდა, სტუმრები სალოცავად გა-სუფთავდნენ. ლოცვის შემდეგ ხოჯამ საუბარი რელიგიურ თემებზე დაიწყო. მელანი ჩაღლას აძინებდა, თან მათ საუბარს უგდებდა ყურს. მალე ერთმანეთს კითხვები დაუსვეს. თან ჩაის

რელიგიური შეკრებები

სტუმრებმა კარზე ზარი რომ დარეკეს, ემი-რი ჯერ კიდევ არ იყო სახლში მოსული. მელანიმ სასტუმრო ოთახში სინათლე აანთო, შემოსასვ-ლელი კარი სანახევროდ გამოაღო, ისე რომ თავად არ გამოჩენილიყო და მობრძანდით! — ჩუმად ჩაილაპარაკა. მერე ჩაღლასთან ერთად სწრაფად შევიდა სამზარეულოში და კარი დახ-ურა.

ასე, ქმრის სურვილით იქცეოდა, რომელ-იც დღითიდე ისლამის წესებით ცხოვრებას მოითხოვდა. მელანიმ ზუსტად არ იცოდა, მუ-სულმან ქალებს ამგვარ ქცევებს მართლა რელი-გია ავალდებულებდათ თუ ტრადიციები, მაგრამ ქმარს უჯერებდა და წინააღმდეგობის განევის სურვილს თანდათანობით კარგავდა. ემოციუ-რი გადაღლილობის ფონზე, ზოგჯერ საკუთარი სახელიც ავინწყდებოდა.

...ერთხელ, სარეცხს ფენდა, უცბად ნიავმა წამოუქროლა და ტანსაცმელი ააფრიალა. თვა-ლი მურადის ახლადგარეცხილი პერანგებისკენ გაექცა. თავისდა უნებურად ორივე ხელისგუ-ლი ქსოვილს მიადო და თვალები დახუჭა. ის-ეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს თავად იყო მურადის დედის შორიდან მოფრენილი სული და შვილის სამოსს მიეაღერსა. გაორებული, სულ





სვამდნენ, ზედ ბაქლავას აყოლებდნენ. შიგა-დაშიგ თავშეეკებულად იცინოდნენ კიდეც. მელანიმ მძინარე ჩაღლა საწოლში ჩააწვინა და მეორე ჩაიდანიც შემოდგა ცეცხლზე.

საღამოს დასასრულისკენ მოგრძო თეფშე-ბზე ხილი გაამზადა და ემირს წასაღებად სას-ტუმრო ოთახის კარზე მიუკავუნა...

გვიან ლამით, როდესაც ჩაღლასაც და მამა-მისსაც უკვე ეძინათ, ფიქრებში წასული მელანი გვიანობამდე რეცხავდა ჭურჭელს. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ ღია აივნიდან შე-მოსული უბნის ძალების ყეფა და თეფშების წკარუნი არღვევდა.

მურადის დაპრუნება

ნებისმიერ სიყვარულს წვრილმანი უსი-ამოვნებები, გაუგებრობები თანდათანობით კლავს და აქრობს. მით უფრო, თუ ეს გრძნობა ძლიერი არ არის და „მჭირდები“-სა „სხვა გზა არა მაქვს“ შორის მიდი-მოდის.

მელანი ბევრს ეცადა, ემირთან ერთად თბი-ლი, მყუდრო, ბედნიერებით სავსე ბუდე აეშენე-ბინა; წარსულში დაეტოვებინა ყველა ტკივილი, უსიამოვნება, მაგრამ როგორც კი გაიფიქრებ-და: „მგონი ყველაფერი დალაგდა!“, – ზუსტად მაშინ იწყებოდა არღულობა.

ქორნინების შემდეგ ემირის მიმართ პატივ-ისცემით და ერთგვარი ინტერესით განეწყო. მერე მადლიერების გრძნობა გაუჩინდა. მოენონა განსხვავებული, მისი ჩვეული გარემოსთვის უცხო სამყარო. მზად იყო ყველანაირ დათმობა-ზე წასულიყო, ოლონდაც სიმშვიდე და წყნარი ნავსაყუდელი ჰქონდა. ქმარი ხანდახან უყვარ-და კიდეც, მაგრამ მისი სულ მცირე უხეშობაც კი საკმარისი იყო მისი გულის გასაგრილებ-ლად. მაშინ საშველს ისევ წარსულმი ეძებდა. ჯონათანზე ფიქრის ეშინოდა. მასთან დაკა-ვშირებულ მოგონებებს ის შემზარავი წუთები ფარავდა, რომლებიც ჯერ კიდევ მარწუხივით უჭერდა ყელში და ირგვლივ ვერც ვერავის სთხოვდა დახმარებას. ამ დროს ფიქრებში, ისევ ელიასთან იწყებდა საუბარს. დარწმუნებული იყო, რომ მისი უპირობო ერთგულება მელანის მიმართ ყველა ტკივილის წამალი იქნებოდა.

ემირმა, სახლში ისე დააპრუნა მურადი, მელანისთვის არც არაფერი უთქვამს. მურადმა მოსვლისთანავე დაინტერესი მელანის ნერვების მო-შლა და ცინიკური რეპლიკები. ემირის სახლში ყოფნის დროს, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ როგორც კი მარტო დარჩებოდნენ მომ-ლიმარი და ვითომ გულლია ბიჭი, უეცრად აუტა-ნელ და ყველაფრით უკამაყოფილო მოზარდად

გადაიქცეოდა ხოლმე. მელანი რამდენადაც შეე-ძლო ითმენდა, ხშირად ჩუმდებოდა, ზოგჯერ მეგობრულად ცდილობდა ჭკუის დარიგებას, მაგრამ უშედეგოდ. ემირი ყველაფერს მის ასაკს აპრალებდა და უზომო მფარველობით ძმას კიდევ უფრო აგულიანებდა.

იმ დღეს ჩაღლას სიცხე ჰქონდა. მთელი ლამე ჭირვეულობდა. შუადღისკენ სიცხემ დაუწია და ჩაეძინა. სწორედ ამ დროს მურადმა ტელევიზო-რი მაღალ ხმაზე ჩართო. მელანიმ რამდენჯერმე სთხოვა, რომ ხმისთვის ოდნავ ჩაეწია. მან არც კი მოუსმინა. პირიქით, სიცილს მოჰყვა და ტელევიზორის ხმას კიდევ უფრო აუწია. მოთ-მინებიდან გამოსულმა მელანიმ ხმას ჩაუწია და ის იყო ოთახიდან გამოსვლას აპირებდა, რომ მურადი წამოხტა, ხელები გაუშალა და ყვირილი დაუწყო. მელანი აკანკალდა. ნერვიულობისაგან პირი გაუშრა. ოთახიდან გამოსულს ემირთან დარეკვა უნდოდა, მაგრამ იქვე გაიფიქრა, რომ ამას აზრი არ ჰქონდა. საძინებელში შევიდა და ბარგის ჩაღაგებას შეუდგა.

გაეცევა

მელანი მძინარე ჩაღლასთან ერთად, სახლ-იდან ისე გავიდა, მურადს არც კი გაუგია. კოკა კოლის ცარიელი ქილებით და მზესუმზირის ნარჩენებით გარემოცული ისევ ტელევიზორს უყურებდა. ემირს საწოლის თავთან ბარათი დაუტოვა, სადაც ერთხელ კიდევ შეეცადა აეხ-სნა, თუ როგორ უჭირდა სიცოცხლე მათ გვერ-დით:

„ემირ... ბევრს ვეცადე თქვენი ცხოვრები-სთვის ფეხი ამეწყო... ვეცადე ყველაფერი გამე-კეთებინა თქვენთვის, ალბათ შენც...“

არც ისე დიდი დრო გავიდა, მას შემდეგ, რაც მე მშვიდი ცხოვრების საშუალება მომეცა. მაგრამ ახლა, ძალიან, ძალიან მიჭირს ...

ვფიქრობ სჯობს ცოტა ხნით ცალ-ცალკე ვიყოთ...“

მელანი“

აეროპორტში წასვლამდე, უბნის ოქროუ-ლის მაღაზიაში შეიარა და ჩაღლას ოქროს მონ-ეტები ფულზე გადაცვალა.

Aéroport d'Orly

თვითმფრინავიდან ჩამოსული მელანი, შვილთან ერთად, გასასვლელისკენ მიმავალ ხალხის ნაკადს შეერია. თუმცა შვილით ხელში



სწრაფად სიარული ვერ შეძლო. მალევე ჩამორჩა, ზურგჩანთა მოიხსნა და ჩაღლასთან ერთად იქვე, დერეფანში ჩამოჯდა. ადრე ასე არასოდეს მოიქცეოდა, არ უყვარდა სხვები პირდაპირ ძირს რომ ჯდებოდნენ. მაგრამ ახლა მისთვის ყველაფერი სულერთი იყო. უწყვეტად მოდენილ ცრემლებს ხელისგულით იწმენდდა და მისი ტირილით გულარუყებულ 3 წლის შვილს აკანკალებული ხმით ერთი და იგივეს უმეორებდა: *C'est ma patrie, Annette!..**

ბავშვი დედას მჭიდროდ მიეკრა და თურქულად იკითხა: *Baba ne zaman gelecek?*** – მელანიმ თავზე ხელი გადაუსვა და არაფერი არ უპასუხა. ჩაღლა გაჩუმდა.

მელანიმ არ იცოდა, ახლა როგორ მოქცეულიყო. ვერ გადაეწყვიტა, დედისთვის დაერეკა და მათი ჩამოსვლა ეცნობებინა თუ პირდაპირ თავზე დასდგომოდა.

– ნეტავ, სხვა გზა კიდევ არსებობდესო, – გაიფიქრა და თავის უსუსურობაზე კიდევ უფრო აუჩუყდა გული.

ვიდრე შენობას დატოვებდნენ სტარბაქში თავისთვის ყავა, ხოლო ჩაღლასთვის წყალი და *Pain au chocolat****-ი იყიდა და ცოტა სული მოითქვა.

პარიზიდან სტრასბურგამდე მატარებლით იმგზავრეს. ნაცრისფერი, ცივი და ნეიმიანი დღე, კიდევ უფრო სევდიანად განაწყობდა მელანის. ტრამვაიში ველოსიპედებით და ინვალიდის ეტლით გადახერგილ ვაგონში ფეხზე დგომა მოუწიათ. ჩაღლა მუდმივად ხელში აყვანას ითხოვდა. არაბი ინვალიდი ქალი ხმამაღლა იცინოდა და თავის მეგზურს უწყვეტად ელაპარაკებოდა. მელანიმ ბავშვი ხელში აიყვანა და რომ არ წაეცეულიყო, დაძაბული ზურგით ფანჯრებს მიეყრდნო. რამდენადაც უხარიდა სამშობლოში ჩამოსვლა, იმდენად უცხოდ და მიუსაფრად გრძნობდა თავს. გარეთ წვიმამ უმატა.

– *Prochain arrêt: „Cervantès“***** – მონოტონურად გამოაცხადა დისპეტჩერმა. მელანიმ ჩანთიდან ქოლგა სწრაფად ამოიღო, ბავშვი გულზე მჭიდროდ მიიკრა, ჩახერგილ გასასვლელში წვალებით წაინია წინ და ტრამვაიდან გამოსასვლელად მოემზადა.

შარლოტა

იმ დღეს შარლოტას გვიან გაელვიძა. ხერხემალი სტკიოდა. სხეული გაჭიმა. ბალიშები საწოლის თავს მიაყუდა და ლოგინში გაჭირ-

* აქ ჩემი სამშობლოა ანეტი.. – (თარგმანი ფრანგულიდან).

** მაბა როდის ჩამოვა? – (თარგმანი თურქულიდან)

*** ტებილი ღვეზელი შოკოლადის მარცვლებით.

****შემდეგიგანურება: „სერგანტესი“ – (თარგმანითრანგულიდან)



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ვებით წამოჯდა. საღამოს სპექტაკლში უნდა ეთამაშა. იქვე ტუმბოზე დადებული როლი საფერფლესთან ერთად აიღო და სიგარეტს მოუკიდა. სანახევროდ გადმოხსნილი ფანჯრიდან ცივი ჰაერი შემოდიოდა. აღარც ახსოვდა უკვე მერამდენე წვიმიანი დღე უთენდებოდა სტრასბურგს. ძლიერმა ქარმა წვიმის წვეთები ფანჯრის მინას შეასხურა. წვიმა უყვარდა. აი, ქარი კი ეჯავრებოდა. მის ისედაც გათხელებულ თმას რომ აუფრიალებდა და ვარცხნილობას უჩეჩავდა. სიგარეტის კვამლმა ყელი დაუწვა. იქვე დადგმული ბოთლიდან წყალი ყლუპებით მოსვა. ამ ბოლო დროს მადა საერთოდ არ ჰქონდა. საჭმელს ინერციით ჭამდა. ბევრს ეწეოდა და თამაშობდა. თამაშობდა თეატრში და თამაშობდა ცხოვრებაში. პირველი უყვარდა, ხოლო მეორე სძულდა. როლი ბოლომდე გადაიმეორა და წამოდგა. შავ მაქმანებიან პენუარზე, მისივე შემოსაცმელი შემოიცვა, გარდერობის სარკეში აჩეჩილი თმა შეისწორა, შესიებული თვალების გარშემო წრიული მასაჟი გაიკეთა და ფანჯარა ბოლომდე გამოაღო.

ისევ სიგარეტისკენ გაექცა თვალი. კოლოფზე გამოსახული ავადმყოფი ადამიანის ფოტოს ხელი დააფარა და ახალი ლერი ისე ამოიღო. მოუკიდა. კვამლმა მისი ტვინის ყველა უჯრედში შეაღწია. ხელებში სიცივე და გაბუჟება იგრძნო. ჩამოჯდა. თავბრუ ეხვეო-





და. ყელში რაღაც უჭერდა. სწორედ ამ დროს კარზე ზარი გაისმა. თავიდან წამოდგომა ვერ შეძლო. სიცივე მთელ სხეულში უვლიდა. ზარი განმეორდა. წყვეტილად და მორიდებით. შარლოტამ ორივე ხელი თავზე მიიდო და წამოდგა.

შევეძრა შვილიშვილთან

გადაფითრებული დედის დანახვაზე მელანის კიდევ უფრო შეამცივნა. ჩაღლა დასველებულ ჯინსზე ეკვროდა და მის ფეხებში ცდილობდა სახის დამამდვას. ღია კარს მოჭიდებული შარლოტა, მოსულებს უცნაურად აკვირდებოდა.

— Maman, — ამოღერლა მელანიმ.

შარლოტამ დაპინძული მზერა ჩაღლაზე გადაიტანა, წინ ოდნავ გადაიხარა და გაღიმება სცადა: *Ma petite fille**.

ჩაღლამ დედის ფეხს თვალი მოაცილა და შარლოტას მორცხვად გაულიმა.

შარლოტამ წყნარად გახადა ჩაღლას სველი სამოსი. მელანის დიდი, თბილი პირსახოცი მოატანინა და შვილიშვილი შიგ გაახვია. მერე მოცვის იოლურთი აჭამა. თან ფრანგულად ელაპარაკებოდა. ჩაღლა მის შეკითხვებს თურქულად პასუხობდა. მელანი თარგმნიდა. თანადათან ისიც მოშინაურდა. დედამისს მისი ოთახი გადაეკეთებინა. საწოლი გაეტანა და იქ ბიბლიოთეკა მოეწყო. მისი ნივთებიდან მხოლოდ საწერი მაგიდა დაეტოვებინა.

მელანიმ ზურგჩანთა შემოსასვლელში დატოვა. იქვე ამოალაგა ჩაღლას სამოსი და ოთახში, სავარძლის საზურგებზე გადაკიდა.

შარლოტა მელანის დიდხანს არაფერს ეკითხებოდა. მხოლოდ საღამოს, როდესაც ბავშვი დააძინა და სარკის წინ თეატრში წასასვლელად მზადება დაიწყო, შვილს მკაცრი ტონით შეეკითხა: ემირმა იცის აქ რომ ხართ?

მელანის დედის სიცივეზე გული ამოუჯდა. შარლოტამ გააგრძელა: რა ხდება, მომიყევი.

მელანიმ ლაპარაკი დაიწყო. ამდენი ხნის მანძილზე დაგუბებული სიტყვები, თავისით იღვრებოდნენ. ყველოდა ყველაფერს, რაც იქ, თურქეთში წლების მანძილზე ანუხებდა და გულს სტკერდა. შარლოტა ჩუმად უსმენდა. ნელა აიფუა კეფაზე თმა, ისევ ისე, როგორც მელანის ბავშვობაში იცოდა. სახეზე თითების დახმარებით გადაინაწილა ტონალური კრემი. ზემოდან პუდრი ისევ არ წაისვა. თვალები ოდნავ შესამჩნევად მოიხატა, წამნამები აიპრიხა, ტუჩებზე ღია შვინდისფერი პომადა მსუბუქად გადაისვა და დასასრულს დიპტიკის სუნამო იპკურა. ჯერ

* ჩემო პატარა გოგო – (თარგმანი ფრანგულიდან).

ყელთან, მერე მაჯებზე. მცირედი შეყოვნების შემდეგ ორივე მაჯა ცხვირთან მიიტანა და სურნელი ღრმად შეისუნთქა.

— ახლა რას აპირებ? — მელანი მიხვდა, რომ დედას მისი დახმარება არ სურდა. რა უნდა ეპასუხა. მას ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა. გონებაში ელიასის სახელმა გაუელვა. ტკივილით მოეკუმშა გული.

შარლოტა წავიდა. მელანი სარკეს მიუახლოვდა, ყველა ნივთი მოაწესრიგა და სინათლე ჩააქრო.

TITISEE

სულიერი სიმარტოვისგან გადაქანცული ელიასი, ძალების აღსადგენად სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის მთებში გაემგზავრა. ოქტომბრის ბოლოსთვის ახალი გამოფენისთვის უნდა მომზადებულიყო, რომელიც პარიზში Plaza Athénée Hotel-ის ფონებში ორი კვირის განმავლობაში გაიმართებოდა.

სადღაც შუადლისკენ, თავისი ნაცრისფერი პეჟო, სასტუმრო „Zur Traube“-ის ავტოსადგომზე გააჩერა და ვიდრე მანქანიდან გადმოვიდოდა, სხვადასხვა ფერის ანტიდეპრესანტები ჩაიყარა პირში, ზედ მინერალური წყალი „სან პელეგრინ“ დააყოლა და თავისთვის ამოთქვა: *Willkommen Elias!***.

გრილოდა. ტიტიზეს ტბიდან 10 წუთის სავალზე მდებარე, ბადენ-ვიურტენბერგის მხარის ამ ისტორიულ სასტუმროში, ის უკვე რამდენჯერმე იყო ნამყოფი. უყვარდა აქ ჩამოსვლა და ჩანახატების გაკეთება. ასევე მოსწონდა რეგიონალური შავი ტყის ნატურალური პროდუქტი და ღვინო, რომლითაც სასტუმროს ბინადართ უმასპინძლდებოდნენ.

მანქანა დაკეტა, ჩანთა და საღებავების ყუთი აიღო და ხის შენობისკენ ნელი ნაბიჯით წავიდა.

იქვე, ახლოს, მდებარე ეკლესის სამრეკლოზე ზარს შემოჰკრეს. ულურჯესი ცის კიდეებს თეთრი ღრუბლები ბამბის ქულებივით დაჰკიდებოდნენ.

სასტუმროს მოხატული ფასადი ზამბახისფერი, ვარდისფერი და თეთრი ყვავილებით კიდევ უფრო დაემშვენებინათ. ელიასმა ადმინისტრატორს აითახის გასაღები გამოართვა, ძველებური ნივთებით მორთულ კიბეს სვენებ-სვენებით აუყვა და 203 ნომერ კართან შეჩერდა. დერქფანში ყველაფერი ისევ ისე ხელუხლებლად იყო, როგორც მისი ბოლო სტუმრობისას. მოხატული კარადები, პორდოსფერი ხავერდის ფარდები,

** მოგესალმებით ელიას! — (თარგმანი გერმანულიდან).



საკერავი მანქანა, ქვანახშირის ფაიფურის უთო და ბერძნული ქანდაკებების მიბაძვით ჩამოსხმული უზარმაზარი სანთლები. ხის კარადაში ჩასმული საათიც ისევ მუშაობდა და ყავისფერ-კრემისფერ ნაჭრებ გადაკრული ბრებიც ისევ ანათებდნენ. ოთახში ჰაერი დაგუბებულიყო. აივნის კარი გამოაღო და აბაზანაში შევიდა. საწოლის გვერდით კომოდზე ბიბლია იდო. ფრთხილად აიღო და უჯრაში შეინახა. გვერდით ოთახიდან სიცილის ხმა მოისმა. ლოგინში ჩაწვა, თავზე საბანი წაიფარა და ვიდრე ვახშმის დრო მოვიდოდა ცოტათი წაუძინა.



ლანა მანველი

რესტორანში ხალხმრავლობა იყო. მისი მაგიდის თავთან სასტუმროს დამფუძნებლების – მარია როზა შვაბის და მისი მეუღლის იოჰან პფაფის პორტრეტები ეკიდა. ოფიციანტმა წითელი ლვინო და მენიუ მოუტანა. ელიასმა ჩვეულების სანინააღმდეგოდ სწრაფად ივახშმა და გარეთ გავიდა. ვერანდაც სავსე იყო სტუმრებით. სასტუმროს ირგვლივ შემოუარა და ოთახში დაბრუნდა. სიმარტოვე, საკუთარ თავთან დარჩენა უყვარდა. ასე უკეთ გრძნობდა საკუთარ „მეს“.

ლამით ფეხი აწუხებდა. გათენებისას ჩაეძინა და მალევე ეკლესის ზარებმა გამოაღვიდეს. აივანზე გავიდა, სიგარეტს მოუკიდა და ცას ახედა: ნეტავ, მელანიც თუ უყურებსო ახლაცას?.. ამდენი წლის შემდეგ, მელანი მისთვის რეალურსა და ირეალურ სამყაროს შორის ფეხაკრეფით მოსიარულე მონატრება იყო. ხანდაპან მისი რეალური გარეგნობაც ავინუდებოდა. მხოლოდ იმ პირველი შეხვედრის მოგონება არ ხუნდებოდა. პატარა მელანის გაბრაზებული და ნამტირალევი სახე სამუდამოდ აღბეჭდილიყო მის გონებაში.

დილაადრიანად, საუზმის შემდეგ, რეგისტრატურაში შემოთავაზებულ ავტობუსის ბილეთებზე უარი თქვა და ტიტიზეს ტბისკენ მანქანით წავიდა. მანქანა მატარებლების სადგურთან ახლოს მდებარე ავტოსადგომზე გააჩერა. ტურისტებით სავსე ქუჩები ფრთხილად, ჯოხის დახმარებით გაიარა და მდინარის ნაბირას, ქვის ლოდებზე ჩამოჯდა. მისგან ოდნავ მოშორებით ორ ზამბახისფერ – შავ და ცისფერ – თეთრ გასაბერ ნავებში ქალი და კაცი იჯდა ორი ძალლით. რაღაცას ჭამდნენ და ძალებსაც უნანილებდნენ. საცურაო კოსტუმში გამოწყობილ ქალს სამაშველო ჟილეტი ეცვა, ხოლო

ჭრელშორტიან კაცს მაისური გაეხადა და ტანს ზემოთ შიშველს, ყელზე მოეხვია.

ძაღლებსაც პატარა, შავი ულეტები ეცვათ. მათთან ახლოს იხვები დაცურავდნენ.

ელიასმა ზურგჩანთიდან ქალალდი და შავი ფანქარი ამოილო და ხატვა დაიწყო.

ნარსულისკენ

ლოელი ორი კვირის განმავლობაში მელანი უბანს არ მოცილებია. სახლიდან თითქმის არ გადიოდა. ხანდახან მარკეტში თუ წავიდოდა. არავისთან არ უნდოდა შეხვედრა, უხაროდა როდესაც შარლოტა სახლში არ იყო. მაშინ ფიქრის საშუალება ეძლეოდა, რამიც ჩაღლას მშვიდი ხასიათიც ხელს უწყობდა.

იმ დღეს, სახლიდან ჩაღლასთან ერთად რომ გამოვიდა, უკვე საღამო ხანი იყო. შარლოტა ჯერ არ დაბრუნებულიყო. ქუჩა ისე გაიარეს ნაცნობი არავინ შეხვედრიათ. გაჩერება „დანტემდე“ ფეხით მივიდნენ. მერე „დ“ ნომერ ტრამვაიში ჩასხდნენ და ქალაქის ცენტრში გავიდნენ. გზა თეატრისკენ ფეხით გაიარეს. ჩაღლა დაიღლალა. მელანიმ ხელში აიყვანა. ბავშვს ძილი მოერია და დედას კიდევ უფრო ჩაეხუტა. ორმა ბაიკერმა ხმაურით ჩაუქროლეს. ჩაღლა შეკრთა. მელანის ჯონათანი დაუდგა თვალწინ. მასთან ერთად გატარებული ბედნიერი დრო გაახსენდა. ასე ეგონა მას შემდეგ ძალიან ბევრი დრო იყო გასული. ტირილი მოუნდა. ყელში სიმწარე იგრძნო. ისევ აერია ფიქრები. შვილი მკერდზე მიიკრა და ცრემლი ჩაყლაპა. არ იცოდა საით მიდიოდა. გამვლელებს გვერდს უქცევდა და მშობლიურ ქალაქს უცხოობდა. გვიანდა მიხვდა, ბავშვობის უბანში მოსულიყო. ჯერ თავიანთ ყოფილ აივანს ახედა, აივანზე სქელი ფარდა დაეკიდათ, მერე ელიასის დეიდის ფანჯრებს ააყოლა მზერა. სინათლე არსად არ ენთო. გარემო, ადამიანები შეცვლილიყვნენ. არათოთზე მორგებული საქორნინო ბეჭედი მოისინჯა. მიხვდა, რომ თავადაც შეცვლილიყო. უცბად, ძალიან მოუნდა სახლში, დედასთან დაბრუნდა. ბინდდებოდა. ცა ისევ იქუფრებოდა. ნაბიჯეს აუჩქარა. მძინარე ჩაღლა კიდევ უფრო დამძიმებულიყო. ტრამვაიდან რომ გამოვიდნენ, უკვე წინწკლავდა. რამდენადაც შეეძლო ჩქარი ნაბიჯით გაუყვა დაცარიელებულ ქუჩას. კარი ლუიმ გაუღლო.

– სად იყავი! – შეუბლვირა. შარლოტამაც





გამოიხედა და მძინარე ბავშვი გამოართვა. ლუი ისევ ღია კარში ჩადგა და შეკითხვა გაუმეორა. მელანიმ შესვლა სცადა. ლუიმ ხელი ჰკრა:

– სად დაიარები ამ შუალამისას! – დაუყვირა.

მან პასუხი არ გასცა. შარლოტამ ჩაღლა საძინებელში შეიყვანა. ლუი ჩხუბს აგრძელებდა. მელანი სააბაზანოში შევარდა და ატირდა. ძმა კარის სახელურს ეჯაჯგურებოდა და არ ცხრებოდა:

– რაო, ახლა ბავშვსაც დაატარებ ძველი შეყვარებულების მოსაძებნად?

მელანის ისტერიული სიცილი აუტყდა. მერე ისევ ატირდა. ამაზე ლუი სულ გადაირია:

– იცოდე, ჩემი ხელით მოგვლავ!

მელანიმ სიმწრისგან ქვედა ტუჩი მოიკვნიტა.

ვიდრე ლუი არ წავიდა, სააბაზანოდან არ გამოსულა. გვიანი ღამე იყო, თვალებდასიებული ბარბაცით რომ გამოვიდა. შარლოტას ჩაღლა თავისთან დაეწვინა. გათენებამდე ტიროდა. დილით ემირს დაუურეკა და უთხრა, რომ სახლში ბრუნდებოდა.

თურქეთი

სტამბოლის ათათურქის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში უამრავი ადამიანი ირეოდა. იცოდა, ემირი აუცილებლად დახვდებოდათ. მართლაც, გასასვლელს ჯერ მიახლოებულები არც იყვნენ, ქმრის ხმა რომ გაიგონა. ჩაღლას ეძახდა, რომელიც უკვე გახარებული გარბოდა მამისკენ. მელანი ფეხათორევით გაყვა. ემირმა ბავშვი უმაღ ხელში აიტაცა, მას კი გამჭოლი მზერით შეხედა და ღიმილით უთხრა:

– მე რატომ არ წამიყვანეთ? მეც მომენატრასტრასპურგი!

შეეცადა ახსნა-განმარტებებისთვის თავი აერიდებინა. მან კარგად იცოდა, ქმრის ღიმილის იქით რაც იმაღებოდა. მამას ჩახუტებული ჩაღლა, ახლად ნასნავლ ფრანგულ სიტყვებს იმეორებდა და გულიანად იცინოდა.

სახლში მისვლამდე, ბოსფორის სრუტის სანაპიროზე მდებარე რესტორანში ისადილეს. ემირი მელანის თვალს არ აშორებდა და ყველა მის მოძრაობას აკვირდებოდა. მელანიმ წყლის ჭიქიდან ყინულის ნაჭერი ამოიღო და შუბლზე გადაისვა. ემირმა ჩაიცინა: გცხელა?

მელანიმ არ უპასუხა.

მის არყოფნაში, ანკარადან სტუმრად ჩამოსულ ჰანდანს, მთელი ბინა თავის ჭკუაზე

დაელაგებინა. შეეცვალა ავეჯის უწინდელი მდებარეობაც. სასტუმრო ოთახის კედლიდან მელანის ჩამოკიდებული მონა ლიზას პორტრეტი ჩამოხსნა და მის გარდერობში შეენახა. აივნის მცენარეებიც აქეთ-იქით მიეწყო. მელანის ეწყინა, გაბრაზდა, ემირს კი ვითომ უკვირდა: „თავს რატომ იღლი, მე აქ დიდად შეცვლილს ვერაფერს ვხედავო!“

ემირმა თავიდან არაფერი არ უთხრა ცოლს. არანაირი საყვედური. მისი დატოვებული ბარათიც კი არ უხსესნებია. მერე და მერე წამოძახებები დაიწყო. ხოლო, როდესაც მელანიმ სწავლის გაგრძელებაზე წამოიწყო ლაპარაკი, გარეთ მარტოს აღარ უშვებდა. სულ ამონმებდა. სახლში მოულოდნებლად ბრუნდებოდა და დაკითხვებს უწყობდა. მურადი თვალს არიდებდა და ისე იქცეოდა, თითქოს მელანი იქ საერთოდ არ იყო. ხანდახან ჩაღლას ეთამაშებოდა, მაგრამ თავს მალევე ანებებდა, რის გამოც პატარა ხშირად იბუტებოდა.

მელანი ისევ მარტო დარჩა. ოთხ კედელში გამოკეტილი, თავისი ცხოვრების შეცვლაზე ფიქრობდა. ემირთან ამ თემაზე ლაპარაკს საერთოდ ვერ ახერხებდა, როგორც კი საუბარს დაიწყებდა, ის აჩუმებდა. მისი აზრით, მელანის ყველაფერი ჰქონდა ბედნიერებისთვის და თავის ზედმეტად ატყიება საჭირო არ იყო.

ბოლო დროს თავის თავთან ლაპარაკი დასრუმდა. ყველა ტკივილს ისევ და ისევ დედასთან მიჰყავდა. უამრავი პასუხებულემელი კითხვა აწუხებდა. ყველაზე უმთავრესი ტვინს უღრღნიდა და პასუხს ვერ პოულობდა:

– „რატომ არ გიყვარვარ, დედა?“

კარგად იცოდა, რომც გაეგო, შარლოტა მაინც არასოდეს გასცემდა პასუხს. ან ისე შეუტრიიალებდა კითხვას, სანაებლად გაუხდიდა ხმის ამოღებას.

ლუისთან კითხვები არ ჰქონდა. მიჩვეული იყო მისგან სიძულვილს. გული, დედის სიცივის გამო სტკიოდა. ის არასოდეს ცდილა შვილის გაგებას. ბავშვობაში, მელანი ყოველთვის გულისყურით უსმენდა დედას, რომელიც თავის პრობლემებზე ხშირად უყვებოდა. მაშინ, მას ბევრი რამ არ ესმოდა, მაგრამ მართლა სტკიოდა მისი ტკივილი და ახარებდა მისი სიხარული. უყვარდა ყველა, ვინც კი შარლოტას უყვარდა და სძულდა მისი მწყენინებლები. უფრო კი ტკივილებს იმახსოვრებდა.

შარლოტას არასოდეს უცდი შვილის გულში ჩახედვა. არც მას და არც ემირს. მთელი დღის განმავლობაში მექანიკურად აკეთებდა სახლის საქმეებს, უვლიდა შვილს. მარტოდ დარჩენილი მელანი ძლიერ სულიერ კათარზის განიცდი-





და. ერთ დღესაც წერა დაიწყო. ახლა ასე ესაუბრებოდა საკუთარ თავს. ყველაფერი ის, რაც ახლობელმა ადამიანებმა მასში ვერ შენიშვნეს, ქალალზე გადაპქონდა და ამით ოდნავი შვების მოპოვებას ცდილობდა. ზოგჯერ, ერთი დღის განმავლობაში რამდენიმე ლექსს წერდა. წერის დროს ციებიანივით ცახცახებდა, ცრემლები თავისით ეღვრებოდა თვალებიდან. მას უკვე სხვა აღარაფერი აინტერესებდა. ის თავის წარსულში მოგზაურობდა და სულიერად ეული, მხოლოდ მისთვის გასაგები რეალობით ცხოვრობდა.

ჩალლა ჯერ კიდევ მშვიდი ბავშვი იყო. ბალში წასვლა არ გაუპროტესტებია. მის წამოსაყვანად ემირთან ერთად მისულ მელანის ის ყოველთვის ფანჯარასთან მარტო მდგომი ხვდებოდა.

Istanbul tekstil Fuari*

შაბათი დღე იყო. ემირმა ჩვეულებისამებრ ადრე გაიღვიძა. ვიდრე ადგებოდა მელანის გადახედა, რომელსაც საწოლის მარჯვენა კიდეზე მისგან ზურგშექცევით ეძინა. მოხრილი მკლავით სახე დაეფარა. მეორე, გაშლილი ხელი კი ძირს გადავარდნოდა.

— ალბათ დილამდე ინტერნეტში იყო! — გაიფიქრა და ცოლზე გაბრაზდა. ბოლო დროს აღარც ახსოვდა, როდის დაიძინეს ერთდროულად. ოთახიდან გასულმა მურადი და 9 წლის ჩალლა გააღვიძა. სწრაფად მოემზადნენ და სტამბოლის ტექსტილის გამოფენაზე წავიდნენ.

* სტამბოლის ტექსტილის გამოფენა. — (თარგმანი თურქულიდან).

მანქანა უსკუდარზე**, სანაპიროსთან ახლოს გააჩერეს. ვიდრე ემინონუზე*** წასასვლელი ბორანი მოვიდოდა, ფუნთუშეულის გამყიდველისგან ცხელ-ცხელი სიმიტები**** იყიდეს. მგზავრობის დროს ჩაიც დალიეს და მორჩენილი ფუნთუშები თოლიებს აჭამეს.

მურადმა სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესში ვერ ჩააბარა, ამიტომ ძმასთან, მაღაზიაში დაიწყო მუშაობა. ემირმა ყველაფერი ასწავლა, რაც იცოდა. ასწავლა ყველაფერი ის, რაც თავის დროზე თვითონაც მამისგან ისწავლა. ახლა, მურადიც მასავით კარგად ერკეოდა პროდუქციის ხარისხში და მარკეტინგში.

გამოფენაზე უამრავი საინტერესო სტენდი იყო მოწყობილი. დიდხანს ათვალიერებდნენ, ინიშნავდნენ ახალ მარკებს, ესაუბრებოდნენ კონსულტანტებს, მეპატრონეებს, დიზაინერებს...

ჩალლა დაიღალა, ამიტომ შენობიდან დროებით გამოვიდნენ და სპეციალურად, გამოფენის ვიზიტორი ბავშვებისთვის სახელდახელოდ მოწყობილ ატრაქციონებზე მივიდნენ. მურადმა და ჩალლამ ერთად დაჯდომა გადაწყვიტეს. ვიდრე ისინი ერთობოდნენ, ემირმა მობილური ტელეფონით სახლის ნომერი აკრიფა.


— Efendim!***** — ნამძინარევი ხმითგააგონა მელანიმ. ემირი გაზუმდა. მელანიმ გათიშა. გამოფენიდან ერთ თვეში ემირმა სტამბოლის ევროპულ ნაწილში, ტექსტილის მეორე მაღაზია გახსნა და ძმას ჩააბარა.

** სტამბოლის ქველი უბნები. — (ავტ. შენიშვნა).

*** სტამბოლის ქველი უბნები. — (ავტ. შენიშვნა).

**** თურქული ბლითებისეზამის მარცვლებით. — (ავტ. შენიშვნა).

***** ბატონი! — (თარგმანი თურქულიდან).





କାନ୍ଦାର
କାତଳିବାପବିଲୋ

תְּלִימָדָה

ଅମ୍ବିକାରୀଙ୍କା, ହାମିକାରୀଙ୍କା,
ପ୍ରୀତି ପ୍ରୀତିଗ୍ରୂପ୍, ଓ ନ୍ୟୁ.
ଅମ୍ବିକାରୀ ଲୋପିତାରୀଙ୍କା ଦେଖିବା
ଏବଂ ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ ପାତାରୀଙ୍କା.

ଗ୍ରନ୍ଥକୁଳାଙ୍କ ପାଇଲାମା ପିଲାମା ପିଲାମା,
ପାଇଲାମା ପାଇଲାମା ପିଲାମା ପିଲାମା,
ପିଲାମା ପିଲାମା ପାଇଲାମା ପାଇଲାମା,
ପାଇଲାମା ପାଇଲାମା ପିଲାମା ପିଲାମା.

၂. အေဒီးနှင့် အေဒီး

ରେଣ୍ଡିନ୍ ଗୁଣ୍ଡି

ბჟენების შვილნი
ჩადგნენ ფერხულში,
დადგა აპრილის
ფერისცვალება.
შენ კი, პატარავ,
ვინ დაგჭრა გულში,
ვინ გაგიმეტა,
შეელისითვალება?

ვინ დაგიკოდა
გრძნობა ფარული,
ფერთა ციალი
ვინ გაგზისუნა,
ნუთუ დობილმა
გატკინა გული,
ან გაწყენინა
ამ გაზაფხულმა?

ხომ არ შემოგწყვრა
ტურფა ზამბახი,
ენძელამ ხომ არ
გაყინაპირა,
ზამთარმა ხომ არ
დაგასვა დაღი,
ან ვერ მოგისწრო
კაბა აპრილმა?

ମୋଡ୍ଯୁ, ତାତ୍ପାର୍ଯ୍ୟ,
ଗାମଣିଦିଲ୍ଲାର୍ଜ୍,
ଡା ଲିଲ୍ଲାକିଲାଠ୍ଜ୍
ମନ୍ଦାର୍ଥେବ ବାସ,
ଶେବ ଉନ୍ଦା ମହିଳାକ୍ଷେତ୍ର
ଲେଖାର୍ଦ୍ଦେ କେଲେବୁ
ଡା ଶେକ୍ଷବାର୍କଣ୍ଡେ
ଅପରିଲୀଲିସ ଢରିବାଲ୍ଲା!

იყო ეული მაშრიყს და მაღრიბს,
თუმცა იცოდა სიცოცხლის არსი.
სულით მდიდარს და ფულებით ღარიბს,
მხოლოდ ლექსების ებურა გარსი.

განპარილ იყო თბილისის ნამთ, ნათლით მოსილი იყო ზემოდან, ჭიქას ასწევდა და იმავ ღამით ლექსის ნაპატიში გაეცხოვდა.

არც არავისი იყო მოჯიბრე,
მის სულმძი ლექსის გრიგალი ქროდა
და ნაბადს ჰქონდა რამდენიც ჯიბე,
ას ზოგიც იმდენი ჰქონდა.

ნაიხემსებდა კოჯრის ნიავით
და არყის ჭიქით დილის ცვარს სვამდა.
ან ობოლ ქართველს სხვა რა შეეძლო,
სიყვარულის და ლექსების გარდა.

არ ანუხებდა ბოლმა და შუღლი,
ლექსები იყო მისი საგზალი.
იყო თბილისის ბოლო აშუღი
და წერთისოფლის ბედეკრული მგზავრი.

დუღუკის ხები აღმოხდათ ფილტვებს,
სიომ მტკვრის დაღმა გაიმანილა...
და ახლაც მისი ჰანგით იღვიძებს
გალიმერული თბილისის დორა.

სიყვარულის ტაძარი

მე იმ დღეებს ვიგონებ,
მზე რომ მყავდა მეგობრად.
დავხუჭავდი თვალებს და
სულში მაინც ნათობდა.
არ ვიცოდი მლერა და
გული მაინც მლეროდა,
არა ესვამდი ლვინოს და
სიყვარული მათრობდა.

მერე ქარმა ახლო და
შორი განედებიდან
გამოგზავნა ლრუბლების
უამრავი ლაშქარი.
და დროის სახსოვარი
ძველ ფოტოალბომიდან,
ნლებს და დღეებს შემორჩა
მოგონების რა ქარი?!...

ახლა შემოდგომაა,
შრიალია ფოთლების.
მზე ისევ მყავს მეგობრად,
მაგრამ გულში არ დარობს.
დავაბიჯებ ველზე და
შენ დაგეძებ ოცნებით,
სად შენდები, შენ, ჩემო
სიყვარულის ტაძარო?!?

* * *


მუზა გამინერა, გაფრინდა,
მივდევ და ცრემლი მდის.
ულექსოდ როგორ გავუძლო
ამდენ ვარამს და ჭირს.

ახლა ისეთი დრო არის,
რომ ჩალის ფასად ლირს,
არც შრომა ფასობს, არც მადლი.
გონებას ფიქრი ღლის.

როდისლა უნდა განათდეს,
სხივი გამოკრთეს მზის.
შუქი კვლავ არ ჩანს გვირაბში
და ცივი ქარი ქრის.

გადაივლიან ლრუბლები,
აკრეფენ თავის ჩრდილს.
ზოგნი ზეცაში გავყვებით,
ზოგნი დავრჩებით ძირს.

მე მჯერა, მოვა ლექსის დრო,
მუზა ფერად ფრთებს შლის.
ის, ვისაც ლექსი არ უყვარს,
ლექსაც არ უყვარს ის!



* * *

მზე სიცოცხლის საწყისია,
ყრმობიდანვე ვიცი ეს.
მზის ბორჯლალი მირჩევნია
მთვარის სხივთა სიცივეს.

ჯერ ისევ დუღს მზის მარმაში
ეს ვულკანი მლელვარე.
და თვითეულ ჩვენთაგანში
მზის ნატეხი ელვარებს!

გავუფრთხილდეთ ამ ნატეხებს
მომავლის იმედებად.
თუკი ერთად შევაერთებთ,
ერთი მზეც აგვენთება.

პახაპერ პავლიაშვილი

მაგრამ თუკი გვიდევს გულში,
რომ ვაქციოთ სახარჯოდ,
სიკეთეში, სიხარულში,
სიყვარულში დავხარჯოთ!

სულ პირველად

გულში რაღაც შემოიჭრა,
სიოდ შეიძრიალა.
თბილი გრძნობა დამიტოვა,
მტკიცნეული კი არა.

ამიქროლა, ჩამიქროლა,
ვერ გავიგე, რა იყო.
ამიტაცა ლრუბლებს ზემოთ
და ცის კარი გამილო.

გრძნეული ისარი მტყორცნა,
ვარსკვლავით კრიალა.
ურუანტელმა დამიარა,
ცეცხლად ამაბრიალა.

არც მზე იყო და არც მთვარე,
არც ჭინქა, არც სატანა...
მოვიდა და სიყვარული
შენთან გამომატანა.

სოფელში გერაჭიუერი

წავიდეთ, ლექსები დავასველოთ,
ჩავალბოთ გრძნობების მათარაში.
ვაზებს ცვარ-ნამი მივაპკუროთ,
ტყეს მივუალერსოთ ფაფარაშლილს.



განვახლოთ გრძნობა მინავლული,
წყალ-ჭალას გავანდოთ ხვაშიადი,
შევიგრძნოთ შეღამების სინაზული,
დავხატოთ მტრედისფერი განთიადი.

ალაზნის სიმღერას ბანი მივცეთ,
ყვარლის მთებს გავხედოთ გარინდებით,
გლეხაცის კერია დავლოცოთ და
ვახსენოთ წასული რაინდები...

წავიდეთ, ლექსები დავასველოთ!..

24



სიზმარი

წუხელის შოთა დამესიზმრა
(ვიზილე პოეზიის ამირბარად).
იმდენი სიყვარული დავტოვეო,
ყველას გეყოფათო, – დამიბარა.

მე აქ საქართველოს სიყვარულში
საუკუნეებსაც ვათენებო,
სხეული თუმცა გადავმალე,
სული მანდ არისო, ქართველებო!

გავიღვიძე, თბილისს გადავხედე.
ლმერთო! რა კარგი ამინდია.
მე ჩემი სიზმარი მოგიყევით,
კომენტარი თქვენთვის მომინდვია.

ქვაწერის წყალო

ქვაწერის წყალი რომ მეშეფება,
მაშინ ვარ ყველაზე ბედნიერი.
ეს ჩემი გამზრდელი მეფერება
და მთების სიმღერას მოიმღერის.

წმინდავ და კეთილო, მთიდან ბარად
ისე ჩამოირბენ კლდეს და ლოდებს,
თითქოს და ცხოვრების ქარბორბალა
შენ არ შეგხებია არასოდეს.

მთაში თუნდაც მეხმა იგრიალოს,
ღვარცოფმა ჩამორეცხოს კლდეები,
კვლავ წმინდა დარჩები და კრიალა,
ავდარსაც არ შეეპუები.

და მეც შენს ჩქერებს ვეძალები,
როგორც უკვდავებას დამათრობელს.
ხალხშიც ცოტა იყვნენ წმინდანები
და არ შემღვრეულან არასოდეს.

* * *

როცა ავანი მოჰქუს გულშავი,
ტალახისა და ზინთის მარაგით,
შენ უერთდები მას, უშიშარი,
როგორც შავს არაგვს – თეთრი არაგვი.

და ბავშვობაში, რომ გიყურებდი,
როგორ გახრჩობდა ავანის თქეში,
ასეთ ყოფაში წარმოგიდგენდი
ვით დეზდემონას – ოტელოს ხელში.

შენს ჩანჩქერებში ხტის კალმახი და
შენს გვერდით შველიც უფრო განაზდა.
შენ ისტორიის დასაბამიდან
ჩამოჩირიალებ ასე ლამაზად.

სხვა წყალთა შორის დასაფიცარი,
აღმტკინებელი მთრთოლვარე ლოცვის,
მდინარეებში შენ ხარ წმინდანი
და თეთრ მაჯებსაც მიტომ გიკოცნი!





ციური მასებიშვილი

25



ციური მასებიშვილი

აცვინძის ომის ფრთოსნერი

მაშინ, როცა, აპრილის თვეს, იღვიძებდა მთა და ველი,
მზემ, მდინარე, შემიღება ლილისფერი აკვარელით!
მტკვარს ვენები დაებერა, დავით მეფის ცისფერ სისხლით,
დენთის სუნი დატრიალდა, – დაიფარა ზეცა ნისლით...

გაზაფხულზე, იგრიკის თვეს, მზემ რომ მარსში გაიღვიძა,
მეფე ერეკლეს წინაშე, ტოტლებენი გაიბლინძა...
დედოფალი, ოსმალებთან ბრძოლას, ისე ავალებდა:
„რუსულ სულით, ქართულ ხორცით,“ როგორც რუსეთს აამებდა!..

თუმც, ერეკლე, მწყრალად იყო, ტოტლებენის ღალატითა,
ტანს, მაინც, არ იმშვენებდა, ხანის გრძელი ხალათითა.
მას პატარა კაზი ერქვა, ჰქუხდა დიდის არაკითა,
პრუსიის და ფრანგთა მეფეს, არ რჩებოდა არაფრითა!..

სავსე იყო სიქველით და ნათელს ჰქონდა გზას გავლითა,
(გრაფისაგან განსხვავებით, – არ ხარბოდა ნადავლითა!)..
ეტყობა, რომ ზეცაშივე, მფარველობდა დიდი ზევსი,
უფლისწულად დაბადებულს, ძალა ჰქონდა ჰერაკლესი!..

მხარზე ანგელოზი ქავა, ხმალი ჰქონდა შიმშერისა,
ნადირ-შაპის ნაჩუქარი, ვით ბეჭედი გიშერისა.
„ხმალი წუნკლებს!“ – რომ დასძახა და აღმართა ბაირალად! –
მორახტული ბედაურით, ბრძოლაში რომ გაიღალა....

ლოცვას სთხოვდა თამარ მეფეს, – შემწეობას დავით სოსლანს,
ხმლით ეკვეთა ურჯულოს და შეებრძოლა ლექს და ოსმალს...
სულ თავ-ბედი აწყევლინა ახალციხის გოლა ფაშას,
ჩალმით ყველა გამორჩეულს, – აფარებდა ქალის თავშალს!..





ბეგბიც წყალს გაატანა: ქურმუხ, არტან, შავშეთისა,..
მხოლოდ ღმერთით თუ იცოდა განსხვავება შავ-თეთრისა!
კოხტა ბელადს რომ ეძახდნენ დალესტანში მალაჩილას, –
ერეკლესთან „დავლურის“ დროს, ისიც ალარ ლირდა ჩირად!..

ლამით ხიდი ჩამოშალეს: სვიმონ, ალაბაბ, ხუდიამ!..
თანაც ისე, მტრის ბანაკში, ვერაფერი გაუგიათ...
მტკვარს მიჰქონდა ცოცხალ-მკვდარი წივილ-კივილ-ტირილითა,
მალაჩილას შავი რაშიც მიცურავდა ტივივითა!..

მეფე ერეკლეს ბრძანებით, დაეწერა ჯვარი მზესა
და გადასცეს მესხთა გმირებს: ნებაძეს და ჯვარიძესა!..
დიდი წვლილი მიუძლოდათ ლამით ხიდის ჩახერხვაში,
მთვარემაც ხელი შეუწყო, – დაიმალა როგორც ბავშვი...

„მატყუარა მებადურებს“, რა ბრალს დასდებთ? აბა, რაში?
დღეს, ლაჩრების საუკუნევ! შეეჯიბრე გმირობაში!..

თავის ცხენიც რომ არ ჰყავდათ, ვერ დაჲქროდნენ თეთრი რაშით,
მაგრამ ქრისტეს სული ედგა ყველა ქართველს თავის ხმალში!..

ამ ბრძოლაში, იღვრებოდა, უფრო მეტად ძმათა სისხლი,
არემარეს აყრუებდა „ვაი! დედას!“ ლალადისი...
მზე და მთვარე დაეჭირა მეფეს ხელში დაფდაფებად,
თევზი ალარ დგაფუნობდა! – ხიდთან წყალი ქაფქაფებდა...

მაშინ, როცა აპრილის თვეს, იღვიძებდა მთა და ველი,
ასპინძასთან შეიღება მტკვარი წითელ აკვარელით!..

თვალზე ცრემლი მოსდიოდა ფუძეს მიკედლებულ მერცხალს,
მთვარეს ხმალი დაუვარდა და ლომთა მზეს ამის შერცხვა!..

უფლისჩიტა ჩაფრენოდა თეთრი არაბულას ფაფარს,
ჩიტბატონას უყვებოდა კახთა მეფის ახალ ამბავს:
ხერთვისთან რომ გაიმარჯვე და აფრინა მალემსრბოლი,
როგორ ჩამოაგდო ციდან, მთვარე – მშვილდისარის სროლით...

ნიშს უგებდა ახლა, მეფე, (გრაფს!), ოსმალთა ალაფითა,
(სურამში რომ დაბანაკდა თავის ურცხვი მარაქითა)...
პეტერბურგში გაუგზავნა ოცდახუთი(!).. თურქთა დროშა,
სამი ლეკიც მიაყოლა, – რაც უღირდა მეფეს გროშად!..

სწამდა მეფეს, ერთმორწმუნე მოუტანდა საქმეს „ტკბილსა,“
რა იცოდა, მის შვილიშვილს, რომ მოსჭრიდა მერე კბილსა?!..
მანაც სცად გასწორება შეცდომის თუ იმ ნაკლისა...
კახთა მეფის მსგავსი მეფე, ერმა ბევრჯერ ისაკლისა...

სველ სამცხეში, ივერთ მეფეს, უმზადებდა ნადიმს ქარი
და მზად იყო საზეიმოდ ნარიყალაც, – ნადიკვარიც...
ძლვნად მიართვეს ჯავახებმა ფურირემი (მეწველი თან) –
ქრისტეს დროშა აფრიალდა, ღვთისმშობელის შეწევნითა!..

.....
ასპინძის მთებს, ექისავით, ახლაც ესმით მოთქმა მტრისა
და სევდიანი დუდუნი მრავალჭირნახული მტკვრისა.
არც, არავის ავიწყდება თქმა-წარწერა მეფის ხმლისა:
„მე ვარ ავი მუსაიფი, კახთ ბატონის ირაკლისა!..“



ԱՐԵՎԱԼ
ԸՆԿՈՎԾ

תְּבִ�ָה

ଇଲ୍‌ଗୁଣ୍ଠା, କର୍ଣ୍ଣା ଶ୍ରେନ୍ତିଗୁଣ୍ଠା, କର୍ଣ୍ଣା ଦ୍ୱାରା
 ପ୍ରକଳ୍ପିତ ପ୍ରେସ ମୋହନାମର୍କ୍‌ସ ଶ୍ରେନ୍ତାମଧ୍ୟ ମିଳିବାଲ୍ଲକ୍,
 ଫ୍ରାଙ୍କିନ୍‌ଗ୍ରେ ପ୍ରକଳ୍ପିତ ପ୍ରେସିନ୍‌ର ଲ୍ଯାମ୍‌ପାରାମାର୍କ,
 ଗାର୍ଜାର ପାରା, ଇଥେ କାମର୍କାନାଥ ମିଳିବାଲ୍ଲକ୍...
 ଏକିନ୍‌ଦିନ ମିଳିବାଲ୍ଲକ୍ ଓ ଏକ ଶ୍ରେନ୍ତିକାମାନ,
 ଏକ ଶ୍ରେନ୍ତ କାମାନ ବାର ଇଲ୍‌ଗୁଣ୍ଠା ମିଳିବାଲ୍ଲକ୍.
 ମିଳିବାଲ୍ଲକ୍‌ର, କାମାନର ମିଳିବାଲ୍ଲକ୍ ଫ୍ରାଙ୍କିନ୍,
 କାମାନର ମିଳିବାଲ୍ଲକ୍ କାମାନର ଟିକ୍.

კ. შანიძე



ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ କଣ୍ଠାରୀ

დაეფარა ეზო თალარს,
ლობის ქვეშ წევს შავი მურა.

პაპა სიმორცხვესა მალავს,
სახლი ჩრდილით დაიბურა.

უზარმაზარ კედლის ღუმელს
ბებო უზის, თმებით ხშირი,
ზოგჯერ შეშით გაახურებს,
ზოგჯერ კიდევ - ევანგელირით.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

გარეთ ოოვს და სახლის სითბო
ერთურთს ძლიერ გვახალისებს.
ბეჭო შემის ტრიალს იოხოვს
ხან ასე და ხანაც ისე.

სოფლის სითბოს, ღმერთო ჩემო,
ნუთუ რამე შეედრება.
სამუდამოდ დამრჩეს გემო
და სიმღერის ეს ვედრიბა...

* * *

მე გამოვედი ძველი სიზმრიდან,
გამოვაყოლე სული გოდებით,
და ახლა, მგონი, უფრო მიზიდავ
და კიდევ უფრო მიახლოედები.

მე ვერ გიხილე, როცა მენადა,
შენ არ მომეცი შანსი, ცბიერი,
რომ კიდევ ერთხელ გამომეცადა
ეს გრძნობა – დიდი და ზეციერი.





* * *

როგორ ვთქვა ჩემი ალარ ხარ უკვე,
რომ სხვასთან ერთად დაიდე ბინა.
ძვირფასო, ანი სხვას ვის მოვუყვე,
რომ ძლიერ მიჭირს და ალარ მძინავს.
რომ სარეცელზე ვკვდები მარტოკა,
მოწყენილი და ნატანჯი ძლიერ,
სიომ ჭადრის ხე ვერ შეატოკა,
გთხოვ, ახლოს მოდი და მოიწიე.
ის გული, ადრე შენთვის რომ ძგერდა,
დღეს ვერ პოულობს შენამდე მანძილს,
დაგვარგე უკვე კავშირი ღმერთან,
გარეთ ვარ, ისე საოცრად მაწვიმს...
იქნებ მაპოვნი და შემიფარო,
ან შენ სადა ხარ ის მაინც მითხარ.
მჭირდები, როგორც მეომარს ფარი,
როგორც მეთუნეს საძერნი თიხა.

* * *

მიუვარხარ, მაგრამ მიჭირს გამხელა,
ნისლში ჩაფლულებს ვხედავ ქარაფებს,
კვლავ გამახსენა ფიქრმა თავხედმა
შენი თავი და ვამბობ არაფერს.

მოვდივარ, მაგრამ ველარ მოვდივარ,
მეხება ქარი, მოგდევ სიოთი,
ვერ გამოვედი ძველი შფოთვიდან,
გეძახდი, მაგრამ ვერ მოვდიოდი.

არ მავიწყდება შენი ნაზი ხმაც,
თითქოს მალლიდან ღმერთი დამხარის,
დაბრუნდი ჩემთან, სხვასთან რად ზიხარ,
დაბრუნდი ჩემთან და გამახარე.

* * *

ყველგან გეძებ, იქნებ სადმე
მაინც შემხვდე, ჩემო კარგო,
დღეს გადავდე ყველა საქმე,
ვერ გიპოვნე, არ ვიდარდო?!?

თუმც რა გული გაიცრიცა,
ამ ლოდინის დავრჩი მოძმე,
სადღა არის ახლა ის ცა,
ჩვენი სიხარულის მოწმე.

ვიცი ზოგჯერ გულში მნალვლობ
და ცრემლები დაგდის მცირე,
იქნებ ერთხელ სადმე გნახო,
შეზე ფიქრებს არ ვიცილებ.

ახლოს რომ ხარ, ამას გული
მძაფრად გრძნობს და ფეთქავს ძლიერ,
ვაი, თუკი გიპოვნე და
მერე ველარ დაგეწიე.



გიორგი პერძნიშვილი

თ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი

მე კარგზე მახსოვეს, — წმინდაული პაპაშენი; კაფემიყვარე, უწყინარი იყო. მარტო ადამიანებს კი არა, წხოველებსაც უფრთხოლებოდა. კარგი ურემი ჰქონდა და კარგი წხენი ჰყავდა. არე სახრე, არე შოლტი ან ჰქონდა. ასე იტყოდა ხოლმე: კარი, თავის წხოველს სახრეს ან შოლტს რომ დაკარგყამს, ის ადამიანსაც გაიჩიდებოდა. ასეთი ლოგისტის ადამიანები იშვიათად ინადერიან.

გ. წერძნიშვილი

29


თ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი თ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი თ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი თ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი თ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი თ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი თ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი

„პატარა გიგოლო“ ანუ, — „პირველიაო“

რა გაასწორებს ცოდვაბრალიან სააქაოს. დარდი და ლხინი ადამიანისთვის მოუგონია განგებას. ჯან-მრთელების გვერდით ცოტანი როდი არიან ინვალიდები. თავმოყვარე ადამიანი, არასდროს, აგრძნობინებს ინვალიდს მის ფიზიკურ ნაკლს. სწორედ, ეს არის ადამიანის დიდსულოვნება, ეს არის ადამიანის ღირსება. ასეთები არიან საზოგადოებაში დაფასებული.

ავტორი

ზაფხულის მცხუნვარე მზით გამთბარი დღეები იდგა. კახეთის თვალმარგალიტის, — წინანდლის ზეცას მტრედისფერი დღლა ეპარებოდა. „პატარა გიგოლას“ ძილი მეზობლისა და ნათესავის ლენტოს მამლის ყივილმა დაუფრთხო. „ნეტა ლობეზე გადმოფრინდეს ეგ მამალი და ცოცხალს როგორდა ნახავდა იმასაც გავიგებდი“ გაიფიქრა გიგოლამ და საწოლიდან ადგა. მარტოსულ, ინვალიდ კაცს მეუღლე კი არა, მომვლელი ქალიც არასდროს ჟყოლია. გიგოლა, რომ მოკვდა, მეზობლებმა და ნათესავებმა მთელი ურემი ნაგავი გამოიტანეს მისი ოთახიდან. გიგოლას ავლადიდებას ერთი უფანჯრო ოთახი, გაუშალა-შინებელი ფიცრებისგან შეკრული ტახტი, ძველი საბან-ლეიბი, პატარა მაგიდა, სამფეხა სკამი, თიხის ჯამი და ერთი ცალი, ხის კოვზი შეადგენდა. გიგოლას მახლობლად, პაპაჩემ კოერნანთ ვანოს ჰქონდა სახლი. გამრჯვე გლეხეაცას მარანში ლვინო, ბელელში ხორბალი და სიმინდი არასდროს ელეოდა. სოფელში უშურველი კაცის სახელი ჰქონდა გავარდინილი. სამი შეილი, შეიდი შვილიშვილი ვყავდით და ყველას თანაბრად გვინაწილებდა სიყვარულს. პაპაჩემი ხშირად ეპატიურდოდა სადილზე, რათა ცხელი კერძი ეჭამა მარტოხელა გიგოლას. „ვანო, შენც დედისერთა ხარ და მეც. მოდი ძმებივით ვიყოთ“, — ჩემი ყურით გავიგონე, როგორ შესთავაზა გიგოლამ პაპაჩემს. „კარგი, გიგოლ, შენი თავი ნუ მომიშალოს ღმერთმა“ —



გიორგი პერძნიშვილი

იყო პაპაჩემის პასუხი, თან, დაუმატა: „გიგოლ, დღეს, მეურმე ბესოს ფული მივეცი. ხვალ, ან, ზეგ, შეშას მოგოტანს. „ტუშას“ უთხარ დაგიჭრას და დაგილაგოს, ფულს მე მივცემ“. სიხარულისგან გიგოლას თვალები ცრემლით აესვი. „აბა, აბა, ეგენი არ გვინდა; თუ ძმობაა — ძმობა იყოს,“ — თქვა პაპამ და ძმადნაფიცს მხართან ხელი მსუბუქად წაუთათუნა.

„ვანო, შენ, უთვალავერ დამატიუე, ცხელი კერძი რომ მეჭამა, რაც ასე მენატრება. სამეზობლოში, შეზე შეძლებულები ბევრი არიან, მაგრამ, მსგავსი რამ, მათგან არ მახსენდება... ერთმა კაცმა განა რამდენი უნდა ვჭამო ან დავლიო“. „გიგოლ, ჩვენ, თანატოლები ვართ. ალბათ, გებ-სომება პაპაჩემი ზურაბი. მისგან გამიგონია: იმას კაცობას ვერ მოჰკითხავ, ვინც ღმერთს კაცად არ უქნიაო. გიგოლ, ინვალიდი კაცი ხარ, მაგრამ ბევრ ჯანმრთელ ადამიანზე უკეთესად აზროვნებ. ახლა, შენ, რომ... ცხოვრებისეულ თემაზე საუბრობ, მათთან, ასეთი რამ არ გამოდის. მაშინვე, ცდილობენ — საუბარს გაექცნენ. ყოჩალ, გიგოლ, ვამაყობ შენი ძმადნაფიცით. ეხლა პაპაჩემი რომ წამოაყენა, კაცობის მაგალითად ეყოლებოდი“. „მე კარგად მახსოვეს, — ცხონებული პაპაშენი; კაცობმოყვარე, უწყინარი იყო. მარტო ადამიანებს კი არა, ცხოველებსაც უფრთხოლებოდა. კარგი ურემი ჰქონდა და კარგი ცხენი ჰყავდა. არც სახრე, არც შოლტი არ ჰქონდა. ასე იტყოდა ხოლმე: კაცი, თავის





ცხოველს სახრეს ან შოლტს რომ დაარტყამს, ის ადამიანსაც გაიმეტებსო. ასეთი ღვთისნიერი ადამიანები იშვიათად იბადებიან“.

გიგოლამ საუპრის თემა შეცვალა: „ვანო, გამიგია ადამიანი სიკვდილის მოახლოებას წინასწარ გრძნობსო. მე ინვალიდი ვარ, ჩემი სიცოცხლე ტანჯვის მეტი არაფერია, მაგრამ სიკვდილი მანც არ მინდა...“

„გიგოლ, ადამიანი ლმერთის ნებით იბადება, სიკვდილიც მხოლოდ მან იცის. სანამ ცოცხლია ადამიანი და შეუძლია მზე დაინახოს, სიცოცხლით უნდა ტებებოდეს. შენ, ჯერ, სიკვდილის ნიშანწყალი არ გეტყობა“, – უთხრა პაპაჩემმა და ჭიქა ღვინით შეუვსო.

ბებიაჩემი, – მარუსა ხონჩაზე შოთი პურს, ყველს, მოხარშულ კვერცხებს, კიტრის ან ნივრის მწნილს და ლელვის ჩირს თუ ალაგდებდა, ადვილი მისახვედრი იყო, რომ გიგოლასთვის გასაგზავნ ტაბლას ამზადებდა. სამსახურში ნაჩუქარი ღვინო მას მუდმივად ჰქონდა.

კარის მეზობელი ბიჭი, მეტსახელად „ტუშკა“, ხშირად აპრაზებდა: გიგოლ, შვილად ამიყვანე, რომ შენი ქონება მე დამრჩესო. რაზედაც, გიგოლა პასუხობდა: შე, მამაძალლო, ახლგაზრდა კაცი ხარ, გატოკ-გამოტოკი და შენც დააგროვებ ქონებასო.

„ტუშკა“, ჩემ სახლში შეპარვა და ქურდობა არ გაბეჭდო, თოროემ, ისეთ დღეს დაგაყრი, პირში კბილები არ დაგრჩება“, – აფრთხილებდა პატარა გიგოლა, უკვე, ჭაბუკობაში შესულ კარის მეზობელს.

პატარა გიგოლა, დაბადებიდან, ინვალიდი იყო. მისი სიმაღლე ასოციდან ასოცდათი სანტიმეტრი თუ იქნებოდა. წვერი არ ამოსდოდა, თმას კი, სოფლის ცენტრში არსებული საპარიქმახეროს დალაქები უფასოდ კრეჭდნენ. ინვალიდ კაცს შერმა არ ეზარებოდა, – წინანდლის ცნობილ მარანში მუშაობდა. შუადლის პირველ საათზე ჩამოუვლიდა მუშებს და შესვერების დაწყებას ამცნობდა. დალლილი მუშები გულისფანკებით ელოდებოდნენ მის დაძახილს: „პირველია!“

პატარა გიგოლა ყველას ისე უყვარდა, თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ მოისუამდნენ, ხელობით ბონდერი ლენტოც ღვინის მარანში მუშაობდა. დილაობით სამუშაოზე წასვლა მას და გიგოლას ხშირად ერთად უწევდათ. მაღალ და გამხდარ ლენტოს გივოლა მერდემდეც რომ ვერ სწვდებოდა, მათ დანახვა თანასოფლელებს, ველისციხელი თევზებით მოვაჭრების გაყიდულ დიდ-პატარა შამაის წყვილებს მოაგონებდა და ძალაუნებურად ეცინებოდათ, რაც ლენტოს და გიგოლას ძალიან ალიზანებდა.

პატარა გიგოლას ხუმრობაც უყვარდა. ხშირად, იტყოდა ხოლმე: „ჩემს ახალგაზრდობაში რუსეთის ჯარში ვმსახუროდი ოფიცრად. პოლოვნიკობამდე მივალწიე. პენსიას რომ არ შეეშალა ხელი, გენერლის ნოდებას გამოვერავდი ხელსო.“

და, კიდევ, ერთი: თავის ხნის კაცებთან, ხშირად, უთქვემს: „კარგია დაბალი რომ ვარ, ხალხმრავალ ადგილას მხარს ვერავინ გამკრავსო“. ჩემთვის კი, ასეთი რჩევა მოუცია:

„ბალლო, დიდი რომ გაიზრდები, ქუჩაში გამვლელმა მხარი თუ გაგურა, მტრად არ ჩათვალო,



მხატვარი სოფიო ჭელიძე

შეიძლება მოეწონე და დამეგობრება უნდა. გაულიმე, გაიცანი... მე, ასეთი, „მხარგაურული“, მეგობარი დღესაც მყავს და... მეამაყება“.

მოხუცი გიგოლა ძალიან უყვარდა ბავშვებს. იცოდნენ როლის ბრუნდებოლა სამუშაოდან, გზაში უყარაულდებოდნენ რომ კანფეტები ეჭმია მათვის.

მახსოვს, ზამთრის ანუ საშობაო არდადეგებს წინანდალში ვატარებდი. დრო ვიხელთე და ბებიაჩემი მარუსას ორი ცალი ჩურჩელა და ლელვის ჩირი მოვპარე. ნაქურდალი გიგოლას მივუტანე. მე რომ მეგონა ამ საქმეს უჩუმრად ვაკეთებდი, თურმე, ვტყუვდებოდი. ბებია, შორისხლოს, ჩასაფრებული ყოფილა. ასე მისაყველურა: „შვილო, თუ გიგოლასთვის უნდა მიგეტანა, მეტყოდი და ჩვენი ძროხის ყველაც გაგატანდი, მაგ საცოდაცზე უპრიანია!“

მას შემდეგ 70 წელია გასული და დღესაც მახსოვს გიგოლას სიხარულით გაბრნყინებული თვალები.

* * *

ვინ დარჩენილა სააქაოზე სამუდამოდ?! გიგოლას კარზეც მიაკაუნა სიკვდილმა. მთელი სოფელი მიაცილებდა პატარა გიგოლას ყვავილებით შემჯულ მოკლე კუბოს. მათ შორის იყვნენ ისინი, ვინც გიგოლასთან წლები გაატარეს ღვინის მარანში და ის მოზარდი თაობაც, ვინც ქუჩაში გავლისას, შეძახილით „პირველია“ აღიზიანებდა.

გიგოლას გარდაცვალების მერე ათი წელი იცოცხლა პაპაჩემმა ვანომ. 6 მაისს, გიორგობის დღეს, ყოველ წელს სუფრას შლიდა გიგოლას სახელზე. სუფრის წევრები იყვნენ, – უბნის მამაკაცები – ყველა თაობა. ვანო პაპა, ჩემთან საუბარში, ხშირად ახსენებდა ხოლმე წასულ ძმადნაფიცს. ლმერთმა გაანათლოს მათი სულები...



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ
ଅନୁଷ୍ଠାନିକ

የከመውንግድ እና በርሃንስ የሚገልጻ የሚያስፈልግ ስምምነት የሚያሳይቷል.

କୋର୍ଗର୍ବର୍ଥଲ୍ଲେ ମୁଦ୍ରାପାତି ଶ୍ରେଣ୍ଟଙ୍କୁ ତ୍ରୈଳିନା,
ସୁନ୍ଦର ବ୍ୟାଙ୍ଗବ୍ୟାଙ୍ଗ, ଶୁଭଦ୍ରା ରଜନ୍ଦ୍ରୀ,
ଫାମିଲ୍ୟର୍ବର୍ଥଲ୍ଲୀ ଡ୍ୱାରା ଆମ ମନ୍ଦିରକୁଳାବ୍ୟା,
ମିଶ୍ରମାତ୍ର କେନ୍ଦ୍ରିକ ଦ୍ୱାରା ନାଗପ୍ରାଣିକ କୋର୍ଗର୍ବର୍ଥଲ୍ଲୀକୁ।

፩. የመተዳደሪያዎች



შავლებო არაგველს შავლებო არაგველი

მე კარგად გიცნობ, ვიცი, ვიწცა ხარ,
სჯობდა კი, სულ რომ არ გამეცანი,
გვარი მართლაც რომ დიდებული გაქვს,
თავად ხარ ბილნი და გარენარი.

ცხოვრებას ალლო შენ ვერ აუდე
და მნარე ყოფა კიდეც მოგბეზრდა,
შემოქმედება, როგორც სასჯელი,
ზურგზე მჭლე კუზად ამოგებარდა.

არ იცი, რა ჰქენა, ბედის ქირქვილში
ღვთის ხელი არ ჩანს, ეშმაკი გითორევს,
შემოქმედებით თავს იქცევ მხოლოდ
და ეფურნები აბზარ რითმებს.


შენი ცხოვრებით ვის რა შემატე,
არ რომ არსებობ, აზრი რა არი?
ერთი რიგითი ვინმე ბრძანდები,
ერთი წყალწყალა კაჯის სათარი.

შენი ტოლფარდი და უმჯობესი
იმდენი დადის, გზებავს რამდენიც,
შენ ფასეული კაცი არა ხარ,
არ/კ ლირებული საქმის ჩამდენი.

მაინც ამბიმებ ამ ნაკურთხ მიწას
თავად ცოდვილი და ღვთის მგმობელი,
ამდენ უზნეო საქმეთა ჩამდენს
მიგატევიბა განა რომელი!

თუმცა ამაოდ გეკამათები
რადგან არ გესმის ჩემგან ნასწავლი,
რაკი არავის ადგილს არ იჭერ,
და, მიღებივოს ღუდი ნაწნალი.

მე ვერ ვიქნები შენი მსაჯული,
შენი მოძღვარი, ჭკუის დამრიგე,
სანამ იცოცხლებ, ცვითე სანუთო,
ომერთის არ გასმის, მე რას გამიგდე.



გავლებო არაგველი



შავლეგო არაგველი შავლეგო არაგველი

შენ სულ შემთხვევით გაჩნდი ამქვეყნად
შემთხვევით იქეც მთელის ნაწილად,
ეშმაქს არ სურდა, მზე რომ გეხილა,
მაგრამ უფალმა შენ არ გაგნირა.

იზარდე, როგორც მწვანე ჯეჯილი,
დაპურდი, ყნა ხარ მოსამკელი,
შენ შენი გზა გაქვს, შენი მიზანი,
შენი გეგმა და შენი სათქმელი.

32



შემოქმედება ხელობად გექცა,
ვერსად გაექც დამთხვეულ მუზებს,
შენ რაც უფალმა ტანჯვად გარგუნა,
იმას მკითხველი ქირქილით უმზერს.

გარითმულ აზრებს დიდი ხიბლი აქვს,
ეს კარგად იცი და კარგად გესმის,
მთავარი არი, რას როგორ იტყვი,
სუსტ რითმას კიდევ აიტანს ლექსი.

წერე როდესაც გრძნობად აღიძრვი,
გრძნობის გარეშე ლექსი ცუდდება.
ჭკუით იყავი, არ აჰყვე, ბიჭო,
ამ წუთისოფლის მრავალ ცდუნებას.

რაც დაგინერა წერამწერალმა
ბედ-ილბლის წიგხში, მას ვერ ასცდები,
ზღაპრული ქალი შეგყვარებია
კონტროლდაკარგულ გრძნობა-განცდებით.

ცხოვრება ოკრობორო გზა არი,
ხან გაუხეშებს, ხანაც – განაზებს,
ყველაფერს გულთან კი წუ მიიტან,
ცხოვრება რასაც შემოგთავაზებს.

სიცოცხლე მუდამ ბეწვზე ჰკიდია,
უნდა ხედავდე, უნდა იცოდე,
დამიზნებული ტყვია ვერ მოგკლავს,
მაგრამ ბრმა ტყვია წაგვრის სიცოცხლეს.

ეჰ, ნეტავ დედას არ გასჩენოდი,
შენ გასაზრდელი მართლაც არ იყავ,
რაც შენ კალამი ხელში აიღე,
წიგნი გაცუდდა, ლექსი შეირყვნა.

დადიხარ, დაგაქვს გულისტკივილით
ის, რაც არ ჰქმარობს მრავალს სიცილად,
ქალს, სამშობლოს და უფალს უმღერი,
შენ სხვა სიმღერის არა იცი რა.

სტუმრად მისული სალხინო სუფრას
სევდას უხამებ, რა ჰქნა, არ იცი,
ისე არასდროს დახარჯავ სიტყვას,
შინაარსისგან იყოს დაცლილი.





დროს ვაჭრის თვალით შენ არ უყურებ,
კარგია, მაგრამ ფუჭად ნუ აბნევ,
კარგი რაცა გაქვს, ვერ დაგიკარგავ,
ცუდზე კი თვალებს ვერ დავიპრმავებ.

მე ხშირად გიმზერ მსაჯულის თვალით,
რომ გიერთგულო ხმალმა ნალესმა,
მშვენიერ ქალს რომ თვალი დაადგი,
რა მოგიტანა მისმა ალერსმა.

ვიცი, რომ მეტყვი: – „გრძნობა მძაფრდება,
გრძნობა კი ლექსის შქმნაში მშველის“.
რაც არი არი, არ გედავები,
ჩამიქნევია მაგაზეც ხელი.

შენ და კუზიანს მხოლოდ სამარე
თუ გაგასწორებთ, სხვა რა გიშველის,
შენ ამ ცხოვრების გერის გერი ხარ,
ფეხჩაუცმელი და ტანძიშველი.

შენი ქონება თვით შენშივეა,
თუმცა ლექსებით მთა ვერ შესძარი,
სიმდიდრე ისე გარბის შენიდან,
ვით უფულოსგან ქალი მეძავი.

გგონია, დარდობ? არა, ღმერთმანი,
ბევრი არ გიცნობს, რით ხარ ნაშენი.
ლექსებს თხზავ, შემდეგ წიგნად გამოსცემ,
ვიღას არ ჩუქნი სულის სამშვენისს.

იმდენი გაქე, არ დაიჯერო,
თითქოს ყველაფრით ხარ ზნეკეთილი,
იმდენ უზნეო თვისებას გამჩნევ,
მეც ვეღარ ვმალავ, შენი კეთილი.

თუმცა სიმართლე რომ გაგიმჭავნო
და სიტყვა გითხრა გულის სიწრფელით,
მე შეზე მეტად უსინდისო ვარ,
გმოძლვრავ და ერთხელ არა ვწითლდები.

რაღა ვთქვა, გული რით დავიმშვიდო,
როგორ შევცვალო მნარე სიტყბოთი,
შენ რომ მართალი კაცი არ იყო,
მნარე სიმართლეს არც მე ვიტყოდი.

შემინდე, თუკი მკვახედ რამ გითხარ,
უკადრეტელი თუ რამ გაკადრე,
შენ მთიულეთის ლვიძლი შვილი ხარ,
სწორედ იქ ზრდიდნენ სამას არაგველს.

ეჰ, რაღა გითხრა, სჯობს დავმდუმარდე,
ამდენ ლაქლაქით მთლად გავთავხედდი,
მე ზეციური სული ვარ შენი
და შენთა აზრთა გადმოსახედი.

კარგად მენახე და მინდა, გითხრა,
ჩემი ნათქვამი ნუ გაგახელებს,
საიქიოში როცა შევხვდებით,
დანარჩენ სათქმელს იქ მოგახსენებ.





ესი
დიაკონი

ଓই লোকের প্রত্যাক্ষ স্বাক্ষরকর্তা মিহাইস্মিন্ট, নামিদ্বিলুমার আব-
ফার, কুর্লার ক্লিপিং, অন্নের আৰু এৰ মিনোক্সিলিফাৰ, শ্ৰেণীকৃ-
ত প্রৱৰ্তনেৰণার পথ। আৰু প্রত্যাক্ষ নিৰ্বাচনকাৰণীগুপ্তবলোৰ্ক, মোল্প মিনু-
গুড়া হিমেনি খোনি। প্রত্যাক্ষ আবাদ গাঁথতা, গুৰি তথ্যশি নৈপুঁজ
গৱাক্ষণিকৃতভৰ্তা। পুরু গৱাক্ষণিকৃত মেগাক্সিল সিক্যুলেশন, পদ-
কৰ্মকৰ্তা শ্ৰেণী, পৰি কু ফলোক্ষণ নিৰ্ব মিভাগক হিমি উপনি-
ক্ষণৰ্পণ, মিমলীকৰণৰ, গভীৰতাৰ তথ্যশি ব্যুক্তিনিৰ্বাপকপুষ্টি
উপনিৰ্ক্ষণ। আৰু মিনোনা, ওই ক্ষয়িনীক প্ৰত্যাক্ষ গুৰিৰ আৰণৰক।

B. ഫോറുമ്സിൽ

გეგმის იმრჩევა

გიორგიმ ღამით კარგად ვერ დაიძინა, როცა სათევზაოდ მიდიოდა ყოველთვის გული უფანცქალებდა. ჯერ პაპას დაჰყავდა ოორზე, მერე მამას, ახლა წამოიზარდა – 13 წლისაა და სხვა თანატოლ ბიჭებთან ერთად მიდის, მაგრამ გული ისევ ისე უფანცქალებს, როგორც პატარაობისას.

მარტოს მოუწევს წასკლა, რადგან ყველას რაღაც საქმე გამოუჩინდა. არდადეგებია, ზოგი ბებო-პაპასთანაა წასული მეზობელ სოფლებში. იმ ღამით თავკომბალები ეს-იზმრა, მხიარულად დაცურავდნენ წყალში. გაღვიძებისას გაუკვირდა, სათევზაოდ მივდივარ და თავკომბალები რამ დამასიზმრაო. წარმოიდგინა, კამკამა წყალში მოცურავე ოქროსფერი თევზები კუდს როგორ ლაზათიანად გაიქნევა-გამოიქნევნდნენ. ბევრჯერ უცდია მათი დაჭერა, მაგრამ ყოველთვის ხელიდან უსხლტებოდნენ, ბოლოს სლიპინა კუდი შერჩებოდა და ისიც თითებიდან უძვრებოდა... მერე გუბეში მოცურავე თავკომბალები წარმოესახა თვალწინ, მოშავო ფერისანი. ვერაფერი სილამაზე ვერ იპოვა მათში და სახე იდნავ მომანჭა, მაგრამ უცებევე ბენ ბეჭნიერმა ლიმილმა გადაუარა.

დღეს ბარაქიანი თევზაობის იმედი ჰქონდა. უყვარდა სათევზაოდ სიარული. ადრიანი დილა იყო. არავინ გაულვიძებია. ფრთხილად შევიდა სამზარეულოში, ბებია-პაპა და დედ-მამა არ შევაწუხო ჩემი ადრე ადგომითო. ცოტა წაიხემსა, პურის ნაჭერი ხელში ჩაბლუჯა, ჭამა-ჭამით გამოვიდა გარეთ და თხილის რტოსგან გამოთლილ ანკეს მოკეთდა ხელი აივნის კუთხეში

რომ მიეყუდებინა ღამით. წინა დღეს მიწაში ნაგროვები ჭიებით გავსებული კოლოფი ვედროში ჩადო, ვედრო თხილის ანკესზე წამოაცვა, მხარზე გადაიდო, აივნის კიბეზე ფრთხილად დაეშვა და ასკინკილით გაუდგა გზას.

ივრის პირს მალე მიაღწია. გზად ჭალა
ჰქონდა გასავლელი, იქით ხის ტოტებს
შეხედა ფოთლებზე ლოკოკინების კვალი
რომ დამჩრეოდათ. აქეთ-იქიდან მწერებ-
მაც აუბზუილ-ჩამოუბზუილეს ბიჭს, ლა-
მაზმა ფრთახატულა პეპლებმაც ჩაუფრინეს
თვალწინ. მზერა გააყოლა, აბა, სად დასხ-
დებიანო. ერთი იქვე ლამაზ ყვავილზე ჩა-
მოსკუპდა, თითქოს ბიჭს ეუბნებოდა, მოდი,
შემომხედე, რა კოხტა ვარო. გიორგიც ახ-
ლოს მივიდა, მისი თეთრ, მოყვითალო
ლაქებით მოხატულ ფრთებს დააკვირდა.
ის იყო ხელი უნდა ეტაცა, რომ პეპელა აფ-
რინდა, ცხვირწინ ჩაუქროლა და შორეული
მინდვრისკენ წაფარფატდა. ბიჭმაც თვალი
გააყოლა, ერთი კი გაიფიქრა, გავეკიდებიო,
მაგრამ გაახსენდა, რომ სულ სხვა რამისთ-
ვის იყო წამოსული და გზა განაჯროძ.

ნაპირ-ნაპირ მიჰყვებოდა ოორს, რომელიც წყლის სიმცირის გამო ადგილ-ადგილ დატოტვილიყო. ბიჭი ოსტატურად გადარბოდა ქვიდან ქვაზე, ხმელეთიდან ხმელეთზე, ცდილობდა წყალში არ ჩავარდნოდა ფეხი და ფეხსაცმელი არ დასველებოდა. თევზაობას ხომ დიდი დრო და მოთმინება სჭირდებოდა, სველი წინდებით კი დიდხანს ვერ გაძლებდა. წყალს რომ გადაახტა გველი დაინახა, საყურებიანი. საოცრება იყო,

ტანი ახალამოსულ მზეზე ისე უბრნყინავდა საყურები ოქროსი გეგონებოდა. გველს დააკვირდა, რომელსაც პირი ბაყაყის ფეხისთვის ჩაეჭიდა. ფართხალებდა ბაყაყი, თათების ნაკანკები რჩებოდა შლამზე, ცდოლობდა გველს დასხლტომოდა. ბიჭს ტანში შიშის ჟრუნტელმა დაუარა, ყველაფერი გაახსენდა რაც გველის ბოროტებასთან იყო დაკავშირებული. სწორედ მის გამო გამოაგდეს ადამ და ევა სამოთხიდან. ეს ისტორია ბებიას ხათრით ათასჯერ წაუკითხავს ბიბლიაში. ისიც გაახსენდა, რამდენი ადამიანი დაუგესლავს და მოუკლავს ამ საშიშ არსებას. სანამ ბაყაყი ფართხალს და წინააღმდეგობას არ შეწყვეტდა, გველს ტყვეობაში ეყოლებოდა, მერე კი შეჭამდა. ბაყაყი შეეცოდა, შიში დაძლია და თხილის წერელისგან გაკეთებული ანკესი გველს მოუქნია. იცოდა წელში უნდა ჩაერტყა, რომ მოეკლა. მოკვლით ვერ მოკლა, მაგრამ გველმა მსხვერპლს პირი უშვა და წყალში შეცურდა. ბაყაყი ხტუნვა-ხტუნვით გაეშურა საითკენლაც. ბიჭს აღარც შეუხედავს, გვარიანად შეშინებული იქაურობას სწრაფად გაეცალა.

ამ ამბავმა თევზაობა სულ დაავიწყა და იქვე დეიდას სახლისკენ აილო გეზი. სახლში დეიდაშვილები დახვდნენ. შეკრიბა მთელი ოჯახი და თავს გადახდენილ ამბავი დიდი განცდებითა და ემოციებით მოყვა. ყველა პირდაღებული უსმენდა. ბიჯოს, ეს რა გიქნია, კიდევ კარგი გველმა არ გიკბინაო, გადააქნიეს ბავშვებმა თავები. დეიდას ჩუმრუმად ელიმებოდა. ვაჟკაცი ბიჭი მყავხარო, მოუთათუნა ხელი თავზე და ქოჩორი აუნენა. მას მერე, სადაც კი გიორგი ამ ამბავს ყვებოდა ყველგან ინტერესით და გაოცებით უსმედნენ.

გამოხდა ხანი. 16-17 წლისა შეიქნავაჟი. ერთხელაც დეიდამ დაიბარა. ოთახს, სადაც დიშვილი შეიყვანა, საიდუმლო ელფერი მისცემოდა. კედლებს, ჩამავალი მზის სხივებქვეშ ოქროსფერი დასდებოდათ. ის ძველი ისტორია გაახსენა და უთხრა: შვილო, დროა იცოდე, შენნაირებს ხალხში „გველ-ბაყაყის გამყრელს“ ეძახიან. მეც შემემთხვა ასეთი ისტორია და მას მერე მშობიარე ქალებთან მეძახიან, ჭიქა წყალს დავალევინებ და მშობიარობის ტკივილები ეხსნებათ, ადვილად მშობიარობენ. შენ კაცი ხარ და შენი ჯადო-ძალები კიდევ უფრო დიდიაო. გაოცდა გიორგი. ხან ასე ატრიალა



35

მხატვარი სოფიო ჭელიძე

დეიდას ნათქვამი, ხან ისე, ნეტავ, რასთან უნდა იყოს დაკავშირებული ეს გადმოცემა თუ თქმულებაო. ღმერთმა ხომ ქალი იმიტომ დასაჯა, რომ გველის რჩევით აკრძალული ნაყოფი იგემა და უთხრა, ტკივილებში ბადებდე შენს ძესო. ახლა კი ადამიანისგან ბაყაყის გადარჩენისთვის წყალი იძენს მაგიურ ძალას, რომ ქალმა ადვილად იმშობიაროს და ტკივილებისგან გათავისუფლდეს?! ისიც გაახსენდა, იმ დღეს, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, წყალში მოცურავე თავკომბალები რომ ნახა სიზმარში. გაიფიქრა, წყალი ხომ საწყისია სიცოცხლისა, განახლებისა, აღორძინებისა და ბაყაყის და ადამიანის ჩანასახიც ერთმანეთს ძალიან ჰგავს, იქნებ ამაშია ამ ამბის საიდუმლოო. ბევრი ფიქრისგან აზრები ერთმანეთში აერია, საბოლოო დასკვნაც ვერ გააკეთა. ეს თქვა მხოლოდ, ვცდი, ჩემგან რა მიდისო და პირველად თავისი მეგობრის მშობიარე ცოლს მიაწოდა წყალი. ეს ამბავი კი ასე იყო.

მზია და ალეკო სულ ახალგაზრდები დაქორნინდნენ. გიორგი მეჯვარედ მიინვიეს. სულ დოლ-გარმონითა და ზურნა-დუდუკის თანხლებით გაიმართა ქორნილი. მეგობრის ცოლი მალე დაფეხმდიდა

ოლქ. №4, 2023



კიდეც. მუცლის ტკივილებმა რომ მოუარეს, სამშობიაროში გააქანეს. გიორგი რომ მივიდა, ალეკოს და მზიას ნათესავები სამშობიაროს ეზოში შეკრებილიყვნენ. სხვა მელოგინეთა ახლობლებიც იქვე ჯგუფებად ჩამომდგარიყვნენ. ლოდინის სიმძიმე რომ შეემსუბუქებინათ ხანდახან ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ, თქვენმა რა ქნაო, პასუხი ხან დადებითი იყო ხან უარყოფითი. ზოგი იტყოდა, ბიჭი შეგვეძინაო, ზოგიც

— გოგოო. ინყებოდა მილოცვები, ნაცნობი იყო თუ უცნობი, აბა, რა მნიშვნელობა ჰქონდა?! ახალი სიცოცხლე იბადებოდა. სიხარულიც საერთო იყო და მნუხარებაც. ალეკო ყველაზე მეტს ნერვიულობდა, ცოლის კივილს კარგად არჩევდა სხვა ქალების ხმაში. მიხვდა გიორგი, თავისი ძალა, თუკი ნამდვილად ჰქონდა, ახლა უნდა გამოეყენებინა და ჩუმად უჩურჩულა მეგობარს: ხომ გახსოვს, გველისა და ბაყაყის გაყრის ისტორია, მე რომ გადამხდა, ერთ ჭიქა წყალს დავალევინებ შენს ცოლს და ადვილი მშობიარობა ექნებაო. ცდა ბედის მონახუვერეაო, დაეთანხმა ალეკო. სამშობიაროში კაცებს მაშინ აბა ვინ შეუშვებდა?! დაირბინეს ახლომახლო სახლები, კიბე მოიტანეს, მიადგეს სამშობიაროს მეორე სართულის ფანჯარას, საიდანაც მზია პერიოდულად თავს გამოჰყოფდა ხოლმე და ქმარს შეელას სთხოვდა. აძვრა კიბეზე გიორგი, ქვევიდან ალეკო იმედით სავსე თვალებით შესცეკროდა, მიაწოდა ჭიქა წყალი ქალს, დალიე, ნახე, ისეთი წყალი მოგიტანე ადვილი მშობიარობა გექნებაო. სვამდა წყალს მზია და გრძნობდა გიორგი ტკივილებისგან ხსნის როგორი ძალა გადადიოდა წყლიდან ქალის სხეულში. ახალი სიცოცხლეც სულ სხვანაირად შეინძრა მუცელში, თითქოს მასაც ძალები მომატებოდა. წყალი, რომელშიც პატარა მოძრაობს მუცელში და წყალი, რომელშიც თავკომბალა დაცურავს ერთია,



მაია ლიაკონიძე

ისაა საწყისი სიცოცხლისა, დაბადებისა. მზიას ცოტა ხანში ტკივილები სრულიად გაუქრა, მალე, ბიჭიაო, დაიძახეს.

მეორედ ძმის — ნიაზის ცოლს დაეხმარა. შენუხებული დაცვდა სამშობიაროსთან ძმა, ბავშვი ფეხებით მოდის და არ ვიცი რა მოხდებაო. დაალევინა გიორგიმ ჭიქა წყალი ირმას. შორს წასული არ იყო, რომ ხედავს ძმის სიმარმა გვერდზე ჩაუფრინა. გამოეკიდა, რა ხდება, სად გარბიხარ

კაცოო. ბიჭი გაგვიჩნდა. შენ რომ წყალი დაალევინე ჩემს გოგოს, ბავშვი შემოტრიალდა და თავით წამოვიდა, გადარჩა საკეისროს ირმა. შენ გაგახაროს ღმერთმა, ისე ვარ გადარეული, შე კაცო, ველარც გიცანი. ახლა ბაზარში სამწვადეს ასაღებად გავრბივარ, სუფრაზე გელოდებითო. გახარებული კაცი გიორგის მხარზე უტყაბუნებდა ხელებს და ეხვეოდა. ახალგაზრდას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მას მერე ხშირად იხმობდნენ და დღესაც იხმობენ გიორგის მშობიარე ქალებთან, „გველ-ბაყაყის გამყრელო“, დაგვეხმარეო. ლოცავდნენ ქალები ახალგაზრდას, ლოცავენ ახლა უკვე კაცს, გაიხარე, მარტო მაგისტრის მიგიღებს ღმერთი სამოთხეში, ჩვენ რომ გვშველიო. კაცი კი ახლაც ყოფილით იქნევს თავს, მე კი არა, ღმერთი გშველით, მე რა შუაში ვარო. გულში კი კმაყოფილია, რომ ახალი სიცოცხლის დაბადებას უწყობს ხელს, ორმოცდაათი პატარის ქვეყნად მოვლინებაც ხომ მისი ჯადო-ძალის გამოყენებით ანუ ღვთის შემწეობით ხდებოდა. „გველ-ბაყაყის გამყრელო!“ ეძახის ახლა პატარა შვილიშვილი. გიორგი კი გულიანად იცინის: „შე მამაძალლო, წადი, გამშორდიო“, ეუბნება ბავშვს და წიგნებს ჩაჰერკიტებს, უნდა ცხოვრების კიდევ ბევრი ამოუხსნელი საიდუმლო შეისწავლოს და ამოსახსნელი ამოხსნას.

თეორი ცხენი

პირველად დავინახე, რომ ბაბუა ტიროდა, მოხუცს მხრები უცახცახებდა, ცრემლი

ედინებოდა გაყვითლებულ წვერზე. თავზარი დამცა ამ ამბავმა, ვერაფერი ვკითხე



და ბებიას მივადექი. ცხენმა უკბინაო თი-თზე, მითხრა ბებიამ. დავაკვირდი, თითი მართლაც შეხვეული ჰქონდა. არ ვიცი, ასე ძალიან სტკიოდა თუ ნაწყენი იყო თავის გაზრდილზე. ცხენი მის ხელში დაპერებულიყო, ბალანი გაჰყვითლებოდა. ბაბუას ძალიან უყვარდა თავისი თეთრი ცხენი, სულ იმას უტრიალებდა, უვლიდა, ბანდა, ასუფთავებდა და ბავშვებს რომ არ გაგვეგო ჩუმად ელაპარაკებოდა.

შაბათობით ჩვენს სოფელში ბაზრობა იმართებოდა, იმერეთიდან თიხის ჭურჭელი ჩამოჰქონდათ. ურემზე დაგვაჯენდა და ნაგვიყვანდა. ჩამოურბენდით უზარმაზარ ქვევრებს, დოქებს, ჭინჭილებს. აუცილებლად გვიყიდიდა თითო-თითოს, თვითონ რას ყიდულობდა, არც მახსოვს, მაგრამ ჩვენი სიხარულით რომ კმაყოფილი იყო, ვიცოდი. ულვაშებში ჩაილიმებდა, ეზოში ჭინჭილებით და დოქებით ხელში რომ შეეცვივდებოდით ხოლმე. ცხენს ურმიდან გამოხსნიდა, მოეფერებოდა, სახეზე ხელს მოუთათუნებდა, თვალებში ჩახედავდა, ისიც წყნარი, მშვიდი თვალებით შეაცერდებოდა, უსიტყვოდ ეს-მოდათ ერთმანეთის. ცხენის მიმართ ასეთი

სიყვარული არც მინახავს.

იმ ღამეს ბაბუას საუბარი მოვისმინე, ნამდვილად ავადაა, რაღაც სტკივა, თორემ ასე არ გამიმეტებდაო, ბებიას ეუბნებოდა. ახდა ბაბუას წინასწარმეტყველება, მალე მოკვდა ჩვენი ცხენი. ბაბუაც ავად გახდა, ერთ თვეში ისიც გარდაიცვალა. ვერ გადაიტანა მეგობრის სიკვდილიო, ამბობდა ბებია. მე კი დღესაც წინ მიდგას ჩემი თეთრი ბაბუა, მომლიმარი, გვერდზე თავისი ხურჯინ-გადაკიდებული თეთრი ცხენით. ასე მგონია, იმ ქვეყნადაც ერთად არიან.

ბაბუ, ჩემი ტკბილო ბაბუ,

რა ხანია ღამეა,

შენთვის ვერცხლის უზანგები ლურჯას მოუტანია.

ვეღარ ხედავ ნაცნობ შუკას,

ვეღარც სოფლის საჩეხებს...

იქ ლურჯა დგას, შენი ლურჯა, ღამეს თეთრად ათენებს.

მაგრამ წყვდიადს ვერ ერევა, –

თვალებს ტყუილად აცეცებს,

შენ ნათელში, ის კი – ბნელში,

სულ ერთმანეთს დაეძებთ.

37



მატარებელი

ვაგონი ვაგონს ჩაბმია, დგანან თავდახრილები. ეს ელექტროდეპონა, თითქოს დრო მოჭამესო ვაგონებმა, აღარავის ახსოვს, დაუანგულები, სიცოცხლენართმეულები, ერთ დროს რომ ტვირთს დაატარებდნენ მთელ საქართველოში და არა მარტო: მოსკოვი, ხარკოვი, ოდესა, ბაქო, ერევანი... ამაყად ჩაუქროლებდნენ ბაქანზე მდგომთ, ნახეთ, რამდენს ვშრომობთ ადამიანებისთვის, რამდენი ტვირთი მოგვაქვსო. ახლა კი დგანან მუხლჩახრილნი, მუხლშეკეცილნი. ელექტროდეპოს ხიდზე გადამსვლელი თუ გადაულებენ სურათს, უფრო უცხოელები, სევდით გადახედავენ ნაშთს ძველი დიდებისას. გახსოვთ, ალბათ, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, როგორ ქუხდა და გრგვინავდა. ახლა აქა-იქ თუ ალმოაჩენ რკინაზე მომუშავეთ და მოკაკუნეთ.

ისევ მატარებლები მახსენდება, სულ

კივილ-კივილი რომ გაუდიოდათ, ღამითაც არ ჩუმდებოდნენ. ახლა ერთი-ორი თუ ჩაივლის ზლაზვნით, მთენარებით, თითქოს ხალისიც დაუკარგავთ, არავინ ეგებებათ. საიდან ვიცი?! აქ ვცხოვრობ, ელექტროდეპოსთან, ადრე სამხრეთ დეპოს ეძახდნენ. ყველა მატარებელი აქ იყრიდა თავს, ზოგი დასასვენებლად შემოჰყავდათ, ზოგსაც არემონტებდნენ.

ბავშვობაში ყველა მატარებელს ხელს ვუქნევდი, მეგონა ჩემი და არა მარტო ჩემი, ყველა ბავშვის ოცნება მიჰქონდათ ღმერთან ასასრულებლად. ამ ჩაუანგული მატარებლის ვაგონებივით ჩამომსხდარან ჩემი ოცნებებიც მათ სახურავებზე. წარმოიდგინეთ, ჩაუანგული, დაღლილი თვალებითა და სულით ვაგონის თავსახურზე ჩამომჯდარი ოცნება. ესაა დღევანდელი საქართველოს რეალობა... თუ ასე არაა, ვინმე შემედავეთ.





ნუც ქამუკაშვილი

ნოდარ ფუმბაძეს
დაბადების 95-წლისთვის

სიმართლე და სიკეთე
გაიხადე მეგზურად...
გსურდა – ადამიანებს
ერთმანეთზე ეზრუნა,

სულ სიკეთე ვთესოთო,
ტკივილი, რომ არ იყოს:
ვახალისოთ ცხოვრება:
სევდა-დარდმა არ გვრიყოს...

მადლი ქვაზე დაიდოს,
დაბრუნდება – ასჯერა...
და მზე ნახა ხატიამ, –
მზესიყვარულს დასჯერდა.

იუმორით ნათელი
იყო ზურას ცხოვრება,
თავს ბებია ერჩია,
მუდამ ემახსოვრება...

ილარიონს, ილიკოს
მეგობრობა შვენოდათ;
ურთიერთ სიხარულით
მათი გული მღეროდა.

გადმოფინე, როდესაც
თეთრი ბაირალები;
სიმართლეზე ამბობდი,
სიკეთის გზას აღებდი!

პატარებიც ახარე, –
კუნწულებით ლექსების,
სტრიქონებში ანთია
სიყვარულის მზე-გზნებით.



ახალგაზისები ჩანახთი „ნაბიჯი“

გამოვლინდნენ კონკურსში „ჩვენ მოვდივართ!“ გამარჯვებული

(შემოქმედებითი ტრადიცია გრძელდება...)

მიმდინარე წლის იენისში გაიმართა ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებითი კონკურსი.

ურუიმ იმსჯელა საკონკურსოდ შემოსულ ნაწარმოებების ავ-კარგზე, შეაფასა და თითოეულს სათანა-დო ადგილი მიანიჭა, – აზრისა და მხატვრულობის დონის მიხედვით.

ოქროს დიპლომით დაჯილდოვდნენ: გიორგი ზუბიტაშვილი და მაკა ღარიბაშვილი.

ვერცხლის დიპლომი დაიმსახურეს: თამარ ბურნაძემ, ნათია ჯავშანაშვილმა, ნინო მოსიაშვილმა და გიორგი გუგეშაშვილმა.

ბრინჯაოს დიპლომი ერგოთ: მზია აზნიაშვილს, ელიზბარ ნერსესოვს, ნანა ბართიშვილს და ნანა სულხანიშვილს.

ურუიმ სიგელები მიაკუთვნა: ზაირა როსტომაშვილს, თათია გოშაძეს და ქეთევან ჭანკოტაძეს.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“ ულოცავს გამარჯვებულებს დამსახურებულ ჯილდოებს და ვუსურვებთ მომავალი მწერლობის მესვეურთ უფრო მაღალ შემოქმედებით წარმატებებს.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“
ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელი
ნუნე ქამუკაშვილი

39



გიორგი ზუბიტაშვილი

მწირე პეიზაჟი

ცრემლისფერ ნისლებს წაიღებს ქარი,
მთის მკერდზე არვე მოსწყდება მზერას
და ტყეში გაშლილ ირმების ბლავილს
მიემგვანება მწუხრის სიმღერა.
შეყვითლდებიან ბებერი ხენი,
წაბლი, წიფელი, მურყანი, თელა...
შეიმწუხრება ბილიკი ჩემი,
თითქოს, ამ ვრცელი სამყაროს – ხელა!
და... ზამთრის პირზე, ვაჟიას ლექსით.
სხვა მზესა ვნახავ, როგორც მინდია,
ხან, გულმოსული ჩემს თავს შევყმუვლებ.
წუთისოფელი, როცა პინდია!
და, როცა მთებზე თოვლისფრად მოთოვს,
ვით, ხევი წარკვეთს ოქროსფერ ფოთოლს,
მინდა, მეც, ისე დავზავდე სიკვდილს,
გამოვეთხოვთ: ცრემლისფერ ნისლებს,
განითლებულ მზით მინავლულ მზერას,
ოქტომბერს ტყეში ირმების ბლავილს
და ჩემგან უთქმელ მწუხრის სიმღერას!





მოძრავინი

ჩანახატი

შემოდგომაა... გელოდები...

და სევდა მიპყრობს იმის გამო, რომ შენ, ჩემ-
თან არ ხარ...

თუმცა, არ ვიცი ვინ ხარ და როგორი ხარ,
სინამდვილეში...

ჩემს ოცნებებში კი, დაუმარცხებელ რაინდს
გავხარ...

რომ იცოდე, როგორ მიჭირს უშენოდ...

შენს მეტს, ჩემი, არავის ესმის, ეს შენც იცი...

როდესაც, მარტო ვარ და ყოველი ნაცნობი
სახის დანახვა არა მსურს, შენ ხარ: ერთადერთი,
მესაიდუმლე და...

ერთადერთი, გამგები ჩემი...

თუმცა, შენც ნაცნობი ხარ, მაგრამ...

მე, შენ, არასოდეს, მომბეზრდები...

შენი სახე, ერთადერთია, – ჩემში და...

მე, ამ სახის დანახვა არასოდეს დამიღამებს ხა-
სიათს...

თუმცა, არ ვიცი, ვინ ხარ და...

როგორი ხარ, – სინამდვილეში...

ხან, მოსიყვარულე მიჯნური ხარ...

ხან, ქვეშევრდომებზე გაბრაზებულ ბატონს

გაეხარ...

ხან, მტერთან მებრძოლი ჯარის – მამაცი სარ-
დალი ხარ...

ხან, სატრაფოსთან ფანჯრიდან შეპარულ რომე-
ოს ჰგავხარ...

ხან ჯიბე გახვრეტილი ამპარტავანი ხარ...

ხან, ყოველნამს, ჩემს გვერდით ხარ...

ხანაც, დრო გადის და თავს მანატრებ, მა-
გრამ... როდესაც – მოდიხარ, ჩვეული, შენოვის და-
მახასიათებელი სითბოთი მითბობ გაყინულ გულსა
და ხელებს...

თუმცა, არ ვიცი, ვინ ხარ და...

როგორი ხარ, – სინამდვილეში...

სახელიც არ ვიცი, თუმც, არც უმაგისობა
გაწუხებს ძალიან...

აი, ჩემი შერქმეული სახელი კი ძლიერ გიხდე-
ბა..

ჩემი სიცოცხლე, ან, ჩემი სიყვარული... უბრალ-
ოდ...

თუმცა, არ ვიცი, ვინ ხარ და...

როგორი ხარ, – სინამდვილეში...

ახლა კი, რომ იცოდე, როგორ მიჭირს უშენოდ.

ნათია ჯავახაშვილი

გაზაფხული

მოვიარე – მთა და ბარი,
და... ავივსე – სიამით,
ყველა მხრიდან მესალმება –
ცელქი სიო, ნიავი.

საქართველოს სილამაზე
ლექსში როგორ ჩავტიო?!

ყვავილების თაიგულებს
შეიფერებს, – ჩანს ტილოც...

აპრილს უყვარს ია ლურჯი,
და... მთებს თეთრი ლაბადა...

ზედგას კავკასიონი კი,
როგორც კარგი თამადა.



თამარ პურნაძე

* * *

შზეს ჩაეძინა და ჰორიზონტს გააყოლა
ღრუბლის ქულები და ნისლი, – აფრენილი,
სევდით შემოსა, ერთ დროს, მხიარული,
ოქროს ნაწნავი თუ ლია ქვაფენილი.
სევდა ფოთლებია, სევდა შემოდგომის,
ათას პალიტრად და ფიქრად დაფენილი.
მე კი მარტონობით ძალა დამელია.
ძალი სამყაროა ფერით გატენილი,
მაგრამ... ეს ფერები, მხოლოდ, ნაღველია.
მინა მოქარგულა ათას ყვავილებით:
ლურჯი იგია, თეთრი ვარდებია,
ნახე, რამდენია, ჩემი დარდებია,
ჩემს გულში დაშვებული თეთრი ფარდებია.
ვაზის ტოტებია, – ქარვით დახუნძლული,
მთაში, მწვერვალებზე, სევდის ქარებია.
ისე დაღლილი ვარ, ისე ცარიელი,
თითქოს, ცხოვრებაში არვინ მყვარებია.
ჩემი გაღიმება, ჩემი სისარული,
ბედის დაცინვა და სულის ჩადრებია.
თმებში ჩაბნეული თეთრი გვირილები,
ნახე, რამდენია, ჩემი დარდებია.

გიორგი გუგაშვილი

მონაჭრებაა. თუ, სიყვარული?!

მონაჭრებაა, თუ, სიყვარული?!.
მე შენს დანახვას სიზმრად რომ ველი,
მონაჭრებაა, თუ, სიყვარული?..
ამ გულს რომ ერჩის ფიქრები მწველი...
მომელანდები მე ცის ციალში,
ვითომც, შენ იყო ცისარტყელაში...
მომენაჭრები ფიქრის წიალში,
ნუთუ, ბევრია, კიდევ, შენამდი?!

მონაჭრებაა, თუ, სიყვარული? —
ყოველ წუთს შენს ზარს განცდით, რომ ველი...
მონაჭრებაა, თუ, სიყვარული? —
ყოველ, ახალ დღეს კითხვის მთოველი...
მიებარება სახუთროს – ეს დროც,
გამოილევა ამ გულშიც გრძნობა...
მერე, იქნება გვიანი, უკვე,
ყოველი სიტყვა, ბევრა და ცნობა...

41



ნინო მოსიაშვილი

მოხეფიალე ღრუბლების ფირები

მე, ერთი, პატარა ღრუბელი ვარ. უცხოვრობ
ცაში. დედობას ცა მიწევს, მამობას – დედამიწა. ვმოგზაურობ დედამიწის გარშემო. იქ ვჩნდები, სა-
დაც ვიცი, რომ საჭირო ვარ. ხან გაზაფხულის ცხე-
ლი მზით გადამხმარ არემარეს ვახარებ, ხან გლეხ-
ის მიერ დათესილ ყანას, რადგან უხვი მოსავალი
მიიღოს და ციდან მისი გახარებული და ბედნიერი
სახე დავინახო და დავრჩმუნდე, რომ მეც შემიძლა
სიკეთის კეთება. მე, უკვე, ბევრი ქვეყანა მაქვს
მოვლილი და ვთვლი, რომ ყველა მათგანს თავისი
ხიბლი აქვს.

მიყვარს, სალამობით მზე რომ ჩადის, მისი
სხივები ჩემზე ვარდისფრად ანათებს. ეს სილამაზე
ადამიანის თვალს არ გამორჩენია. ბევრმა მხატვარ-
მა გადაიტანა ეს სურათი ტილოზე, მნერალმა კი

– სიტყვებით აღწერა და გამოხატა თავისი შთაბე-
ჭდილება.

ნეტავ, შემეძლოს ველაპარაკო ადამიანებს,
ჩემი ოცნებები და ფიქრები გავუმხილო. ძალიან
მინდა ბევრი მეგობარი მყავდეს, მაგრამ... ღრუ-
ბლებს შირის ყველაზე პატარა ვარ და ვიჩაგრები.
დიდი ღრუბლები, სულ, დამცინიან. ეჲ, ადამიანები,
მე რამდენი რამ ვიცი თქვენს ფიქრებზე, ოცნებებ-
ზე. მიხარია, ხანდახან თქვენს საიდუმლოებებს რომ
მეუბნებით ჩუმად, მაგრამ თქვენ გგონათ, რომ ზო-
გჯერ, მე თქვენი არ მესმის, რადგან ვერ გელაპარ-
აკებით. ადამიანებო! გიყვარდეთ და... რაც შეიძლე-
ბა, მოუფრთხილდით ერთმანეთს და ნუ მიაყენებთ
ზიანს, რადგან, თქვენც მარტო არ იყოთ და მეგო-
ბარი სანატრელი არ გაგიხდეთ.

ოქტომბერი, №4, 2023





ნანა პართიშვილი

უწია იწოდე...

მწარეა, მართლაც, ჩემს „მე“-სთან ბრძოლა,
იპრძვი ბოლომდე და მაინც აგებ...
ამ ომში უნდა იცოდე ბრძოლა,
არა – ღიმილი, – ნასროლი განგებ...
და, მაინც ქალის იარალია:
თვალებიც, ტანიც, ეშხიც, ღიმილიც...
და რას ვაკეთებთ, თუკი, სწორფერმა
ჩევნ არ დაგვადგა, მაინც, – გვირგვინი?
იპოვეთ იგი, ვინც დაგაფასებთ,
და... თქვენ, არ იტყვით: „დავემონები“...
მაშ, თქვენ იქნებით: ლამაზი ქალი
ვაჟკაცი ქმრით და წყნარი გონებით!..

გზია აზნიაშვილი

აფაშიანო!..

რას გარგებს, ადამიანო,
სულ, მუდამ, ავის კეთება?!..
ბოროტებაზე ფიქრებით,
როდესაც გული ბნელდება...
რას გარგებს, ადამიანო,
შენი მოყვასის მტერობა?!..
იცხოვრე – სიყვარულისთვის,
სხვასაც შემატე მხნეობა.
სიმართლე იყოს მეგზური, –
შენი ცხოვრების დღეების,
ნუ გადაუხვევ – ლვთის მცნებას,
გზას გაგინათებს მზეები...
ვისაც სჭირდება სიკეთე,
ნურავის დაუგვიანებ,
ტყუილი დაგმე, სიმართლე
ხალხს, მუდამ, გაუზიარე...
დავიცვათ ქრისტეს მცნებანი,
ვეცადოთ: ვიყოთ – სრულქმნილი,
ვიცხოვროთ მცნებით უფლისა
და... ნუ ვიქნებით – ცოდვილნი!..
ცხოვრება ვიცით – წუთია,
სიკვდილი გვადგას კარზედა,
სიმართლითა და სიკეთით
ავიდეთ ქრისტეს მთაზედა.
როცა მოკვდებით, იტყვიან:
ცხონდეს მის სული ცხოველი...
და... შეგვიქებენ გამზრდელსა, –
კარგი ჰყავდაო – მშობელი.



ნანა სულხანიშვილი

ელიზბარ ნერსესოვი

გინახავთ?!

გინახავთ, როგორ მიცურავს მთვარე,
მთაწმინდის თავზე?!
გინახავთ, როგორ ტორტმანებს
ხანძთა და ზარზმა!?
გინახავთ, ადრეულ გაზაფხულზე
მწვანეთ მოხავერდებული ნარიყალა!?
გინახავთ, მტკვარზე მონარნარე
ქალ-ჯეირნები!?
გინახავთ, კახეთის გაკვირტება
ზამთრის ძილიდან!?
გინახავთ, ჭაღარა ალაზანი
მისი ველები თვისით მონარწყველები!?
გინახავთ, როგორ მღერიან
„ლილეოს“ მთაში!?
გინახავთ, რა ლამაზია თუშეთი
და ლაშქრობა თუშური!?
გინახავთ, ისფერი შებინდება
გომბორიდან თელავის თავზე!?
გინახავთ, ნისლების ცეკვა
ყადორის თავზე!?
გინახავთ, ალავერდი თვისი
სიმაღლით და სინატიფით ამაღლებული!?
გინახავთ, კოშკები როშეის.
გინახავთ, სვანეთი სალი ქვებით ნაგები!?
გინახავთ, რიონი, მდუმარე, მქუხარე, –
მასზე სიმღერით ქუთათურები!?
გინახავთ, რაჭა, მასზე ფენილი
რძისფერ ნისლები!?
ამის შემყურე იყვნენ,
მხატვრები,
მწერლები,
და სიყვარულის მქადაგებლები.
აკაკი, გალა და
ფიროსმანი, – და
კიდევ სხვანი და სხვანი...
და ჩერნც მივყვებით
სიტყვათა ზღვაში
მელანის ნავებით და
კალმის ნიჩბებით.

გადის ნლები და იმ ნლებს ყოველთვის,
ნეტავ, ცხოვრების ალით ვინ რთავდა,
რომელსაც აწმყოს გულზე ვაწერდი
და სულ მეგონა, წაიკითხავდა.
თუმცა, სიცოცხლე, როგორც ნანატრი,
მარადისობის მსგავსად სურვილის,
მრჩება შვილებში – სულის შთაბერვით,
მრჩება და ვმდიდრობ მეტი წყურვილით!
სხვა რა სიმდიდრე! თუ გამარჯვებით,
ვგავარ ომიდან სახლში მიმავალს,
გადარჩენილი რწმენის სანგრებით
სიყვარული და სული მიმაქვს თან.
ამინდისფერი, გამკრთალ თვალებით,
ნისლში მზის დარღად, რომ არ მინავლდა,
გადის ნლები და რჩება – დრო, წელი, –
დარად – ცხოვრების შუქად, – მზის ალთა!

43



თათია გოგაძე

ვაჟა-ფშაველა

უყვარდა ბუნება, მთანი მაღალნი,
ფიქრობდა ბევრს და იყო მამაცი,
ვაჟა-ფშაველა – ერთი გვყავს, მხოლოდ
და მისი სული ღმერთმა დალოცოს.

ფრთი

მაშინ აფასებ თავისუფლებას,
როცა არა გაქეს იგი,
მთელი ცხოვრება ელოდები და
ეს დროც რა მაღე მირბის...
სულ ჩქარობ, მაინც – გაგვიანდება,
მიღიხარ, სადღაც, იქით...
და, ბოლოს, ხალხო, იცით რა ხდება?!
ჩვენი სიცოცხლეც მიდის.

ოლქ, №4, 2023



ზაირა როსტომაშვილი

44



ზამთარი

ერთხელ, როდესაც,
გათენდა დილა,
მიწას ეხურა –
თეთრი საბანი, –
თოვდა, ბარდნიდა,
გულუხვად სცრიდა, –
ისროდა ფიფქებს, –
ციდან დავარდნილს,
თოვდა და თოვდა,
ირგვლივ ათოვდა,
და მიწას, თეთრად,
სამოსს აქსოვდა...

ეთევან ჭანკოტაძე

ცირკის მსახიობები

თანდათან უფრო დაღლილი ვხდები, ვხდები უფრო ნაცრისფერი და მდორე. თანდათან უფრო ვემს-გავსები ცირკის მსახიობს, რომელიც ყოველდღე, ერთი და იგივე წარმოდგენას მართავს. მეორდება...

მეორდება, ისევ მეორდება, ისევ ტრიალებს საათის ისარი, ისევ ქარი უბერავს და... ისევ, ჩემს თავს ვეხუტები. ვუყურებ და ვხედავ, როგორი საცოდავია, როგორი მოწყენილია, ალარ ილიმის, მხრები ჩამოყარა, თავი დაუმძიმდა და თვალს თვალში ველარ მიყრის... ვუყურებ, ვუყურებ და ბრაზი მახრჩობს, ის ხომ ჩემი უბრალო ანარეკლია, საწყალი...



გალინა გრანოვსკაია

- მშვიდობისან ფრენსას გისურვებ, - ნაიმუტყუფა
ქრლმა, ჰერ კიდევ ცურ გაეგო, რა ხდებოდა. ახლახსან
გვერდით უჭდა და გაქრა, ჩასასხლომად აჩქარებულ მე-
ზავებს შორის გაუჩინარდა და ცელარაპოდეს ნახავს. ამ
აზრის გაელვებისას რალაწამ მტკიცნეულოდ უჩვლიტა და
საბოლოოდ გმილებიზღუდა - კარ არ მისამართი, არა
ტელეფონი ან დაუყოვნებია, ადამიანთა მასიდან გამოჩინდა
და მასშივე ჩაიკარგა. არის აქ რამე გახაკვირი? მგზა-
რობისას ასეთი რამ ხშირად ხდება. ვინ იყის, რამდენჯერ
გადატესანია გული უზონი ადამიანებისთვის, რომელთა
სახეებსა და სახელებს ახლა ცურ კი გაიხსენებს...

8. გრანტების

45



რომანტიკული გაცნობა

ფრენა კვლავ გადაიდო: „ძლიერი ქარის გამო რეისები გაუქმებულია“. მოსკოვში ქარბუქია? ყოველი მორიგი ინფორმაციის გამოცხადებისთანავე, მოპირდაპირე კედელზე, ელექტრო საათის დიდი ისარი ხუთ წუთს ახტებოდა და ალიონას ხასიათი სულ უფრო მეტად უფუჩდებოდა. საღამოს რვა საათისათვის კი განწყობა მთლად წაუხდა, ისევე როგორც მგზავრების უმრავლესობას გაფრენის მოლოდინში ნახევარი დღე რომ გაფლანგეს. ალიონა წამოდგა, გვერდით მჯდომ ხანდაზმულ ქალს ადგილის შენახვა სთხოვა და დარბაზის შორეულ კუთხეში, კაფისკენ გაემართა. შესაძლოა ლამის გათ-ევა აქ მოუწიოს და წახემსება არ აწყენდა, რადგან ფუნთუშა და რამდენიმე კოტლეტი, გამომგზავრებისას დედამ ხელჩანთაში ძალად რომ ჩაუდო, კარგა ხანია შეჭამა. არა, მომავალში მხოლოდ მატარებლით იმგზავრებს. მართალია დიდი დრო მიაქვს, სამაგიეროდ დათქმულ დროს ჩახვალ. ახლა მშვიდად უნდა მიდიოდეს და მატარებლის ბორბლების დაგადუგში ტკბილ სიზმრებს ხედავდეს.

ალიონამ მეორე ჭიქაც შესვა და უკან
გაბრუნდა. გზად, საგაზეთო ჯიხურში ურ-
ნალი „სილამაზე და მოძა“ იყიდა. ურნალ-
ში მხოლოდ ფოტოები და ასტროლოგთა და
ფსიქოლოგთა წერილებია, მაგრამ გულის
გამანვრილებლად განელილი დრო რაღაცით
ხომ უნდა გაიყვანო. სკამზე მოხერხებულად
ჩამოჯდა და პრიალა ფურცლები გადაათვა-
ლიერა. თავდაპირველად, მზიანი კურორტის
სარეკლამო ფოტოსურათებს გადახედა, მერე
პოროსკოპებით დაინტერესდა. ნეტავ ვინ

ადგენს ამ ჰოროსკოპებს? ამოიხრა, უურ-
ნალი დახურა და დარბაზს მზერა მოავლო.
რატომღაც სიცივისგან დაორთქლილი სარკ-
მლიდან მოშორებით გადაჯდომა გადაწყვი-
ტა, წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა
და კინაღამ გასასვლელის მთელ სიგრძეზე
გაჭიმულ გრძელ ფეხებს წამოედო. მამაკაცს
სახე ქურთუკის საყელოში ჩაემალა, ხელე-
ბი მკერდზე დაეკრიფა და ტკბილად ეძინა —



მხატვარი სოფიო ჭელიძე





სულაც არ დარდობდა, რომ მისი გამოისობით კინალამ ცხვირი მოიტეხეს. ალიონა მის გვერდით გათავისუფლებულ სკამზე ჩამოჯდა და მორიგ განცხადებას მიუგდო ყური, რომელმაც იმედი დაუკარგა, რომ მურმანსკს მალე დატოვებდა – თვითმფრინავის გაფრენა დილის ექვსი საათისათვის გადაიდო. იქნებ ბილეთი ჩაპაროს, შინ დაპრუნდეს, ღამე გაათიოს და მეორე დღეს მატარებლით გაემგზავროს? არა, ღრმად ამოისუნთქა, ასე მგზავრობა რამდენიმე დღით გახანგრძლივდება და ფულსაც დაკარგავს. სჯობს კიდევ მოითმინოს. ჩაძინება კარგი იქნებოდა, ძილში დრო სწრაფად გარბის, მაგრამ მოუხერხებელ სკამზე როგორ გინდა დაიძინო, თანაც ასეთ ხმაურსა და კაშკაშა სინათლეში? ალიონამ ქურთუების საყელოდან ამოჩრილ ნიკაპზე ჯაგარივით მოდებულ წვერს ალმაცერად გახედა და გაიფიქრა – ვისაც ძილი უნდა, ასეთი წვრილმანები ხელს არ შეუშლის.

თითქოს მისი მზერა იგრძნოო, გვერდით მჯდომი უცებ შეირხა, ფეხები აკეცა და მხრებში გაიმართა. მამაკაცი ახალგაზრდა აღმოჩნდა, თანაც ლამაზი. გაუპარსავი წვერი და აწენილი, აქეთ-იქით გაფშეკილი ჩალისფერი თმა უხდებოდა კიდეც. ალიონამ უურნალი გადაშალა. მამაკაცმა დაამთქნარა, ნამძინარევი თვალები დარბაზს მოავლო, თითქოს ცდილობდა გარკვეულიყო სად იმყოფებოდა, მერე უცებ ალიონასკენ შებრუნდა და და ძილისგან ჩახრინნული ხმით დაინტერესდა, რომელი საათი იყო. ქალს უნდოდა თითით კედელზე მიეთიებინა – აგერ საათი, უზარმაზარი, ელექტრო, პირდაპირ შენს წინ კიდია, მაგრამ მიხვდა, კაცი მთლად არ გამოფხიზლებულიყო, საათს ჯერ ხედავდა. დახანა და უთხრა:

- თორმეტს აკლია ათი წუთი.
- ოჳო! – მან მზერა ფანჯრისკენ გადაიტანა, – გამოდის, უკვე ღამეა.
- წელიწადის ამ დროს აქ მუდამ ლამეა,
- ალიონამ იქედნური ჩაცინებისგან თავი ვერ შეიკავა.

კაცმა გაიღიმა და ქალიშვილს რაღაც სხვანაირი ყურადღებით შეხედა. თუმცა, არასასიამოვნოა, როდესაც სწორედ მაშინ გაკვირდებიან საუკეთესოდ რომ არ გამოიყურები.

- არდადეგებიდან ბრუნდები? – იკითხა კაცმა.

სახეზე აწერია, რომ სტუდენტია?

– ახლა ყველა არდადეგებიდაბ ბრუნდება, – კაცმა საკუთარი მიხვედრილობით თავი მოიწონა.

ალბათ თვითონაც სტუდენტია, გაიფიქრა ალიონამ, თუმცა არაფერი უკითხავს. თუ მოინადინა, თვითონვე ჰქითხავს. თუ სტუდენტია, საინტერესოა სად სწავლობს, ან სად მუშაობს. ლაპარაკზე ეტყობა, რომ მოსკოველი არ არის. შესაძლოა, მასავით მურმანსკიდან იყოს.

კაცმა თითქოს მისი აზრები წაიკითხაო.

– მურმანსკში მივლინებით ვიყავი. მოსკოვში რამდენიმე დღე დავრჩები, მერე კი შინ, ტიუმენში გავფრინდები. შენ, შორს მიფრინავ?

– მოსკოვში.

– რომელი რეისით?

რატომძაც იმედი გაუცრუვდა, როდესაც გაირკვა, რომ სხვადასხვა რეისით მიფრინავდნენ. არადა, მათი თვითმფრინავები მოსკოვში გუშინ საღამოს უნდა ჩაფრენილიყვნენ.

– მატარებლით მგზავრობა მომწონს. ადამიანებს ეცნობი...

– თვითმფრინავშიც ასე ხდება. მე სერგეი მქვია. შენ?

ანაზდად მათ თავს ზემოთ ნეონის ოთხკუთხა ნათურა ატკაცუნდა, ჩაქრა და დარბაზის ერთი მხარე დაიბუნდა. კაცმა, რომელიც ალიონას წინ გაზეთს კითხულობდა, მაღლა აიხედა და შეიგინა. სერგეის ჩაცინა, მან კი შვებით ამოისუნთქა – ბინდბუნდში უკეთესად იგრძნო თავი, ცისფერ-თეთრი ნათებისგან თვალი ისე აღარ იძაბება. ლაპარაკიც, რატომძაც, უფრო იოლია. კაცი სიმპათიური რომ არ ყოფილიყო, უფრო თავისუფლად იგრძნობდა თავს. ალიონას ბიჭებთან ურთიერთობა არ უჭირდა, რადგან პატარაობიდანვე სხვადასხვა სპორტულ სექციებში დადიოდა, სადაც გოგონებს მუდამ ბიჭები სჭარბობენ. ბიჭები უნივერსიტეტში-აც ბლომად იყვნენ და გვერდს გულგრილად არასოდეს უვლიდნენ. ხან ფულს სესხულობდნენ, ხშირად კონსპექტებს სთხოვდნენ. ყველაფერს აკონსპექტებდა და თანაც მკაფიო ხელწერა ჰქინდა. თუმცა, სხვა გოგონებისგან განსხვავებით, მისთვის პაემანი არავის დაუნიშნავს. „ეს იმიტომ, რომ შენ მათთვის ძმაკაცივით ხარ, თავისიანად გთვლიან – ვითარებაში გაარკვია ქსენიამ,



რომელთანაც ერთ ოთახში ცხოვრობდა, – როგორც ქალი, შეუფერებლად იქცევი. კაცებს ქალებში ის უყვართ, რაც მათგან განგვასხვავებს. მათ შორის, გრძელი თმები. შენ კი, ჯარისკაცივით ზღარბივით თმა გაქვს. ქუსლიანი ფეხსაცმელი და ნორმალური კაბა ჩაიცვი, რათა შორიდანვე იგრძნობოდეს რომ ქალი მოდის და არა ჩერჩეტი გოგონა!“ ერთხელ, ქსენიას ახლობელი ბიჭი რომეც შეეცადა ალიონას დახმარე-

ბოდა და გადაწყვიტა ნათესავი ბიჭი გაეცნო; თქვენ ერთმანეთს იდეალურად შეეწყობით, სპორტდარბაზიდან ისიც არ გამოდის. შეხვედრაც შედგა. ვასილი მართლაც დაკუნთული აღმოჩნდა, რაც მამაკაცს გარკვეულ მიმზიდველობას ანიჭებდა. ღვინო და კამფეტებიც მოიტანა. სანამ ქსენია და რომა სამზარეულოში კარტოფილს წვავდნენ, ის ალიონას საკოცნელად მიეტანა, შეეცადა ხელი კაბის ქვეშ შეცურებინა და ეს გაცნობიდან მხოლოდ ნახევარ საათში. ალიონამ მაშინვე მიახვედრა, რომ ასეთი თავხედური საქციელი მისთვის მიუღებელი იყო. როგორც ჩანს, ვასილიმ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ადრიანად წავიდა. მოიმიზება, რომ დილით მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა. ქსენია დაინტერესდა: აბა, მოგეწონა? არა, უპასუხა ალიონამ. უნდოდა დაემატებინა, რომ უკეთესია არავის შეხვდე ვიდრე ასეთ ხეპრესთან გქონდეს ურთიერთობა. თუმცა, ალიონა ბუნებით ოპტიმისტი იყო და იმედს არ კარგავდა, რომ ისეთ ადამიანს შეხვდებოდა, რომელიც მასში გაცილებით მნიშვნელოვანს დაინახავდა, ვიდრე ფეხების სიგრძე და მკერდის ზომაა. ბიჭები, რომლებიც ქალის ინტელექტზე გიუდებიან, უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობენ და არც არასდროს ყოფილან. რომც არსებულიყვნენ, მამონტებივით გადაშენდებოდნენ. ვინც ადამიანთა მოდგმის გასაგრძელებლად არ არის დაპროგრამებული, დედამინიდან უთუოდ გაქრება... ქსენიას საპირისპირო სქესისადმი ურთიერთობის დიდი გამოცდილება ჰქონდა და მისი სიტყვები სარწმუნოდ ულერდა.

სერგე ნორმალური ბიჭი ჩანს, რაც მისი გარეგნობიდან გამომდინარე გასაკვირია.



გალინა გრანოვსკაია

– თორმეტია, – კაცი საათს უყურებდა, – შუალამეა.

საინტერესოა, შუალამისას გაცნობა რამეს თუ ნიშნავს? „ჩვენ ერთმანეთი ზუსტად შუალამისას გავიცანით, აღმოსავლეთის აეროპორტში“..... ლამაზად ულერს. კინოშიც, ალბათ რომანტიკული საყურებელი იქნებოდა. რეალობაში კი, ამაში, არავითარი რომანტიკა არ არის. მოსაცდელ დარბაზში ორპირი ქარი დასეკირნობს, ხელ-ფეხი გეყინება და გაკანკალებს. მთელი დღე

უმოძრაოდ და ქურთუკის გაუხდელად ზიხარ – ადგები და ადგილს წამში დაკარგავ. ისედაც ტევა არ არის, ხალხი კი სულ უფრო და უფრო მატულობს. გაცნობა შეიძლება რაღაც სალამოზე, ან დისკოთეკაზე, როდესაც გამოპრანჭული ხარ. არა, ღამე აეროპორტში – რომანტიკული გაცნობისთვის საუკეთესო ადგილი არ არის. ახლა სახლში რომ იყოს, ერთი კარგად გამოიძინებდა.

– ღვეზელი გინდა? – ჰკითხა სერგეიმ.

დიახ, უნდა. ხელი გამოწვდილ პარკში ჩაყო, ღვეზელი ამოილო და ჩაკბიჩა. გემრი-ელი იყო, ვამლის ჯემით.

– ჩვენთან ასეთები სკოლაში იყიდებოდა.

– ხო! ჩვენთანაც. კიდევ აიღე.

ალიონამ უარის ნიშნად თავი გააქნია: არა, მეორეს ვერ მოერევა. არადა, მესამესაც მოერეოდა და მეოთხესაც, მაგრამ პარკში ერთი ფუნთუშალა იყო დარჩენილი...

ალიონა ტკაცუნის ხმამ გამოაღვიძა. თვალი გაახილა და იატაკზე დავარდნილი უურნალი დაინახა. სერგეი დაიხარა და აიღო. ალიონამ დაამთენარა, თვალები დახუჭა და როდესაც გაახილა კაცს მხარზე ჩანთა მოეგდო და მას დაჰყურებდა. სერგეის ზურგს უკან საათი ხუთის ნახევარს აჩვენებდა.

– გაიღვიძე? ყოჩალ. ყინული დაიძრა, მივემგზავრები, – კაცმა უურნალი გაუნოდა, დაიხარა და უცებ ლოყაზე აკოცა, – დროებით. უნდა გავიქცე, ჩასხდომა გამოცხადდა.

– მშვიდობიან ფრენას გისურვებ, – ნაიბუტყუტა ქალმა, ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ახლახან გვერდით ეჯდა





და გაქრა, ჩასასხდომად აჩქარებულ მგზავრებს შორის გაუჩინარდა და ველარასოდეს ნახავს. ამ აზრის გაელვებისას რაღაცამ მტკიცნეულად უჩივლიტა და საბოლოოდ გამოფხიზლდა – კაცს არც მისამართი, არც ტელეფონი არ დაუტოვებია, ადამიანთა მასიდან გამოჩნდა და მასაშივე ჩაიკარგა. არის აქ რაიმე გასაკვირი? მგზავრობისას ასეთი რამ ხშირად ხდება. ვინ იცის, რამდენჯერ გადაუხსნია გული უცნობი ადამიანებისთვის, რომელთა სახეებსა და სახელებს ახლა ვერც კი გაიხსენებს... ასეთი შემთხვევითი შეხვედრები კაცსაც უამრავი ექნება. მენავთობება. თავად თქვა, დღეს აქაა, ხვალ იქ. შესაძლოა, უკვე სხვა გოგონას ეცნობა და ახლა მას უამბობს ანეკდოტებს... გამალვიძა, ამაზედაც მადლობა. შესაძლოა ჩემი თვითმფრინავი ისე აფრენილიყო არც გამლვიძებოდა. ალიონა მოიბზა და წამოდგომა დააპირა თუ არა მის რეისზე ჩასხდომა გამოცხადდა.

სახევარ საათში უკვე თვითმფრინავის სალონში იჯდა, გასასვლელში, მოუხერხებულ ადგილას. თქმა არ უნდა, დღეც უიღბლო გამოდგა. მართლაც, სერგეის ხომ შეეძლო, თუნდაც თავაზიანობისთვის, ტელეფონის ნომერი ეკითხა. თუმცა, ამის გაკეთება თავადაც შეეძლო. რა აზრი აქვს? ის მოსკოვში სწავლობს, კაცი კი ტიუმენში ცხოვრობს. მათ რომანტიკულ გაცნობას სხვა რა დასასრული უნდა ჰქონოდა? არადა, კიდევ ერთ კვირას უნდა დარჩეს მოსკოვში, შეიძლებოდა შეხვედრილიყვნენ. წყენამ მწარედ უბნკინა... კარგი, დაივინყე, ურჩია სალმა აზრმა.

ერთი დღის შემდეგ მურმანსკიცა და ფრენაც მისი გონებიდან საბოლოოდ გაქრა. ფულის გამომუშავების სამუალება გამოხტა – ერთი მეტად მოუცლელი მენეჯერისთვის, რომელიც დაუსწრებელზე სწავლობდა, სასწრაფოდ საკონტროლო უნდა მოემზადებინა. საქმეს რომ შეუდგა, ოთახში ქსენია

შემოვიდა, ერთ ხელში ყავის დიდი ფინჯანი ეჭირა, მეორეში კი უურნალი. ის დასვენების დღეებში მშობლებს ესტუმრა და ბალაშიხადან დილით დაბრუნდა.

ქსენიამ თვალები მოჭუტა, ოთახი მოათვალიერა და მზერა ალიონას საწოლზე შეაჩერა.

– აბა, როგორია ის? – ჰკითხა ეშმაკური ღიმილით.

– ვინ? – გაიკვირვა ალიონამ.

– მეც მაგის გარკვევას ვცდილობ, ვინ?

– ვისზე ამბობ? – გალიზიანებით ჰკითხა ალიონამ.

ქსენიამ ჩაიხითხითა:

– თავი უბინო ქალწულად ნუ მოგაქვს. თუკი რამის დამალვა გინდოდა უურნალი ყველაზე დასანას ადგილას არ უნდა დაგედო! – მან უურნალი გადააბრუნა და თითქმის დამარცვლით წაიკითხა: – „შენი გალვიძება არ მინდოდა. აუცილებლად დამირეკე, გელი!“


ალიონას გული აუფრთხიალდა და დაგადუგი დაუწყო. მერე წამოხტა, სკამი ხმაურით გასწია და ქსენიას უურნალი ხელიდან გამოჰვლივა. უკანა მხარეს მართლაც გაკრული ხელით ეწერა: „შენი გალვიძება არ მინდოდა. აუცილებლად დამირეკე, გელი!“ და ტელეფონის ნომერი.

ალიონას რომ არ გასცინებოდა ტუჩიზე იკბინა, მერე მხრები შეატოკა და მკვირცხლად დაიწყო ჩერიტკის ცეკვა.

– სულელი ხარ! – ქსენიამ თავი გააქნია.

სულელია, აბა რა, ნამდვილი სულელი. გიხაროდეს და არ იცოდე რა. ტელეფონის ნომერი – დიდი ამბავი. ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, სრულიად არაფერს. მაგრამ გულის სიღრმეში სჯეროდა, რომ ისინი ერთმანეთს კვლავ შეხვდებოდნენ.

**რუსულიდან თარგმნა
აკაპი დაუშვილევა**



Կհովոյա-Հյոթընկանք

ნანა
რჩეულივილი

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

6. ሂሳብዎች



რომანტიკული პოეზიის ერთი ესთეტიკური ასპექტის შესახებ

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას
ახსოვს გენიოსი ადამიანების სახელები...

„რკინის ჯობით და რკინის კევრითა
ვისაც მსახვრალი ბედი დევნიდა,
ვისაც გარდახდა ჭირი ბევრი და
ვინც არ დაინდეს და არ დაზოგეს,
ვინც წუთისოფლის მოჰკლა ამბოქმა....“

ეს სიტყვები ამერიკული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელს ედგარ ალან პოს ეკუთვნის და ზუსტად ესადაგება მისი ავტორის ყოფითა და შემოქმედებით ნატურას. ნანყვეტი ციტირებულია ცნობილი ლექსიდან „ყორანი“ (3.200), რომელიც უკიდეგანო სევდის, მწუხარებისა და იმედგაცრუების მოტივებზე შექმნილი და რომელიც საინტერესო გამხდარა არა მარტო უცხოელი, არამედ ქართველი პოეტებისა და პოეზიით გატაცებული ადამიანებისთვის

არ არსებობს რომანტიზმი ტრაგიკული განცდის გარეშე. იქნებ ამიტომაც გახდა ეს ლიტერატურული მიმდინარეობა „მსოფლიო სევდის“ მატარებელი ადამიანებისათვის გარე სამყაროსთან დაპირისპირებით მიღებული განცდების გამოვლენის ერთი ყველაზე მისაღები გზა. რომანტიკოსი არასოდეს ყოფილა „ბედნიერი“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მტანჯველი განცდა ცხოვრების ამავებისა, მარტოსულობის მუდმივი შეგრძნება და მარადიული სამყაროს განუწყვეტელი ძიების გზაზე „ბედი-მდევრის“ სასტიკი, დაუნდობელი წინააღმდეგობა, ბუნებრივია, პიროვნებაში იწვევდა აუტანელ სულიერ ტკივილებს. ეს პროცესი მხატვრულად განაზოგადა ინგლისური რომანტიზმის ბრძყინვალე წარმომადგენ-

ელმა პერსი ბიში შელიმ, როდესაც აღნიშნა: „სილამაზის ელფერი ერწყმის ტანჯვის წყვილი-ადს“. ანუ, ტრაგიკული, შერწყმული ამქვეყნი-ურ სილამაზესა და სინამდვილესთან, – ეს არის რომანტიზმის ნამდვილი იერსახე.

ცონისილი აზრია, რომ ხელოვანი და ხე-
ლოვნება რომანტიზმის პოეტიკაში უფრო ღი-
რებული ცნებებია, ვიდრე სინამდვილის ობიექ-
ტური სახე. ამის მიხედვით, რომანტიკოსების
შემოქმედებაში დიდმნიშვნელოვანია ოცნების,
ფანტასტიკის, მგრძნობელობის გამოხატულე-
ბათა სიღრმე და შინაარსი. სწრაფვა უჩვეულო-
სა და ირეალურისაკენ, იდეალური და მეტად
მიმზიდველი იყო იმ მეამბოხე სულებისთვის,
რომელთა შინაგანი მოწოდება წინააღმდეგობა-
ში მოდიოდა სამყაროს არსებულ კანონებთან. რო-
მელიც გერმანული ფილოსოფიის უდიდესმა
წარმომადგენელმა ფიხტემ განსაზღვრა, და-
საპამს პირადი „მე“-დან იწყებდა და სამყარო-

საც იქიდან განიხილავდა. აი, ფიხტესული მოწოდებაც: „მოარიდე მზერა ყოველივეს, რაც შენ გარშემოა და მიმართე საკუთარი შინაგანი სამყაროსკენ... იმას, რაც შენს გარეთაა, არ-ავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ერთადერთი პრობლემა შენთვის შენ თვითონ ხარ“ (5.59). ბუნებრივია, არსებულის შეცნობას სინამდვი-ლის მძაფრი ტრაგედია მოსდევდა. ეს ტრაგე-დია თვალსაჩინოდ გამოიხატა ორი უნიჭიერესი რომანტიკოსის, ამერიკელი ედგარ ალან პოსა და ქართველი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვი-ლის პირად ცხოვრებასა და პოეზიაში.

ედგარ ალან პო, ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში შესულია, როგორც დეტექტური ჟანრის ერთ-ერთი დამფუძნებელი. გარდა ამისა, იგი კნობილია, როგორც ჟურ-





ნალ-გაზეთების რედაქტორი და ლიტერატურის თეორეტიკოსი. ჩვენი ყურადღება მისმა პოეტურმა მემკვიდრეობამ მიიპყრო, რომელშიც განსაკუთრებული სიძლიერითაა ასახული რომანტიკული პოეზიისათვის დამახასიათებელი პრობლემატიკა.

პო 1809 წელს დაიბადა ბოსტონში, მსახიობის ოჯახში. ადრე დაობლებულმა ყმანვილმა ვირჯინიის შტატის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლება. რედაქტორობდა

ფილადელფიასა და ნიუ-იორქში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებს. საინტერესო გამოკვლევები შექმნა ლიტერატურის თეორიულ საკითხებზე. გატაცებული ყოფილა მისტიკით, რაც კარგად ჩანს მის მოთხოვებში. სიცოცხლის ბოლო წლები აუტანელ სიღატაკესა და ლოთობაში გაატარა. ცხოვრების არასწორი რეჟიმის გამო იდუმალებით მოცული დარჩა მისი სიკვდილი. ლიტერატურულ კრიტიკაში მითითებულია, რომ ედგარ პომ ახალ სიმაღლეზე აიტანა ამერიკული ლექსი. დღეს ის ერთ-ერთ პოპულარულ მწერლად ითვლება მთელ მსოფლიოში.

ედგარ პოს პიროვნების ტრაგიკულმა ელფერმა მე-20 საუკუნის ქართველი პოეტის ყურადღებაც მიიპყრო. ამერიკელი პოეტის პოეზიაში გამეფებულმა სასაფლაოს, ნისლიანი მხარის, მთვარისა და ზოგადად, ირეალური სამყაროსადმი განსაკუთრებულმა სწრაფვამ დიდი გამოხმაურება ჰქონდა „ცისფერყანელთა“ პოეტურ აზროვნებაში. გალაკტიონ ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის და სხვათა ლექსებში მოჩანს პოეტური სახისმეტყველების უშუალო კვალი. გალაკტიონმა მას უძღვნა არაერთი შთამბეჭდავი სტრიქონი, სადაც ხაზგასმულია ედგარის პიროვნული სახისა და პოეზიისათვის დამახასიათებელი ტრაგიკული ნიუანსები. მათგან ჩვენ მხოლოდ ერთი ლექსიდან გავიხსენებთ ნაწყვეტს, რომელშიც ასე ოსტატურადაა შერითმული იდეალი პოეტის სახელი პოეზიასთან:

„ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი, როცა საუბარი ედგარ პოეზეა.

აჩრდილის თანაზიარს მარად საშინელი დასდევს განწირულთა შავი პოეზია“ („საუბარი ედგარზე“).



ნანა რჩეულიშვილი

„განწირულთა შავი პოეზია“ არაერთხელ გამხდარა „ცისფერყანელთა“ შთაგონების მუზა. „იდუმალ პოეტურ ხილვებთან თავდავინებით გამიჯნურებული“ (გურამ ბენაშვილი) ვალერიან გაფრინდაშვილი დიდად აფასებდა ედგარ პოს შემოქმედებას.

ცნობილია, რომ ვალერიან გაფრინდაშვილმა თარგმნა ედგარ პოს სამი ლექსი: „ჰიმნი გარმოდის და არისტოგეტონს“, „ანაბელ ლი“ და „ულალუმი“, რომელთაც „ცისფერყანე-

ლი“ პოეტის ყურადღება მიიპყრეს იდუმალ სამყაროში, ქალის იდუმალი სახისადმი მიძღვნილი სასიყვარულო განცდებით. ტრაგიკულსა და არამინიერს ხედავდა ვალ. გაფრინდაშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაშიც. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ მხრივ მისი ესე „ბარათაშვილი“, სადაც ვკითხულობთ: „შუალა-მისას, როდესაც მარტოობა გვიკარნახებს თავის კოშმარებს და ნევრასთენია მთრთოლვარე ხელებით გულზე ფოლაქებს იბნევს, გვაგონდება ჩვენ ბარათაშვილის ლექსები, მათი უინიანი და დაუზოგველი ჩურჩული, ბარბაროსულ რითმებით და უძველეს ეპითეტებით, რომელიც მეტოქეობას გაუწევენ სამუალო საუკუნეთა გობელენებს“ (2. .596).

ცნობილია, რომ რომანტიკული ესთეტიკის განუყოფელი ელემენტია სიმბოლურობა და სწრაფვა უჩვეულოსაკენ. სიმბოლური თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ყორნის სახე, ედგარ პოს ცნობილი ლექსიდან „ყორანი“. მისი ანალოგი გვხვდება ქართული რომანტიკული პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „მერანი“. ორი პოეტის შემოქმედებაში იდენტურია „მეამბოხე სულის“ ტრაგიკული განცდები და აღქმული ქვეყნისაკენ სწრაფვის მარადიული იდეაც. ამ მხრივ საყურადღებოა ედგარ პოს ლექსი „ელდორადო“ და მისი პარალელი ბარათაშვილის ლექსთან „მერანი“.

ელდორადო არარსებული, მითიური ქვეყნის სახელია, რომელიც ოქროსა და თვალმარგალიტის მდიდარი საბადოებით იყო განთქმული. მას სამხრეთ ამერიკაში დიდხანს ამაოდ ეძებდნენ ესპანელი დამპყრობლები. გადატანითი მნიშვნელობით, ელდორადო ზღაპრული სიმდიდრისა და სასწაულების ქვეყანას ნიშნავს. ეს სასწაულებით სავსე მსარე უხმობდა ედგარ პოს ლექსის ლირიკულ გმირს:



„არ აშენებდა მას არცა შიმშილი, და არც წყურვილის ტანჯვა...“

დადის დაწყევლილ წრეზე და სულ დაეძებს ის ელფორადოს...

ლექსის შინაარსის მიხედვით, დაღლილ რაინდს მოვლინა იდუმალი ჩრდილი, რომელ-მაც კითხვაზე: „როგორ მივაგნო ჩემს ელდო-რადოს?“ რაინდს მოუწოდა:

„გასწი, რაინდო, გასწიე სწრაფად!
მთვარის ჯადოსნურ მთებში, სადაც
ტირიან ბენელში,
სადაც ბორბალი ვერ გაქცევს ქარად,
სადაც სულების ოხვრა, სადაც ეშმაკის
მოდგმა,
სადაც დემონებს ცრემლები ართობს,
აი, სად ნახავ შენს ელდორადოს!“
(თარგმანი სტანისლავ ციბულსკის).


აღთქმულ ქვეყანას დაექცეს ნიკოლოზ
ბარათაშვილის მხედარიც, რომელიც თავდაუ-
ზოგავად მიაპოსს კლდე-ლრესა და წყალს,
ოლონდ იპოვოს საოცნებო მხარე, ადგილი,
სადაც ნახავს შესაფერ ასპარეზს მშვიდი ცე-
ოვრებისა და მოლვანენობისათვის.

ის დემონური საწყისი, რომელიც ნიკოლოზ
ბარათაშვილს ყმანვილობიდან სდევდა, თავ-
იდანვე არ ყოფილა პოეტის მიმართ ბოროტი
ზრახვით განწყობილი. ეს ხმა განუწყვეტლივ
მოითხოვდა მისგან საკუთარი ხვედრის ძიებას
გარემომცველ სამყაროში. ამ პრობლემას თა-
ვისებური ინტერპრეტაცია მისცა მიხ. კვესე-
ლავამ წიგნში „ფაუსტური პარადიგმები“. მისი
აზრით, ბარათაშვილს, ისევე როგორც გოეთეს
გმირს, ფაუსტს, ორგვარი ხმა ჩაესმის. ერთი
ანგელოსისაა, ხოლო მეორე – დემონის. თუ
ფაუსტისათვის ცნობილია ამ ორი ხმის წარმო-
მავლობა (ანგელოზებრი ზესკნელიდან, ხოლო,
ბოროტი სულის – ქვესკნელიდან), ქართველი
პოეტისათვის გაურკვეველია ეს და ამიტომაც
მიმართავს „უსახელ ძალას“:

„ანგელოსი ხარ, მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი, მაცოური ჩემი?
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ...“

„მისი გონება სულ იმ უხილავისა და იდუმ-ალის საზღვრისკენ მიიღტვის, რაც ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება. ეს საზღვარი შორსაა, ცის ხატების მიღმა „პირველად ქმნილ“ და არა „ამქვეყნიურ სივრცეში“ (4 .533).

ცხოვრების მკაცრ სინამდვილესთან შეჯახებამ შეარყია პოეტის ძლიერი სული.“ დავუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა-ო, წერს ერთ პირად წერილში ბიძას, გრიგოლ ორბელიანს. ჩანს, ის უჩინო „იდუმალი ხმა“ უკვე მკაცრ ბედისწერად ქცეულა მისი ცხოვრების გზაზე. თუმცა ხანდისხან ჯავრით ვაპირებ მასთან შებმას-ო, ესეც დაამატა, ალბათ იმის შიშით, სილამარე არ ესაყვედურა მისთვის ბიძას. აკი, თავის მართლებაც მოუხდა ამის გამო: „ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ, ღმერთმა დამიფაროს!... ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვის!-ო“ (7. 131-132). მოგვიანებით დაწერილ ლექსში კი სულით ობლობას უჩივის („სული ობლოლი“) და შვებას მხოლოდ ოხვრაში პოულობს. მკაცრ ბედზე ისევ იცვლება მისი აზრი 1838 წელს, როდესაც წერს ლექსს „ნაპოლეონ“, რომელშიც ცნობილი ფრანგი იმპერატორის სიტყვებით გადმოსცემს საკუთარი გულის პასუხს ბედისწერაზე: „არა, არა მრნამს, რომე ბედმა მე მიორგულოს, მე მან გამზარდა და თვისს გაწვრთნილს რაღა მიხერხოს!“ წლები მიდის და ტატო ისევ ოხრავს თავ-შესაფარი ტაძრის დაკარგვის გამო, ერთხანს თითქოს ლოცვაში პოულობს შვებას, მაგრამ, როგორც ჩანს, აპოთეოზს აღწევს მისი მოთმინება და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ებმება „შავს ბედთან“. სასტიკი ბედი-მდევრის სახე იკვეთება შავი ყორნის სიმბოლური სახით ლექსში „მერანი“ (თავდაპირველად, ლექსს „თავგანწირული მხედარი“ რქმევია). ილიკო ორბელიანის ლეკთაგან დატყვევება გამხდარა ერთგვარი საბაბი მეამბოხე სულისათვის, ბრძოლის უკიდურესი ფორმების გამოსახატავად. „უკან მომჩხავის თვალბედით შავი ყორანი“, – ჩანს ყორნის სახე „თვალბედითია“, გამთვალავია, დემონური ძალაა, რომელიც მარადიულ დაბრკოლებად იქცა პოეტისათვის პიროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვის გზაზე. „შავი ყორანი გამითხრის საფლავს“-ო, სინანულით შენიშნავს პოეტი. ამ შავ ძალას მხოლოდ სამარის გათხრა შეუძლია. აი, მთელი არსი ბოროტი სულისა, ავი ბედისწერისა, რომლის ტრაგიკული მსხვერპლიც გახდა ოცდაშვიდი წლის გენიოსი პოეტი. კიტა აპაშიძე წერდა: „...ვინ მიხვდეს და მისწვდეს საიდუმლოებას ცხოვრებისას. იქნება იმ შემთხვევამ, რომელმაც დაბადა იგი, ეგრეთი პირობანიც მიუსაჯა... მის პოეზისათვის სწრაფე იმ კაეშინთა და სევდით გამოწვეული გარემოებანი იყო საჭირო, რომელშიაც იმყოფებოდა ნიადაგ... ფუფუნება და განცხრომა აკლებს ძლიერე-



ბას გრძნობას, ტანჯვა და უსიამოვნება მეტის ძალით აგრძნობინებს პოეტს ცხოვრების მძიმე საიდუმლოებას, უფრო მეტის სიწრფელით აღსავსე კვნესას და გოდებას გამოიწვევს მასში” (ინტერნეტრესურსი). ეს ტანჯვა კი ყმაწვილობიდან სდევდა ბარათაშვილის ცხოვრებას. ამის უამრავი ეპიზოდი გვახსოვს მისი ბიოგრაფიიდან.

პიროვნული მელანქოლია ახლდა თან ედგარ პოს ცხოვრებასა და პოეზიას. მისი პირადი ცხოვრება დამძიმებულია ტრაგიკული მოვლენებით. ლარიბი მსახიობების შვილი, ჯერ კიდევ ორი წლის ასაკში დაობლებული, მდიდარი კომერსანტის ოჯახში აღმოჩნდა. სიმდიდრე არ აღმოჩნდა მისთვის ბედნიერებისა და სულიერი მისწრაფებების დაკამაყოფილების საშუალება. ედგარის პოეზიით გატაცება ძნელი გასაგები იყო მდიდარი გამზრდელისათვის, რომელსაც ერჩია რაიმე პრაქტიკული საქმისათვის მოეკიდა ხელი მის აღზრდილს. აზრთა შეუთავსებლობამ იგი ყოველგვარი ფინანსური დახმარების გარეშე დატოვა. აქედან დაიწყო მისი დაძაბული შრომა ჟურნალისტიკასა და ლიტერატურულ კრიტიკაში. მუდმივ ხელმოკლეობას თან დაერთო ახალგაზრდა და მეტად საყვარელი მეუღლის გარდაცვალება. მიუსაფარი, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს მიძალე-

ბული მწერალი, ნაადრევად, 40 წლის ასაკში დაიღუპა. პოს, რომლის აზრითაც „ყველა პოეტურ ტონთაგან მელანქოლია ყველაზე მეტად კანონზომიერია“, თავის ჭეშმარიტ მოწოდებად სწორედ პოეზია მიაჩნდა. როგორც რომანტიკოსს, მას იზიდავდა ყოველივე უჩვეულო, იშვიათი. მისთვის ფანტასტიკა იყო საშუალება ნაწარმოების იდეის უკეთ გახსნისა და ადამიანის სულიერი ყოფის ჯერ კიდევ ამოუცნობ შრებში შეღწევისათვის.

როგორც პოეტს, მას ავტორიტეტი მოუპოვა ლექსმა „ყორანი“ და ეს ავტორიტეტი განაპირობა ლექსის როგორც რიტმულმა და მუსიკალურმა ულერადობამ, ასევე მისმა იდეურმა შინაარსმაც. ლექსს მთელ მანძილზე რეფრენად გასდევს ყორნის ჩხავილი – „ალარასოდეს“, რომელსაც ლექსის ლირიკულ გმირს სთავაზობს დაუპატიუებელი ღამეული სტუმარი. გმირი სევდიანია საყვარელი ადამიანის დაკარგვის გამო და ცდილობს ძველი ფოლიანტების ღამეულ თვალიერებაში ჩაიკლას დარდი:

„...დილა ვინატრე გულდანყვეტილმა,
რაკი ვერ შევძელ ძველ წიგნებიდან
ისეთი რამე ამომეკითხა,
ვინძლო ჩამეკლა გულის ვარამი...“
(თარგმანი გიორგი ნიშნიანიძისა).



ლექსის მისტიკური ფონი მკითხველს თავიდანვე განაწყობს უცნაური მოვლენის განცდისა და ხილვისათვის. ეს უცნაური მოვლენაა შავი ყორანი, „ქუში, როგორც ყომრალი,“ „გულგოროზი“, „ამპარტავანი“, „გონჯი მიმიკით“, „კეთილის მაპრძოლი და მაოტებელი“, „ავბედითი“, აქ მოხმობილია უამრავი ეპითეტი ამ ბოროტი სულის დასახატად, რომელიც თავს უცნაურ სახელს უწოდებს: „აღარასოდეს“. ლექსის ლირიკული გმირი ცდილობს ჩაწვდეს ამ არსების შინაგან სულს, გაიგოს მისი მოსვლის მიზანი:

„ბილწო ხიზანო, იქნებ მაცთურო თუ გულთმისანო,
მე შენი თავი ვინ მომიგზავნა...“

მე ხომ ვიცოცხლებ მხოლოდ იმ ერთი,
მხოლოდ იმ ერთი სუსტი იმედით...
მარქვი, მაცთურო, მხოლოდ იმ ერთი
იმედით-მეტქი ხომ ვისაზრდოებ?
ხოლო მან ბრძანა: „აღარასოდეს“.

ლირიკული გმირი კვლავ ცდილობს გამოთხოვოს ყორანს იმედი, რომ მისი სული იმქვეყნად ხანდახან მაინც მისწვდება საოცნებო არსებას, მაგრამ ამაოდ... ყორანი მას უსპობს ყველა იმედს.

„მაშინ ბოროტო სულო, გამცილდი,
კვლავ გვაშორებდეს დრო და მანძილი...
აღილე შენი შავი ნისკარტი,
გულს უმოწყალოდ რომ მისისხლავდი...
განვედ, ცხოვრების ვით განმკიცხავი
და სიზმარეულს მიესასოვე...“

გმირის ამბოხს არად აგდებს ყორანი... ის აღარასოდეს დატოვებს მას:

„და კვლავ ბიუსტზე შავად მბოლავი,
როგორც ცივი და ქუში ყომრალი
ზის დემონივით შავი ყორანი...“

ყორნის სიმბოლოთი გამოხატული ბოროტი ძალა სამუდამოდ ეუფლება ადამიანის სულს და არ აძლევს მას მომავალზე ფიქრის საშუალებას. ასეთია ედგარ პოს მსოფლმხედველობა ფილოსოფიურსა თუ რეალური ცხოვრების ჭრილში. ამერიკელი რომანტიკოსის ლირიკული გმირი საზოგადოებისაგან მკვეთრად გამიჯნული, მხოლოდ საკუთარ ჩარ-

ჩოში მჯდომი სტერეოტიპია, რომლისთვისაც სულ ერთია სააქაო და საიქიო ცხოვრებაც. ედგარ პოსათვის რეალურ ცხოვრებასთან შეუგუებლობა გამოიხატება არა ბუნებასთან აბსოლუტურ თანაჩართულობაში, არამედ საშინელებათა მოძალების, შიშის ფენომენის გამძაფრებით. ის სიკვდილის მისტიფიცირების გზით ქმნის ადამიანის ისეთ ფსიქოტიპს, რომლისთვისაც ცხოვრება შიშისმომგვრელია და ერთგვარად მოძალადეც (5.237). ბარათაშვილი თავის პოეტურ სამყაროში მოიაზრებს ბუნების პირველქმნილი სილამაზის გარეგნულსა და შინაგან ძალებს, რომლებიც აცოცხლებენ მის განწირულ იდეალებსა და სულს შთაბერავენ მათ მომავალი, ახალი სიცოცხლის ასაღორძინებლად. „მერანის“ ლირიკული გმირიც ხომ თითქმის ახალი სიცოცხლის ზღურბლზე დგას, ბოროტი ძალისადმი დაუმორჩილებლობითა და არნახული ბრძოლის პათოსით ავსებული. ის თვით სიკვდილზე გამარჯვებული და ამაღლებული, დაუსრულებლად მიინევს წინ, სიცოცხლის უმაღლესი საზრისის მისაღწევად. ასეთი პათოსი კი მარცხით არასოდეს დასრულებულა. ეს იყო სწორედ ბარათაშვილის ბედისწერის მთავარი ნიშნული, რომელიც მის უკვდავებაში გარდაისახა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე კ. (1962), ეტიუდები; თბილისი;
2. გაფრინდაშვილი ვ. (1990), ლექსები, პოემა, თარგმანები.... გამომც. „მერანი“;
3. ინგლისური და ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგია (1885), ინგლისურიდან თარგმანი გ. ნიშნიანიძისა; გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;
4. კვესელავა მ. (1961), ფაუსტური პარადიგმები, წიგნი 1, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;
5. ქართული რომანტიზმი – ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები (2012), თბილისის შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი; გამომც. „საარი“, თბილისი;
6. ხავთასი გ. და სხვები (1985), საზღვარგარეთულილიტერატურისისტორია, რედ. ზ. ჭარხალაშვილი; გამომც. „განათლება“, თბილისი;
7. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკად. გამოცემა (2011), ტ.1, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი.





ცეკვა
კულტური

וְשָׁמַן וְשָׁמַן וְשָׁמַן וְשָׁמַן וְשָׁמַן

მთაზე აცვლისას და დგომის მოტივი ქართულ ლიტ-
ერაცურაში გიორგი მერჩელის „გრიგოლ ხანძთელის ზ-
ოვრებაში“ იწყებს შეაცვრულ წხოვრებას, გამოი-
ლის საცუცულებელს დიდი ქართველობის გულსა და გონიერას:
როცველის, გურამიშვილის, ალექსანდრე ფაფუავაძის,
გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ილიას,
აკაკის, ფაფუა... და მოაწერეს ჩერენაძე... მთიდან დაშვიტა.

కృతి పురుషులందు

მთას ვიყავ, მცველვალზე ვიდევ

(მთაზე ასვლა, დგომა და დაშვება)

ლიტერატურულ-სამეცნიერო ესე

ვაჟას ამ ლექსში მთავარია არა მხოლოდ მთაზე დღომის მოტივი, – რაც მთაზე ასევლის მოტივთან ერთად მხოლოდ ქართული ქრისტიანული კულტურის კულტურის კი არა, წარმართულ ქართული კულტურის კუთვნილებაცაა. სამწევაროდ, ამის, წარმართულის, დამადასტურებელი წერილობითი ძეგლები ჩვენ არ გავვაჩნია. მთაზე დღომი ამავე დროს ზოგჯერ წარმართულიც გახდავთ, ფსალმუნურიც. იუდაიზმის ძეგლი ჰქვია ფსალმუნს, თორემ ადამიანური ხედვანი და განცდანი ყველა ხალხისა ერთსა და იმავე დროში მსგავსია, ეპოქალურობის ნიშნით აღბეჭდილი: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილ-სა წმიდასა მისსა?“ (23,3) – კითხულობს მეფესალ-მუნე და თვითონვე ჰპასუხობს ისეთი მაქსიმებით, მოკვდავი კაცისთვის ყველა დროსა და სივრცეში მიუწვდომელი თუ არა, ძნელად მისაღწევი მაინცა რომაა, უშვიათესი! „არამედ უბრალო წელითა და წმიდად გულითა, რომელმან არა აღილო ამაობასა ზედა და არა სული თვისი და არცა ეფუცა ზაკვით მოყვასსა თვისს“ (23,4); ასეა ეს ზორიასატრიზმშიც „წმინდა გონება, წმინდა გული, წმინდა ენა და წმინ-და ხელი.

გრიგოლ ორბელიანი კი ასეთ პერიოდაზე შემოგვთავაზებს:

„ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად,
სულითა წრფელი, მშვიდი გულით,
ფიქრით განწმენდილ..,
ვინც ძლიერებას მძლევის სიტყვით
ამცნო სიმართლე
და ძმებს, დაცემულთ, მისცა ხელი
არსათგანადა“.

(იქნებ ილიას გავლენითაც დაიწერა? ამ დროს ილიას „პოეტი“ უკვე დაწერილია და სხვა მსგავსები კიდევ).

ამ ლიტერატურულ კატეგორიას „ფსალმური“ უწოდა ორბელიანმა და

თავის „ულმობელ კრიტიკოსს“, ილიას მეუღლეს, კნერია (კნიაგინია) ოლდა გურამიშვილს გაუგზავნა. მაგრამ ეს გაგზავნის პროცედურაც იალიან საინტ-ერესოა. გრიგოროვა წერილი მისწერა ილიას:

„ჩემი პატონი,

ବ୍ୟାକ ପରିଚୟ

დავტერდი და შევუდეგ სულის გზასა, ვჰეკითხე-
ლობ დავითნა და აი რა დადნა ამ კითხვისაგან. მა-
გრამ გთხოვ კი, რომ თქუცწვე წაუკითხოთ ჩემს ულ-
მობელს კრიტიკოსასა კნე: ოლღასა; თუ მოეწონოს,
ხომ რა კარგი, და თუ არა, აიღეთ კარანდაში, წაუს-
ვით და წამოუსვით, ისე რომ მაგ ლექსის სახსენებე-
ლიც აღარსად იყოს ჩემს შესარცხვევნელად. შემდეგ
მოყვანილია ლექსი „ფსალმუნი“. წერილს ასრულებს
ადრესანტის ვინაობა და დრო წერილის გაგზავნისა:

„თქუცინი მარადის ბედნიერების მსურველი

თ. გრიგოლ ორბელიანი

25-ს ოქნისს 1879...“

ამ თემაზე, ღმერთისადმი მისმაგვების
თემაზე, საუბარმა ჩემი ნამონაფარი სანდრო ქა-
რთველიშვილი გამახსენა, რუსულენოვანი, რომელ-
მაც ჩემი ახსნილის შემდეგ, – „ღვთის გარდამოხ-
დომა საწუთოში ეს მკურნალობის მეთოდია... ეს
ღვთისა ხდება ძე კაცისა, რათა ძე კაცისა მიმა-
დლებით ძე ღვთისად იქცეს“ (ირინეოს II ს.) – ეს
სიტყვები ვუთხარი მარტივად, როგორც მაცხოვარ-
მა დაიმდაბლა თავი და ადამიანს მიემსგავსა, ასევე
უნდა აიმალოს თავი ადამიანმა და მიემსგავსოს
ქრისტეს-მეფეზე. სანდრომ თანამედროვე ხედვით
მიპასუხა და გაკვირვებისაგან ლამის თვალები გად-
მომაყრევინა: „უყურე შენ, თავისითვის რა იოლი გაზ-
აურჩევია მაცხოვარს? ადამიანად ქცევას რა უნ-
დაო?!”

გამოგიტყდებით, ასეთი რამ, ქალი დავბერდი
სწავლასა და სწავლებაში და არასოდეს მომსვლია

თავში აზრად, არც მომისმენია ახალგაზრდისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ მითოლოგიაში სულ ასეა, მოკვდავი ადამიანების სახით ეცხადებიან ღმერთები მათ მიერ არჩეულ პერსონებს, ანუ თავს ჯერ იმდაბლებენ და მერე, ღვთიური სახით გამოცხადება მათი ადამიანებს კარგს არაფერს უქადის. ადამიანებზე ზრუნვის გამო ხდება ასე. მერე ბევრი ვითიქერე სანდორს შემოგდებულ იდებზე, რა ედო საფუძლად ჩემს განსხვავებულ დამოკიდებულებას საკითხებისადმი? – ქრისტესთან დაკავშირებული საკრალური იყო, ბერძნულ მითოლოგიასთან – ზღაპრული... არათუ ქრისტეს ადამიანად ქცევა, ის ხომ კაცი იყო „თვინიერ ცოდვისა“? ნებისმიერი დიდი ადამიანის „პატარა“ ადამიანად ქცევა ერთი უცებ არ ხდება, ის ტანჯვის გრძელ გზას გადის... მაგრამ ეს სხვა დროს...



ცეტევან ჯერვალიძე

მთაზე ასვლისა და დგომის მოტივი ქართულ ლიტერატურაში გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ იწყებს მხატვრულ ცხოვრებას, გამოივლის საუკუნეებს დიდი ქართველების გულსა და გონებას: რუსთველის, გურამიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ილიას, აკაკის, ვაჟას... და მოალწეს ჩენამდე... მთიდან დაშება.

მთა ეს მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი თემაა, ვერ ამოვწურავთ და ამაოდ დაკავერებით, მაგრამ მცირეს მანც ვიტყვით. მთა საკრალური მეცნიერების უდიდესი სიმბოლოა, ღმერთების დავანების ადგილი, როდესაც ყველა ხედავს მათ, ღმერთებს, ჭეშმარიტებას ცხადად, განსაკუთრებული უნარების გარეშე. სხვათა შორის, პოემა „ბახტრიონში“ ვაჟა ისე გადმოგცემს მთების თანამონაწილებისთვის მზადებას ბახტრიონის ბრძოლაში, თითქოს ყველა ხედავდეს და ეს ასეც უნდა იყოს თითქოს:

„დილის მზის სხივით იპოხენ
ქედებს კახეთის მთანია“.

ხედავენ ისე, როგორც ყველა ხედავს დაძრული ლაშარისთვის წმინდა გიორგის წინამძღვლობას:

„შადეგით“, ჰყვირის ლუხუმი,
სამკლავიანის ხელითა:
„ვერა ჰენახეთა, ბატონი
წინ მიგვიძლვება ცხენითა!“

ეს ხედავ ნორმა მთაში ქადაგისათვის და არა გამონაცლისი, მერე კი ხალხისთვისაც. რაც გამონაცლისი ხდება, ის იძურება და იფარება, უჩინარდება... სხვათა შორის დავითის ისტორიკოსისთვისაც წმინდა გიორგი ხილულად მიუძღვება დიდგორის ბრძოლაში ქართველთა ლაშეარს.

ამ საღვთო მთაზე არა მარტო აღსვლის და დგომის, დაშვების მოტივი და მომენტიც, უმნიშვნელოვანესია, ესოდენ აღსავსე ხან დრამატიზმით,

ხანაც ტრაგიზმით, ხანაც ცრემლნარევი ოპტიმიზმით:

არაბეთის პირველი მოყმისთვის, რომელიც ძალიან ჰყავს ჩვენს გრიგოლ ხანძთელს, ჩვენი ავთანდილისთვის, „ძონეულით მოსილისა და პიროქრორიდეანისთვის“, მთაზე მრავალმხრივი განსჯის შემდეგ, იქედან დაშვების მიზეზი კი ხდება დარწმუნება საკუთარი თავისა იმაში, რომ: 191. „ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“... ავთანდილისთვის სწორედ თავისი ადამიანური შესაძლებლობების ამონურვის შემდეგ, – მან ხომ ცის ქვეშეთი

მოიარა დაგალების შესასრულებლად? – მოდის ხსნა იქიდან, საიდანაც არ ელოდება, უვარგისი, უგემური, მქისი ქვეყნიდან. უგემური და მქისია ეს ქვეყანა, რადგან ის უადამიანებო ქვეყანაა: – 188. „მიჰევდა რასმე ქვეყანასა უგემურსა, მეტად მქისა, (ბ) თვე ერთ კაცსა ვერა ნახავს, ვერას შეიღლა ადამისასა“; ქვეყნის დახასიათება გემოს აღმნიშვნელი სიტყვით – საინტერესოა, არა?! იღიასთან გვაქვს დღის უგემურად რბოლა:

„იქ დღე პრბის დღესა, ვით პრბოდა გუშინ, ერთანირად და უგემურადა“, – („ჩრდილი“ თ. 10).

მე სოფელში ადამიანზე, მომისმენია, დიდი უგემური კაციაო.

ავთანდილის მიერ უგემური ქვეყნის მთაზე მიღებული გადაწყვეტილება, ვაკეზე, ალბათ ისევ „უგემური ქვეყნის“ ვაკეა, იცვლება ექვსი ცხენოსნის გამოჩენისა და მათთან გაბასების შემდეგ... ხდება ავთანდილის გაღწევა ჩაკეტილი – (ხელმოცარული უნდა დაბრუნებულიყო სამშობლოში) – წრიდან, უპერსპექტივობიდან პერსპექტივივაში გადანაცვლება და ეს ხდება უფლის შენევნით. „უგემური ქვეყანა“ თურმე ძალიანაც მაღლიანი ყოფილა. წმინდა ქრისტიანული ხედვაცაა ეს... ძირს დაშვება ავთანდილისა ფიზიკურად დროებითა. ის დასაბამი ხდება შემდეგ კვლავ მთის წვერზე აღსვლისა, როგორც სულიერი მთის მწვერვალზე მეტაფორულად, ასევე ამსოფლიურისაც, ავთანდილი ღირსი ხდება უფლის, მეფის, მარჯვენა მხარეს დადგომისა. მან დავალებას ნარმატებით გაართვა თავი: 1. ასრულებს სატრიფო მეფისა და სახელმწიფოს დავალებას; 2. ეხმარება უცხო ადამიანს, რომელსაც ერთი დანახვით იცნობს და დაუმეგობრდება 3. ადასტურებს რომ შეუცვლელია და ღირსი თინათონთან ერთად თანამეფობისა. ის მემკვიდრეობით კი არა მხოლოდ, (წონეული და პიროქრორიდებულები), დამსახურებითაც იღებს მეფობას; 4. ავთანდილი თანაბრად ემსახურება მეფეს ანუ სახელმწიფოს, რაც ფერდალური მსახურების ნორმაა და ქალს, რაც უკვე რენესანსული იდეალია.





მეფის პერსონაში გამთლიანდა ძველი და ახალი წესი – ფეოდალური და რენესანსული. ჩვენი „ვეფხ-ისტყაოსანი“ განმანათლებლური პოემაც გახლავთ, ბატონებო, რადგან სამეფო პერსონის აღზრდა ქვეყნისა და მისი შვილების ბედნიერი ცხოვრების საწინდრად იქცა. ფეოდალიზმი, რენესანსი და განმანათლებლობა – ღმერთო, განა ეს სასანაული არ არის?! ფეოდალიზმს ყავლი არ გასვლია, რენესანსი ჯერ არ დამდგარა, განმანათლებლობა კი, როგორც ეპოქა აზროვნების მრავალი მიმართულებისა, ბევრად გრიან იქნება.

„სანძთელის ცხოვრებაში“ გიორგი მერჩულე
გრიგოლის ასეთი განსაკუთრებულობის შესახებ
წერს: „ძალი ღმრთისად სადაცა დაადგრეს, ყოველ-
სავე აღასრულებს უფროსს ბუნებისა და ცნობისა
კაცობრივისა��“ [თ. 33]. ეს შეიძლება ჩვენი პოემის
ავტორზეც გადავიტანოთ.

მართლაც, შეეფერება ეს სიტყვები რუსთაველ-
საც. ავთანდილის პიროვნებაში სულიერი სიმაღლე,
რწმენა ღვთისადმი, მრავალმხრივი განსწავლუ-
ლება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
და ამა სოფლის იერარქიული ზეაღსვლა – მეფედ
გახდომა – აწონასწორებენ ერთმანეთს. „ქვენათ
ზეც“, ანუ ქვედა ზეცა, დედამინაც, ასე გააზრე-
ბაც კი ავთანდილს ეკუთვნის, ხომ ღვთის სამფლო-
ბელოა? და აი აქ, კინიკოსებისა და სტოკოსების
კოსმოპოლიტიზმიც შემოდის: „სახლ-საყოფი არ
ეყო და ცამცა გაიდარბაზესა“ – თან პიპერბოლა-
ცაა. – ბუნებაც ხომ ღვთის ქმნილებაა? უცნობი
ავტორის „დავით გარეჯელის საგალობელში“ კი
ვკითხულობთ: „ველთა ყვავილზი სათნოებისა ყუ-
ავილსა მიუძლუანებენ სულსა სულნებისასაო“ და
რაღა დარჩა ბარათაშვილამდე? ეს ბუნება, ტატოს
თქმითაც, ხომ ღმერთს სუნთხელების სახით სამად-
ლობელს აღუმლუნს?

„ძირს გამლილს ლამაზს ველსა ყვავილნი
მოჰკოვნენ, ვითა ტაბლას წმიდასა,

და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა
ალკმენებ სუნნელებას!”,

და ამ ბუნებას განსაკუთრებული ენა აქვა:

„մրճամս, ըռմ արև դնա րամ Տակդղմլու

უასაკოთაც და უსულოთ შორის,

და უკეთოველის სხვათა ენათა არს

მნიშვნელობა მათის საუბრის!“...

დღიდ გერმანელ პოეტს, ჰაინრიხს ჰაინძეს (1797-1856) ბუნების გრამატიკის შესწავლაში სატრფოს სახი ეხმარება:

„გრამატიკული მეცნიერობა

„გ. ავტო. კუთხ. ექიმ. უნ. და
უსაყვარლები წევეს საჭროების სახე“....

ვაუასა და ბუნებაზე სიტყვას აღარ გავაგრძლობთ...

უმთავრესი — სამყარო მინისა და ზეცის, ექვსისა (მიწა) და ცხრის (ზეცა) ჰარმონიული კავშირია. როდესაც მინის შვილთა კეთილი საქმენი, ზეცად ალინება, იქიდან ახალ მათლად მოეთქონება.

ქვეყანას და ადამიანიც მთის წვერზე დგას. ხოლო როდესაც კეთილნი საქმენი კნინდება, უპირველესად მსახურება სამშობლოსადმი, „მსახურება ქვეყნისა, მსახურებაა ღვთისა“ (გაბრიელ ქიქოძე), მაშინ „ცადსხივმიფუნი დიდებიდან“ (გრ. ორბელიანი) მხოლოდ დარღვეული ტაძარი რჩება „ოქროვანი საუკუნის“ – (სოლიმონ დოდაშვილი (1805-1836) ჩანს ამ ფორმულის – „ოქროვანი საუკუნე“ – XII ს-ის საქართველოსთვის მიმსადაგებელი) – მეფის გამოსახულებით...

ადამიანი და ეროც ვითომ თავისუფალია გზის
არჩევანში, მაგრამ ვაი, რომ თავისუფალი არ ყო-
ფილა, ის გარემოებათა მსხვერპლიც არის. ეს
გარემოებანი კი მრავალგვარია, ისტორიული,
გეოგრაფიული, ბედნეროსმიერნი... ის თან ღვთის
მორჩილებაშია და თან მთელ სამყაროსთან დიალე-
ქტიკურ კავშირშიც გახლავთ ჩაბმული თუ გაბმუ-
ლი...

სხვანაირადაც ხდება, როდესაც სულიერად გამარჯვებული ჩვენი ბათუსავით „ბარბაცით აივლის ხოლმე აღმართს“ (აკაკი); ან „გადივლის თოვლით შეკრულ მთის ყელებს ერთხელ მობრუნვით თავისა“ (ქეთელაური); ან ნინაპართა გვერდით დამარცხასაც ვერ ეღირსება (ჯოყოლა, ალაზა) (ვაჟა); ან გალ-აკტიონივით შეარიგებს ყოფნა-არყოფნას: „დღეს ყველგან მზეა და სილამაზე სიკვდილთან ჩემი შემ-რიგებელი...“

მათზე მდგომთ „ნაწუთისოფლარ, ნაბაზრალადაც“ მოსჩვენებიათ მთის ქვედა სივრცე მიტოვებული ღმერთით: „ნაწუთისოფლარ, ნაბაზრალი და უკაცური დაბლა მოსჩანდა მიდამო, ვრცელი და ლეგა“; წარმოიდგინეთ, ღმერთიც კი შეიძლება დარჩეს ერთი მმოსველის ამარა. ასეთი აშბავი მოთხრობილია იმპერატორ იულიანე განდგომილის შესახებ გადმოცემაში. ეს იცოდა იმანე საბანისძემაც და ამიტომ მიმართავს მწერალი თავის შამენელთ: „გხედავ თქუენ, ვთარცა ღმრთივ-ცნობილთა და ღმრთისა მცნობელთაო“, ანუ ამ კავშირის ორმხრივობაა ხაზგასმული; ან ზეციდან მინაზე დაშვებულთ სულის ნავსაყუდარიც უპოვაათ მინაზე, სადაც კაცს ღმერთი ისევე ელოდება, როგორც ზეცაში: „ფრთხებდაკეცილი დავეშვი თავქვე და ხატიტყეში, ბებო-პაპათ სულის წყაროსთან, ძედ ადამისად და შეგიცან სევდიან მოყმელ“ (ანა სულხანშვილი):

იმაზეც უფიქრია ქართველ კაცს, რომ აქ ადა-
მიანი სულ მარტოა, თავისი თავისუფალი ნების ამა-
რა, იქ კი ელის განკითხვა. ეს იდეა გატარებულია
ილიას „ოთარაანთ ქვრივში“ და თავისი წარმომავ-
ლობით ეს ბეწვის ხიდის იდეა ზოროასტრულია.
შოთა ნიმუშიანიძეც კი განაცალკევებს ბონდის ხიდსა
და ბეწვის ხიდს: „თურმე ბეწვის ხიდი იყო, მე მეგო-
ნა ბონდის ხიდი“. გაღმა გასასვლელად და საოც-
არი „ქართული ზღაპრის“ სახილველად პოეტისთვის
სწორედ ბეწვის ხიდია საჭირო, მართალ კაცს რომ
გაიყვანს და ცრუს რომ ჩაუწყდება....

ვიდაც „ცეცხლის მთას სანთოლივით იდგამს მხარზე“; ან მიცის კიდებული მთების ყვავილნარში ნათლობის რიტუალს ეზიარება, რათა ქრისტე და დალის მხოლოდმაბილი წული – ორივე საკრალური – შეათანხმოს მეტაფიზიკურ-ემპირიულს შორის დარღვეული ჰარმონისა და ალსადგენად:

„մուսկուլյար մեղքի դա մե, ամ մեղքն ըշազունարժու,

ისე ვდგები, ვითარც იესო იორდანის წყლებში...

მაგრამ ამ დაწენილ ბილიკს დალის მხოლოდ-შობილი

შვილი თუ ივლის და სული მისი მე საით მი-
ვის?..

ოცნებას დანაკლისი აღუვსე, ეკლესიავ!

რომ დალის მხოლოდშობილი წული

მოვიდეს შენსას ვით მესია?!”

ზოგთა მთაზე ასვლის და დეომის მიზანი კი ისაა, იმ სიმაღლიდან დასცინოს მისთვის მიუღებელ ადამიანებს თუ საზოგადოებას, როგორც ამის შესახებ დიდი გერმანელი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე (1797-1856) წერს თავისი ნარკვევის – „მოგზაურობა ჰარცზე“ – შესავალში:

„ავალ მთებზე და მწვერვალებიდან
გადმოგხედავთ დ დაგცინებთ მწარედ“
(თარგმანი ჯორჯვანელებისა).

მთა, როგორც წინაღობა ადამიანისთვის მიზნის მიღწვის გზაზე ვლადიმერ მაიაკოვსკისთვის (1893-1930) კი, მთა, სახელდობრ ყაზბეგის მთა, როგორც წინაღობა/წინააღმდეგობა და ძველი სიტმინდე, საჭიროების შემთხვევებში, ახალ ცხოვრებას ხელს თუ შეუშლიდა, მოსათხრელიც კი იყო:

„Если
Даже
Казбек помешает —
срыть!”
1924.

ასე ნერდა ის ლექსში „ვლადიკავკაზი – ტიფლისი – Владикавказ Тифлис“.

მთა, როგორც წინაღობა ადამიანისთვის მიზნის
მიღწევის გზაზე – გვაქვს ისეთ მშვენიერ ქართულ
ზმნაში როგორიცაა – ლახ-ავ-ს, გადა-ლახ-ა – გად-
უ-ლახ-ავ-ს; გალახა – დაძლიაო, დაიმორჩილაო,
სცემა, მოერაო. ლახუ ჩვენს სვანურში მთას ნიშ-
ნავს, გადა-ლახ-ა – გამოვა მთა გადაიარაო. ზმნაშიც
გადაიარა მთა უნდა გვექონდეს: გადა-ი-არ-ა – არ
ებრაულად სწორედ მთას ნიშნავს; ჰარა – მთაგო-
რანი ქვეყანა, ებრაელთა გადასახლების ადგილი
(I ნეშტ. 5. 26); სიტყვა ლახუ დავკარგეთ თითქოს,
მაგრამ ზმნიდან იჭყიტება მაინც ის მშვენიერი, თა-
ვისი არსით საკრალური ალბათ ოდესალაც და დღეს
პროფანირებული. ალბათ არ-ის შესახებაც იმავეს
გამეორება შეიძლება. თუმცა ეს მხოლოდ ესკიზია,
ჩანახაზი, დამზადება რომ სტირდება...

მაგრამ ძალიან ბევრი გვინახავს გატეხილი და ხელჩარენული ადამიანი, განრიცებული აქტიურ (კბ-

ოვრებას, თვითგვემას მიცემული, როგორც ვაჟას ლექსშია: „რად მოვალ, თავეკვე რად მოვალ, ჩემს თავს რად ვიხდი ტიალად?“ თითქოს მხოლოდ ადამიანზე იყოს დამოკიდებული ეს „დაშვება“ და როგორც აკავისთანაა ლექსში „აღმართ-აღმართ“:

„ჩემი თავი! ვეღარ გურნენ წამალით!
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით!

იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!“

ან როგორც ბულგაკოვის ოსტატი იტყვის:
„გამტეხეს!“...

57



არც სიზიფე (ჭკვილინი, ეშმაკი, მოხერხებული, მოუხელთებელი) უნდა გამოგვრჩეს, ბერძნული მითოლოგის გმირი, ანგარებიანი, სიკვდილის ღმერთი თანატოსი რომ შეპყრო, შებორკა და დაატყვევა, სიკვდილი გააუქმა და „ცათა ღმერთინი შეარისხა“, მერე კი ერთადერთი კაცი გახდა, რომელიც საიქონდან გამოიპარა. თვით მისი დაარსებული ქალაქის ფუძე სახელი კორინთოა, ქართულად ყორინთო. ძველ საბერძნეთში კ ყრუმევეთრი ო 0-სა და უ 1-ს ნინამავალ პოზიციაში ყ-დ გამოითქმოდა (ყორე-უქვეითკიროდ ნაგები კედელი: „ფიქრისას აგებს ყორესა“ (ვაჟა). სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგაც ამდენი ეშმაკობის ჩამდენს, მიესაჯა მთიდან დაგორებული ლოდის კვლავ მთაზე ატანა. სიზიფე გახდავთ საკუთარი არსებობის უაზრობაზე ამაღლებული და მასში ცხოვრების აზრისა და ამპარტაციების მპოვნებლი, როგორც აბსურდის ფილოსოფიის წარმომადგენელმა ალფრედ კამიუმ (1913-1960) დაგვიხატა თავის წიგნში „სიზიფეს მითი“ (1942). სიზიფე კამიუსთან უამრავ შეკითხვას უსვამს საკუთარ თავს ცხოვრებაზე, არსებობაზე და ვერ მიმღები პასუხებისა, აბსურდის კედლებს აწყდება, შეიძლება ვთქვათ – „ფიქრისას აგებს ყორესა“. აბა ტყუილად კი არ დაერქვა მითში სიზიფეს დაარსებულ ქალაქს კორ-ინთ-ო? აბსურდს კი წარმოშობს კონფლიქტი ადამიანის სურვილებსა და ობიექტურ რეალობას, შორის.

სულხანსაც აქვს არაკი „ლოდის დამგორებელი“, ოღონდა სულ სხვაგვარად გააზრებული: ლოდის ატანა კაცისთვის სხვება, დაგორება – სიცილი, სოფლის ამაღლებაზე სიცილი!

გვინახავს მთიდან დაშვებაზე, ჩამოსვლასა და დაგორებაზე უარესებიც. როდესაც გარემო ძალები გაიძულებენ, შეპრუნდე 180 გრადუსით. ფილოსოფიაში, დიალექტიკაში ამას ჰქვია საკუთარ დაპირისპირებულებაში გადასვლა, ამას უწოდებენ აგრეთვე მენტალურ რევოლუციასაც; ანუ იმას, რისთვისაც სიცოცხლეს განირავდი, ისევ სიცოცხლის გაწირვამდე რომ ებრძვი ახლა, შეპყრობილი „აპოკალიფსური ჟინით“ – „სანათლავად თუ ემბაზად ვიქტორ აპოკალიფსური ჟინის“ (ანა სულობ-).

m&g, №4, 2023





გია; ხოლო თუ ძვრა ვერ გიყვეს და დარჩი მწვერვალზე – ზეკარგი. ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ცხოვრებას აჯობე, „მე მიძლევის სოფელსა!“ (ი. 16. 33) – ნამოიძახებ რომელიდაც წმინდანივით, მაგრამ ამ ჯობით ან ღმერთს რა რჩება, ან – ქვეყანას, ან – შენ?! – აი ერთი „წყევლაკრულვიანი საკითხი“ ამ სოფლისა კიდევ!

ოჳ, რა ძნელია, გრამდეს, რომ მხოლოდ ტანჯული სულისგან იღებს ღმერთი მსხვერპლს, გრამდეს მაშინაც კი, როდესაც ზეპირად იცი კი არა, სმენითაც რომ არ გსმენია ბარათაშვილი და მისი „ვპოვეტაძარი“, როდესაც აღარ გინდა იყო მსხვერპლი და სიყვარულიც კი უძლურია ტაძარი ისევ აღგიგოს: „ვერდა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი“... და აღარ ძალგიძს შედგე ისევ „ტრფობისა მთაზედა“...

თუკი „გზა ზევით და გზა ქვევით თურმე მართლაც ყოფილა ტოლი?“ – (ანა სულხანშვილის პერიფრაზი ჰერაკლიტეს (540-483) სიტყვებისა „გზა ქვევით - ინი კათო და გზა ზევით – ინი აუ“ – ორივე გზა მთლიან წრეს წარმოადგენსო), – ადამიანს კი მისჯილი აქვს მიმორწევა „მადლისა და წარწყმედის თვალუწვდენელ უფსკრულთა შორის“ (ანა სულხანშვილი)? თუკი ამას ცრემლი, გლოვა და ნაცრის დაყრაც ვერაფერს შველის? მაშინ რამი მდგომარეობს ქეშმარიტად „ყვავილობა ყოფიერების?“ ყოველივე კარგისა და საუკეთესოს განქიქებაში? 1. სამშობლოსათვის სალალატოდ გაჭრაში? 2. ენის წაბილწაში? 3. ღვთისა და მრნამსის გმობაში, ბიბლიურ წარლვნად რომ ქცეულა დღეს და რასაც სიცოცხლის უარმყოფელი სექტები უხსოვარი დროიდანვე ბოროტებასთან ბრძოლის ფორმას ეძახდნენ?

ნაციონალური სამება

– არამც და არამც! ჩვენი ერის მითოსური ისტორია, აიეტიდან თუ დავინუყებთ, ბევრად მეტს ითვლის, ვიდრე ისტორიული ცხოვრება ფარნავაზიდან დაწყებული; აიეტი – ეს მთიდან დაგორების სამწუხარო მაგალითია, ფარნავაზი – მთაზე ასვლისა. ფარნავაზის ეპოქიდან ჩვენმა წინაპრებმა ორი ნაციონალური სამება გამოკვეთეს, ასე დაიმახსოვრა ჩვენი ერის კოლექტიურმა მეხსიერება: 1. მამული, ენა, სარწმუნოება, მერე კი ჩამოყალიბდა მისი მეშველი ახალი სამება: ქართლის ცხოვრება, ბიბლია, „ვეფხისტყაოსანი“ და საშობაო ნაძვის ხესავით უნდა ვევლებოდეთ მათ, მუხლისაუხრელად ვშრომობდეთ მათვების სიყვარულით, რუდუნებით, მოთმინებით, როგორც სწამდათ, ელოდნენ და შრომობდნენ ამისთვის ბიბლიური პატრიარქები, როგორც ეს დაინახა და ინამა სიცოცხლის ბოლოს ფაუსტმა და შესაბამისად, გოეთემ (1749- 1832), როგორც ეს

სწამდათ ილიას და ვაჟას, როგორც ითხოვს ჩვენი ქვეყნის დღევანდელობა: მშვიდობა, სწავლა და შრომა. ამ გზას დაადგა გრიგოლ ხანძთელიც თავისი სკოლით... „ცხოვრების პერსონაჟი“ – მშრომელი, „წამების პერსონაჟი“ მაღლა დადგა. ცხოვრებამ კი ქართულ ხალხურ პოეზიას ეს ასე გადმოათარგმნია: „კარგი მშრომელი გულადზე ათი გაფრენით მეტია“...

მშრომლის – მინის მუშავისა და მწყებისის ყოველდღიურ ჭაპანნეყვეტაში დაინახეს კაცობრიობის, სახელმწიფოს, ეთნოსის ხსნა, ანუ მთის მწვერვალზე დგომა, ჯერ კიდევ უძველეს შუმდინარეთსა და ეგვიპტეში; ამ ქვეყნებში პირველი ხნული სწორედ მეფეებს გაჲყავდათ და შუმერულ-აქადური „გუთნისა და თოხის გაბასებაც“ არის ჩვენამდე მოღწეული... ასევე უდგებოდა საკითხს ძველი ბერძენი პოეტი ჰესიოდე, (VII), ავტორი ნანარმოებისა „სამუშაონი და დღენი“, დიდი რომაელი პოეტი ვერგილიუსი, (-70-19) ავტორი „ბუკოლოკებისა“ და „ვეორგოკებისა“, ბიზანტიის პატრიაქ ფოტიოსის (820-896) თანახმად, ვინდანიუს ანატოლიუსს (IV) იმპერატორ იულიანე განდგომილის თანამედროვეს (361-363) ამ იმპერატორისავე ბრძანებით დაუწერია წიგნი „მინათმოქმედების შესახებ“, წარმართულ – მაგიური ნიუანსებით სავსეო. მერე ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის (905-959) ბრძანებით შექმნილ სამეურნეო ენციკლოპედიაში – „გეოპონიკა“ შესულა ნაწყვეტები ვინდანიუსის 12 წიგნიანი ნაშრომიდან. ბასილი ზარზმელმაც დიდი პატივით შემოსა სერაპიონ ზარზმელის მშობლები – მინის მუშავინი და საკუთარი ოჯახის გარდა, სხვათა გამომკვებაზეც. „ხანძთელის ცხოვრებაშიც“ შექებულია ფიზიკური შრომა პავლეზე დაყრდნობით; ჩვენმა მეფე-პიოეტმა არჩილმა კი ფიზიკურად მშრომელის, მინის მუშავისა და მწყების არსებობასთან გააგივა საერთოდ საქართველოს არსებობაც კი: გლეხი კაცი გადაშენდეს, საქართველო გარდაქარდესო...

და მაინც, ყოველ მომენტს, ქვეყნისა თუ ადამიანის ცხოვრებაში, თურმე, როგორც ილია გვმოძლვა-ვდა, გადასარჩენად მართლაც დროის შესაფერისი ხერზი და ღრმე სჭირებისა: მთაზე ასვლასაც, დგომასაც და დაშვებასაც: კავშირი მთასთან, ფიზიკური იწება ეს, თუ სულიერი – „ტანჯული ქვეყნის ოცნება ქვითინებს მთისა წვერზედა“ (ვაჟა), – არასოდეს უნდა გაწყდეს, „წამტნავთა შეზავებაც“ („ვითა ზე-მთისა წყარმან, მომრწყე ყვავილი ბარისა“ „ვტ“); უაღრესად საჭირო ყოფილა მთაზე დგომის გასაძლებად და გასახანგრძილივებლად კიდევ...



ქიბურეა-ჰუბლიცის სიკა

ნინო დარჩაისელი

ამა წლის 12 აპრილს, „კავკასიურ სახლში“ დაგეგმილი კონფერენციას „ელენე დარიანის დღიურების ავტორის ვიზიონის რის ვიზიონი“ ხომ როგორ ველოცი! მაგრამ მოლოდინის მღელოვარების კიდევ უფრო მიმძაფერებდა ფიქრი იმაზე, თუ კონკრეტულად რას იტყოდა ნაცონი ლევან შრევაძე თავის მოხსენებაში „უჩინარი დედის პრეკარეფი“, რომელი შეხეროვა პაოლო იაშვილის ლექს „წერილი ანა ახმაფოვას“, რომელიც მნი „ელენე დარიანის“ ფიცენის მით უურნალ „მეორნებე ნიამორებში“ გამოაქვეყნა 1922 წლის მერვე ნოემბრში და მერე ელენე მაქრაძემ, ჩვევისამებრ, მიითვისა და სათავისოდ გადაიკათა.

6. დარჩაისელი

59



ოლოვის მიზანი არ იყო მართვის და მოვლის მიზანი, არა მართვის და მოვლის მიზანი.

პირველი ქართველი პოსტმოდერნისტი და თანაც ქალი

(ერთი პაროდიული შტრიხიც ელენე ბაქრაძის პორტრეტისათვის)

ძვირფასებო, პოსტმოდერნიზმის ან გენდერის შესახებ კვლევებს მანდ, ახლომახლოში ვინმე ხომ არ აფინანსებს? ლიტერატურის მუზეუმის დირექტორობა მნდომებია, კი ვეცადე, მაგრამ რა ვქნა, არ გამომივიდა!

ახლა რამე სხვა უნდა ვცადო!

გამიგია, ჰაინრიშ ბიოლის ფონდი კარგ ფულებს იძლევა, გენდერულ რამეს თუ მოაქცევ კვლევის სათაურში, მაგრამ დავიგვიანე: ჯერ ერთი, ის ხელმძღვანელობა აღარ ჰყოლია და ახალი კიდევ – ეგრე ხელგაშლილი არა ჩანსო, თანაც, რაც მე მაგ ფონდზე ვწერე პირადად თუ საჯაროდ, აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია, რაღა გამომივია!

ახლა სულ ბოდიშები რომ ვუხადო, მაინც საეჭვოა, რამე გადმომიგდონ. არადა, პირველი ქართველი, ნამდვილი ლესბოსელი პოეტი ხომ აღმოვუჩინე ელენე ბაქრაძის სახით, ის ერთი და აგერ ახლა – პირველი პოსტმოდერნისტი ქალიც ჩვენია!

რა ბრძანეთ?

...დიახ, ისიც ელენე ბაქრაძეა!

ამა წლის 12 აპრილს, „კავკასიურ სახლში“ დაგეგმილ კონფერენციას „ელენე დარიანის დღიურების ავტორის ვრნაობა“ ხომ როგორ ველოდი! მაგრამ მოლოდინის მღელოვარებას კიდევ უფრო მიმძაფერებდა ფიქრი იმაზე, თუ კონკრეტულად რას იტყოდა ბატონი ლევან ბრევაძე თავის მოხსენებაში „უჩინარი დედის პრეკარედი“, რომელიც შეხებოდა პაოლო იაშვილის ლექსს „წერილი ანა ახმატოვას“, რომელიც მან „ელენე დარიანის“ ფსევდონიმით უურნალ „მეოცენებე ნიამორებში“ გამოაქვეყნა 1922 წლის მერვე ნოემბრში და მერე ელენე ბაქრაძემ, ჩვევისამებრ, მიითვისა და სათავისოდ გადაიკათა.

მჯერა, ჩემი არ იყოს, ბევრმა იცით ეს ლე-

ქსი ზეპირად და მაინც დავდებ მათთვის, ვისაც შეხსენება სჭირდება:

წერილი ანა ახმატოვას

მე მინდა გითხრა სამძიმარი, რომ ბლოკი მოკვდა!

ხანდახან ჩუმი და მძინარი მეცა ვარ ბლოკთან.

ჩამოდი ჩემთან. მე მგონია ვიქენებით დები:

თუ პეტერბურგის აგონია გიყვარს და ვცდები.

თბილისის მადლი და შვენება გიშველის, ვიცი.

ორივეს ერთად გვეჩვენება წასული პრინცი.

შენ დალალული გიბანია სხეული ნისლში...

ჩემი ქვეყანა ისპანია არი ივლისში.

მე ცოტა მიცნობს: სხვანაირი მეწვია ბედი.

შენთვის საჩუქრად მაქს დაირ და ოქროს გედი.

ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი ლოყებს აგინთებს;

აკოცე შენი ცივი ტუჩით თამარის თითებს.

როგორც ბიოგრაფიდან ცნობილია, მარიჯანის პოეზიის სალამოზე დასასწრებად მისულ ელენე ბაქრაძეს მარიჯანი, ძველი დაქალი, მსუბუქად რომ ვთქვათ, დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრია.

ოლქ. №4, 2023





ეს უკვე 1957 წელია, მთელი 35 წელია გასული მას შემდეგ, რაც ეს ლექსი გამოქვეყნდა.

მოგვიანებით საბოდიშოდ მარიჯანი რომ მას კლასელად მოიხსენიებს, რაც სრული ქრონოლოგიური აბსურდია, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასაკობრივი სხვაობა მათ შორის 7 წელია, ამის თაობაზე ადრე, წინა ოპუსში უკვე მოგახსენეთ. ისიც გითხარით, რომ საპასუხოდ ელენე ბაქრაძე მარიჯანს უძღვნის ლექსს, რომლის ხელნაწერიც გ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა თავისი წიგნის გარეკანის ბოლო, უკანა გვერდზე. ხოლო წიგნში პატიოსნად ალნიშნული აქვს, რომ მარიჯანისადმი მიძღვნილი ლექსი (1957!!!-ნდს) და „წერილი ანა ახმატოვას“ (1922!!!-ნდს) მსგავსებას ამჟღავნებს.

ლევან ბრეგაძის მოხსენება დევს ინტერნეტში, არ არის ძნელი მოსაძებნი, წაიკითხეთ და დარწმუნდებით, თუ რაოდენ დამაჯერებლად დასასაბუთა ავტორმა, რომ ლექსი „წერილი ანა ახმატოვას“ ეკუთვნის პაოლო იაშვილს.

ეს – ძალიან კარგი, სხვას არაფერს არც მოველოდი, გამოქვეყნებულ ვერსაიში ისიც მიუთითებს მარიჯანისადმი მიძღვნილი ლექსის მსგავსებაზე.

ესე იგი, რა გამოდის. ორმა მეცნიერმა უჩემდაც აღმოაჩინა, რაც აღმოსაჩენი იყო, მე რაღას ვიჩემებ!... თუმცა, როგორც იტყვიან, ჰაერზე რომ არ ვიღლაპარაკოთ, ჯერ მეორე ლექსიც ვნახოთ:

წერილი მარიჯანს.

მინდა დღეს გითხრა გულის ნადები თუმც ჩავიფერფლე დიდი ხანია.
მაგრამ მე მჯერა ისევ ვართ დები გვწვას ძველებურად ჩვენ პოეზია.
შენთვის საჩუქრად არ მაქვს დაირი,
არც ოქროს გედი მომიწვევია,
მხოლოდ მე მახსოვს შენი დარდები ჩემთვის წყლულები შეგიხვევია.
მე სხვანაირი მეწვია ბედი.
ის არ იყლებდა ჩემით გართობას,
თბილ თანაგრძნობით აღარ მოხვედი არ შემოგჩივლე მეც მარტოობა.
დღეს ჩვენი ხალხი გათბობს გვირგვინით წელთა გუგუნი შუბლზე განათებს.
იყავ დღეგრძელი. ჩემს გულისტკივილს სულ სხვა თაობა გაასამართლებს.

ელენე დარიანი.

1957წ. ტფილისი.



ახლა მე მარტო შესაბამის ადგილებს დაგიწყობთ თვალ-ნათლივობისათვის ჯერ პაოლო იაშვილის და შემდგომ ე. ბაქრაძის ლექსიდან, და – კავშირს ჩავურთავ შუაში მეტი მკაფიობისათვის, ხოლო დასკვნები თქვენ თვითონ გამოიტანეთ:

1. წერილი ანა ახმატოვას

და

წერილი მარიჯანს

(ამაზე იქნებ თქვენი ყურადღება არც გამემახვილებინა, მაგრამ მოგეხსენებათ, „წერილი“ – პოეტური ეპისტოლე – უანრია, თან ჩვენს შემთხვევაში – პაოლოს საყვარელი უანრი, დაწყებული მისი უცნობილესი ლექსით „წერილი დედას“, ამაზე ლევან ბრეგაძე გარკვევით მიუთითებს.

2. ორივე ლექსის დასაწყისი, პირველი ტაები

მე მინდა გითხრა სამძიმარი

და

მინდა დღეს გითხრა გულის ნადები

3. ვიქენებით დები

და

ისევ ვართ დები

4. მე ცოტა მიცნობს: სხვანაირი მეწვია ბედი

და

მე სხვანაირი მეწვია ბედი.

5. შენთვის საჩუქრად მაქვს დაირი

და ოქროს გედი.

და

შენთვის საჩუქრად არ მაქვს დაირი,

არც ოქროს გედი მომიწვევია,

და არსად არავითარი ბრჭყალები....

არის თუ არა ეს – პოსტმოდერნი!

არის თუ არა ეს – ავტორსა (ელენე ბაქრაძე)

და მეითხველს (მარიჯანი) შორის კონვენცია –

წინარე, ნაცნობი ტექსტით ირონიული თამაში.

რატომ ირონიული? ნიშნისმოგებით ინტონაციას

სულ ვერ გრძნობთ?

ხედავთ, რას ეუბნება ფინალში? გავიძეორო?

კი ბატონო!



იყავ დღეგრძელი. ჩემს გულისტვილს
სულ სხვა თაობა გაასამართლებს.

ამ ელენე ბაქრაძის ირგვლივ დაუსაბუთებელი ვარაუდებისა და კონტაციების ისეთი ბუღი დააყენეს, მეც ხომ შემიძლია, ერთი ვარაუდი გამოვთქვა, უბრალოდ, ოდნავი ინტერპრეტაციის უფლება მივცე თავს?!

ჰოდა ვაძლევ:

საკუთარ ინტენციას, ჩანაფიქრს ამჟღავნებს მარიჯანისადმი ლექსში ელენე ბაქრაძე.

ფინალში უკვე მკაფიოდ ჩანს, რომ ქართულ ლიტერატურაში საკუუნის ფალსიფიკაცია მოფიქრებული აქვს;

კარგად იცის, რას და რატომ აეთებს.

მისი ჩანაფიქრია, ახლა რომ ვახორციელებთ სწორედ, „სულ სხვა თაობებულები“!

ეს კიდევ არაფერი!

რას არის გადარჩენილი პაოლო იაშვილი და ქართული პოეზია, რომ იცოდეთ:

სხვა ქართველი და არაქართველი პოეტების ლექსები თავისი ხელით რომ ჰქონდა ე. ბაქრაძეს გადაწერილი, ამაში ცუდი რა არის, არ იყო ქსეროქსობანა მაშინ, არც კარგი წიგნები იშოვებოდა და ასე სხვაც ბევრი იქცეოდა. მართლა თავისი ბრალი ხომ არ არის, ლიტერატურის მუზეუმელ გამომცემლებს ამდენი ერთად რომ „შეემალათ“ და წიგნში, როგორც საკუთარი, ისე შეუტანეს, არა?

პაოლოს ამ ლექსის ამბავი განსაკუთრებულად იცით, რატომ მაინტერესებდა?

მდგომარეობაა – განსხვავებული. დოკუმენტურად დასტურდება, რომ ეს ადამიანი ძალიან სერიოზულ მიმოწერას აწარმოებდა ცისფერყანწელთა მკვლევართან ვალენტინა ბალუაშვილთან, რომელიც ანა ახმატოვას პირადად იცნობდა. რუსულად პაოლოს ლექსის ბწკარედებიც გაუგზავნა, როგორც თავისი. ეს მიმოწერა ლევან ბრეგაძის მოხსენებაშიცა.

კიდევ კარგი, ეს ამბავი არ გამოვიდა, თორემ მერქე გენახათ, ახმატოვას არქივში რომ აღმოჩენილიყო ქართველი პოეტესას მიერ ჯერ კიდევ ოციან წლებში მიძღვნილი ლექსი.

რუსი მკვლევარების გულმოდგინების ამბავი რომ ვიცი, აქამდე საღოქტოროები იქნებოდა დაცული ელენე ბაქრაძეზე. იქნებ ფოტოილუსტრაციებში განვითარის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნასაფლავარის ფოტოც გამოჩენილიყო.

თან ეს როგორ ლამაზად გაკეთდებოდა, ხომ იცით: ხომ ირწმუნებოდა, ელენე დარიანი მე ვარო, ნახევრად ხომ მართალიც იქნებოდა. ტონობით ფაქტი აქვს, ელენე დარიანს რომ ეძახიან მეტსახელად, (ის იქით იყოს, რომ სამგვარიანი ბაქრაძე – ბერიშვილი – ქართველიშვილი ადამიანის დაფიქსირება სამისამართო უბის წიგნაკში მთლად მოსახერხებელი ვერ არის, არ ეტევა და მინიმუმ, ეკონომიურობისთვის მეტსახელით ურჩევნია ადამიანს).

ვინდა გაარკვევდა, მეტსახელსა და ფსევდონიმს შორის განსხვავებას. ჩანდა ამის იმედად არ ამღვრიეს წყალი მისმა... აპოლოგეტება... და ცოტა კიდევ მეტებმა, ოლონდ არცთუუანგაროდ?

ხომ კიდეც გაუვიდათ აქამდე?

ვერ აიყოლიეს საქმეში ჩაუხედავი, გულუბრყვილო ადამიანების მთელი სიმრავლე?!

უილიამ ბლეიკის ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ ქრონოლოგიურად იგი ერთ-ერთი პირველი რომანტიკოსი იყო, თუმცა ამ მიმდინარების განვითარების ადრეულ სტადიას მან კვალი ვერ დაამჩნია, რადგან გვიან გამოქვეყნდა მისი შემოქმედებაო.


აქაც საბედისნერო დაგვიანებასთან გვაქვს საქმე!

ელენე ბაქრაძის გამოცდილების გაუთვალისწინებლად, წვალებ-წვალებით გაიკვალა ჩვენში გზა პოსტმოდერნმა, მაგრამ ჯერი ახლა ლიტერატურის ისტორიკოსებზეა.

დიახ! მათ უნდა შეავსონ ეს თეთრი ლაქა და ელენე ბაქრაძეს, როგორც პირველ და თანაცქალ პოსტ მოდერნისტს კუთვნილი ადგილი ახლა მაიც მიუჩინონ, სადაც ჯერ არს!

აბა, ყველა სამკაული შემოეცალა მასმედიით გულმოდგინედ ნაპიარებ ამ ათწლოვან კერპს და ცოდნ არ არის?!

მასაც ხომ უნდა რაღაც!





აკაკი დაუშვილი

რეზო ადამიას სიცუკიერ სამყაროში გზის გრძელე-

ვა ადვილი არა, განსხვავებული სტილით დაწერილი ტეატრის ალექსა მოუძირდებულ, კითხვაში გაუნაფავ მკითხ-
ვების გაუფირდება. რეზონ რეზოს ნააზრების დაკვირვებით
უნდა მიპყვე, არ უნდა გამოგრჩეს მნიშვნელოვანი ინ-
ფორმაციის შემცველი დეტალები. მკითხველი, რომელია
ლიტერატურა მხოლოდ გართობა და ლამის ანეფორმატიფ
დაუყვანილი ამბერი ჰერნია, რეზო ადამიას პროზას ახლო-
საჯ არ უნდა გაეკაროს. მის ნიგნებს ნამდვილი, მოაზ-
როვნე მკითხველი სჭირდება!

ა. ფაუშვილი

სამყაროს უსასრულობაში გაედინება". აი თურმე სად იკარგებოდა ნიკალა - უსასრულობაში.

ესეც უსასრულობაში ყოფნის დასტურად: „ნიკალა, ზეცის შუაგულ სიღრმეებიდან სრულიად განსხვავებულ მოკაშვაშედ ჩამონათდა და ყოველთ სულიერ მხსნელად დედამინაზე მშვიდად დაეძვა".

ესეც საინტერესოა: „ზეციურ, ლვთივ მოვლენი-
ლი ნიკალა, სულიერ გონებრივად, უფლის დონეზე ალიქმიდა გარემო სივრცეს. აკი ქვეყნის გამგებელი
და წმინდა გიორგი ახატებნებდაო ფიროსმანს".

აბა ესეც წაიკითხოთ: „მზე, ვარსკვლავეთით
და სავსე მთვარით ნასაზრდოებ ვაზის მნიშვე მტევა-
ნია ფიროსმანი, რისგანაც სრულიად საქართველოს
მაცოცხლებელი საამო უკვდავების ბადაგი უონავს".

დაბოლოს: „ლმერთმა მხატვრის განმარტოე-
ბული სული, აუცილებელ გადაიყვანა უკიდეგანო
სივრცის უსასრულობაში".

ნიკალას ნახატების თვალიურებისას, მუდამ
მჯეროდა რომ ნიკოს ფუნჯს საღებავთან ერთად
მირონი სდიოდა. ნიკალას პალიტრა მთელი სამ-
ყაროა. მხატვარს ყვითელი ფერი თუ დასჭირდებო-
და ფუნჯს მზეში ჩააწობდა, ლურჯი ფერი მოუნდე-
ბოდა და უძირო ცას დააწობდა, მწვანე ფერისთვის
კი ცაში ამოვლებულ ფუნჯს მზის სიყვითლეში ჩა-
ძირავდა. წითელი ფერი დასჭირდებოდა და ადამი-
ანთა ცოდვებისთვის გატანჯულ იესო ქრისტეს ეკ-
ლიანი გვირგვინიდან სისხლს მოსწმენდდა. ალბათ
ამიტომაცა მისი წითელი ფერი ასე მეტყველი.

დიახ, ნიკალა მრონმდინარე ფუნჯით ხატავ-
და. რეზო ადამიას ნიგნში ამის დასტურიც ამოვი-
კითხე. ავტორი წერს: „ლვთივკურთხეული ფუნჯის
მეშვეობით“.

სხვაგან გვეუბნება: „ნიკალა მსოფლიოს
ყველაზე დიდ ფერმწერებს ყოველგვარი მაღალი
ლირებით უდგას გვერდით თავისი ზემხატვრული
სიღრმეებით, იდუმალ მშვენიერების მიუწვდომ-
ლობითა და კოსმიურ-მინიერი, ჩვენთვის უცნაური

ფილოსოფიური მიროვნების მიზანი

და რეზო ადამიას მართალ ნააზრევი

„საქართველოა ფიროსმანი“ ასე ჰქვია რეზო ადამიას მორიგ ახალ ნიგნს (წიგნი გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით და მეცნიერებათა აკადემიის სტამპაშვერი), რომელიც ავტორის სხვა პროზაული ნაარმოებებივით გამოირჩევა ორიგინალური ხელწერით, სამყაროს მისეული, განსაკუთრებული ხედვით, აფორიზმების სიუხვით. რეზო ადამიას სიტყვიერ სამყაროში გზის გაკვლევა ადვილი არაა, განსხვავებული სტილით დაწერილი ტქესტების აღემა მოუმზადებელ, კითხვაში გაუნაფავ მკითხველს გაუჭირდება. ბატონ რეზოს ნააზრევს დაყვირვებით უნდა მიპყვე, არ უნდა გამოგრჩეს მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი დეტალები. მკითხველი, რომელსაც ლიტერატურა მხოლოდ გართობა და ლამის ანგედოტამდე დაყვანილი ამბერი ჰერნია, რეზო ადამიას პროზას ახლოსაც არ უნდა გაეკაროს. მის ნიგნებს ნამდვილი, მოაზროვნე მკითხველი სჭირდება!

ნიკო ფიროსმანზე დღემდე დაწერილი მხატვრული თუ დოკუმენტური წიგნებიდან რეზო ადამიას ნიგნი მკვეთრად გამოირჩევა. აქ აქცენტი გადატანილია არა მხატვრის ბიოგრაფიაზე ან ცალკეული ტილოების აღწერაზე, არამედ ნიკალას სულიერ სამყაროზე, სულის ისტორიაზე.

წიგნი ბევრ კითხვაზე იძლევა პასუხს. ასე, მაგალითად: ფიროსმანზე ფიქრისას ყოველთვის მაკვირვებდა ერთი რამ, ნიკოს ცხოვრებაში არის პერიოდები და საქმაოდ ხანგრძლივიც კი როდესაც მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის, მხატვარი ცხოვრებიდან უბრალოდ გამქრალია. ნეტავ სად უნდა ყოფილიყო ასეთ დროს ნიკალა? სწორედ რეზო ადამიას ნიგნში გასცა პასუხი ჩემს ამ კითხვას. თვალი მივადევნოთ ავტორის მსჯელობას: „სივრცის უსასრულობაში დრო ქრება და მარადიულობად გარდაიქნება“, „მზის სხივივით უწყვეტი ფერწერა ფიროს-

უფლისმიერი მოკრძალებითი გემოვნებით. უთუოდ ყველგან, მის სურათებში, ზეადამიანური ხედვა და წმიდათაწმიდა მკვეთრი გამხელაა თითქოს შენეულ ღვთიურისა“.

ესეც საინტერესოა: „ირგვლივი გარემო, კოს-მოსი, ქართული რეალურ-ირეალური მარადიული სამყარო და ღლიური მეხსიერება ქმნიდა ფერწერის ფუნჯით საოცრებებს“.

დაბოლოს, თავადვე ნიკო ფიროსმანი აღლარებდა, წმინდა გიორგი მაზის ფუნჯის წვერზე და მუდამ მქადაგებს: ხატე, ნიკალა, ხატე!

ახლა ეჭვიც არ მეპარება, რომ ფიროსმანის ფუნჯის მირონი სდიოდა და შესაძლოა ახლაც სდის.

ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის კოსმიურ გონიან, კოსმიურ მეხსიერებასთან დაკავშირება შეიძლება ვინმეს მწერლის ახირებად მოეჩვენოს, მაგრამ ეს უკვე რეზო ადამიას საფირმო ხელწერად ქცეული პლანეტარული განზომილებაა, სადაც მწერლის ფანტაზია ამოუწურავ მასშტაბებს აღწევს და არც რეალობასთან წყვეტს კავშირს. აი, კალმის მონასმი, რომელიც არავისში აგერევათ: „დროის, სივრცის და კოსმოსის გარემოცვაში, ნიკალა და მოუკიდებელი უძლიერესი ვარსკვლავეთური ფორმა სხივთ განზომილება გახლდათ, უთუოდ დადებითი ზეძალები მძლავრობდნენ, გრძელები მხატვრის იდუმალ ქმნილებათა თითქმის ფანტასტიურ შემოქმედებაში“.

სოფელ მირზაანში დაბადებული და გაზრდილი ნიკო კარგად ხედავდა როგორ იყვნენ ადამიანები მინას მიჯაჭვულები. მინაზე მოჰყავდათ ხორბალი და ვაზი, საქონელიც მინაზე ძოვდა ქორფა ბალახს. პატარა ნიკომ მინის ხმაც გაიგონა, როდესაც მინის გოროხებმა ხმაურით შთანთქა მამამისი. ნიკო ხედავდა, რომ თანასოფლელთა ფიქრები და იმედები მხოლოდ მინას დასტრიალებდა, მინას ვერ სწყდებოდნენ. მინა აპურებდათ, ქანცს აცლიდათ და გაუმაძლარ სტომაქში ინელებდათ. მინა იყო ამ ხალხის მარჩენალიც და ბატონიც, მინა ნიკოს დამონებასაც უსათუოდ შეეცდებოდა და ბიქმა თბილის მიაშურა. აქედან დაინყო მისი ცხოვრების ხანმოქლე და თავბრუდამხვევი თავგადასავალი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ნიკალა ქართულ მინას არასდროს მოსწყვეტია. უფრო მეტიც, მეორე ასეთი სულით ხორცამდე ქრთველი მხატვარი და შემოქმედი ძნელად თუ მოიძენება. პეიზაჟები, ნატურმორტები, პორტრეტები - თხემით ტერფამდე ქართული და ამავე დროს ზოგადსაკაცობრიოა.

რეზო ადამია ამ საკითხზეც დამაჯერებლად გვესაუბრება: „მიგდებულსა და სასიკვდილოდ განწირულს მხოლოდ საქართველო ელანდება თავისი მთა-ბარით, ვენახებით, ველ-მინდვრებით, ლურჯი ცით, მუდმარე მთვარე და სადღაც წყაროსთან საალდგომო ბატქნით“.

აქაც საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული: „ყოვლად დიდი სიმართლე თამამად უნდა ითქვას, სამყაროს, მზის, მთვარის, ვარსკვლავეთისა და

საქართველო

ფირმა ახ 60



63

დედამინა ქართული მისტიკისმიერი სიკეთისა და მშვენიერების შემოქმედებითი უპადლო ნაყოფია ნიკო ფიროსმანაშვილი“.

ამ მოსაზრებამაც ძალიან დამაფიქრა: „თვითმყოფადი მსუყე ფერთსიუხვის და უსაზღვროდ გაბედული შუქ-ჩრდილის, უკიდურეს კონტრასტული ფერ-ნათელი ფერმწერია ნიკო. ამ უმტკიცესი გზით ნიკალასუელი ალალი, ნაღდი და უნაკლო ვარსკვლავეთი ნათება საქართველო დაიხატა, თავისი ულამაზესი მუქი-ლურჯი, უძრო ცით, უმშვენიერესი მთა-ბარით და კეთილშობილ-ძლიერი შრომისმოყავრე ადამიანებით“.

ესეც მეტად დამაჯერებელია: „მხატვარი მხოლოდ უმუალოდ კეთილი უფალ კოსმოსიდან და მშიბლიური ბუნების, ხალხის გარემო ჰაერწიალი-დან იკვებებ-იმართებოდა, რითაც სულს ხატვავდა ალალად - მხოლოდ ქართულს, წმიდად-კეთილს, ნაღდს“.

ბარემ ესეც წავიკითხოთ: „მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი ის იშვიათი მოვლენა იყო, რომელზეც თანაბარი ძალისხმევით მოქმედებდა ვარსკვლავეთი და მშიბლიური მინა ქართული“.

ნიკო ფიროსმანი, ანრი რუსო, ფრიდა კალო - ასე მგონია, ხელოვნებათმოცდნებმა ამ გენიოს შემოქმედებს პრიმიტივისტი მხატვარები მხოლოდ იმიტომ უწოდეს, რომ სრულყოფილად ვერ ახსნეს მათი ტილოებიდან მომდინარე მომნუსხველი ძალის საიდუმლო, რითაც მთელი მსოფლიო დაატყვევეს. ფრიდა კალო სახლში იღებდა სამხატვრო გა-

ოლე №4, 2023





ნათლებას, მისი მეუღლე კი გამოჩენილი მექსიკელი მხატვარი დიეგო რივერა იყო. ანრი რუსო ყველაზე ცნობილ ტილოებში ეგზოტიკურ ჯუნგლებს ხატავდა, თუმცა საფრანგეთს არასოდეს გასცილებია. მხატვრობა ანრი რუსოსთვის ერთადერთი გატაცება არ ყოფილა - წერდა მუსიკას, უკრავდა ვიოლინოზე, თხზავდა პიესებს. აი, ნიკო ფიროსმანისთვის კი მხატვრობა სულის განუყოფელი ნაწილი იყო. კვლავ რეზო ადამიას მივმართოთ: „ნიკალა, როგორც მოვიხსენიებ, სხვა გენიებისგან განსხვავებით, ყოველგვარ ტექნიკურ-თეორიულ სწავლებას მოკლებული, უშუალოდ მგალობელ ველური მამალი, შავი-ნითელნისკარტა შეძვია“.

ან კიდევ: „სიამაყით ივსები, რომ ხედავ მხატვარს მცირედი გავლენაც არა აქვს არავისი და მთლიანად ქართულია, მხოლოდ“.

ესეც ანგარიშგასასწევი აზრია: „ფიროსმანს თავის სიცოცხლეში არავითარი ევროპულ-აზიური, თუ თბილისურ-ქართული სწავლა-განათლება არ მიუღია, როგორც ფერწერაში, ასევე თეორიულად“.

ეს კი რეზო ადამიას სტილში თქმული: „დროის, სივრცის და კოსმოსის გარემოცებები, ნიკალა და მოუკიდებელი უძლიერესი ვარსკვლავეთური ფორმა სხივთ განზომილება გახლდათ, უთუოდ დადებითი ზექალები მძლავრობდნენ, გრძეული მხატვრის იდუმალ ქმნილებათა თითქმის ფანტასტიურ შემოქმედებაში“.

ბარემ ამასაც გავეცნოთ: „თანამდევ, მუდმივად ლეთისმშობლის ხატის მირონივით პირველყოლობის არქაულ ხალასი, ველურ შორეული კულტურა უწყვეტად მოჟონავს, რომ ის მხოლოდ ერთადერთი მხატვარი ფიროსმანია დედამიწაზე და როგორც ზევით მოგახსენეთ, არაფრით არავის არ ჰგავს“.

ბოლოისთვის ესეც ნავიკითხოთ: „უთუოდ, ნიკო ფიროსმანაშვილი, თავისთავადობის, გამოკვეთილი ინდივიდუალურობის, დამოუკიდებელი მიუღწევადი თვითნაბადი ხელოვნების, შეუდარებელი მეუფეა“.

ნიგნში საქმაოდ ვრცელი პასაჟია ჩართული ივანე კეკუას მიერ საკუთარ სახლში, სოფელ ეკში, ძველკოლხურ, ეგზოტიკურ ოდაში ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმის მოაწყობას რომ ეხება. რეზო ადამია ამჯერად თხრიბის რეალისტური მანერით გვიყვება სულისშემძღვრელ, ტრაგიკულ ამბავს. ტრაგიკულს იმიტომ, რომ ოდაში ხანდარი გაჩნდა და ნიკოს ნახატები ფერფლად იქცა. მხოლოდ ორი ნახატის გადარჩენა მოასწორო კირილე ზდანევიჩმა, რომელიც ეკში ხანდრის გაჩენამდე ჩავიდა და ნახატები შეისყიდა. ცალკე ამბავია ღვინით მოვაჭრე ივანე კეკუასა და ნიკალას ახლო მეგობრული ურთერთობა. ივანე კეკუა ყოველნაირად ხელს უწყობ-

და ნიკალას, რის სანაცვლოდაც მხატვარმა მეგობარს თავისი საუკეთესო რამდენიმე სურათი აჩუქა.

რეზო ადამია ნიგნში სხვა საინტერესო საკითხებსაც ეხება. იმ მითზე, თითქოს ნიკო მთვრალი რომ ხატავდა ავტორი ამბობს: „ისინი, ვინც ზედმეტად აზვიადებდნენ ყოველივეს, თავადვე ყოველდღე უზომოდ სვამდნენ და ნაყროვანობდნენ. ოლონდ, ყოვლად უზრუნველყოფილ ჩაკეტილ უსაქმურ პირობებში“.

რეზო ადამია ამ ნიგნშიც აყენებს საკითხს, რომ თბილისში გამონახოს შენობა, სადაც ნიკო ფიროსმანის მუდმივმოქმედი გამოფენა მოეწყობა. ავტორი საკმაოდ ხისტ დასკვნას აკეთებს მათთვის ვისაც ამ საკითხის მოგარება ეხება: „ესაა გონებრივი სიჩლურებე, გულცივობა და სულიერი სიძუნენ“.

რეზო ადამია ძალიან საინტერესოდ გვესაუბრება საპარის ბუნებრივი გამოქვაბულის ნეოლითური ხანის შედევრ-ფრესკებზე და გენიალურ მხატვარ-ფერმწერლებზე.


რეზო ადამია მეცნიერ-ხელოვნებათმცოდნე პაპუნა წერეთლის მიერ მისთვის მოყოლილ, ფიროსმანის ნახატის აღმიჩენის ლამაზ და ერთი შეხედვით დაუჯერებელ ამბავს გვიყვება, როდესაც ქურთი ქალი, ნიკალას მუყაოზე ნახატით „კრუხი წინილებით“ ქუჩაში მოხვეტილ ნაგავს იღებდა.


რეზო ადამია გულდანწყვეტით წერს ნიკო ფიროსმანის დაკარგულ სამარტეზე: „იგივე ბედი ერია ადრეული ხანის საოცრება შემოქმედს, გენიალურ რუსთაველსაც. ეჭვებარეშე ნაფიქრალია, სადღაც ქვეყნიერების ზენარულ კანონ-ნუსხაში, კოლხურ-იბერიულ სივრცეს, მედეა, რუსთველ-ფიროსმანისეული მინა ჰქევია...“

დაკვირვებული მეცნიერებელი კიდევ სხვა საინტერესო საკითხებსაც აღმოაჩენს ნიგნში.

და ბოლოს, რეზო ადამიას ახალი ნიგნი „საქართველო ფიროსმანი“, ის ნიგნი არ არის წაკითხვისთავავე თაროზე რომ შემოდო და დაიგინიყო. არა, ნიგნი წაკითხვის შემდეგაც გაღლელებს, ბევრ რამეზე დაგაფიქრებს და გაიძულებს რომ კიდევ და კიდევ მიუბრუნდე.

„საქართველო ფიროსმანი“ რეზო ადამიას მარჯვედ მიგნებული სათაურია, ამ შედარებას ფიროსმანი ნამდვილად იმსახურებს. მე კი რეზო ადამიასეულად მინდა გავაგრძელო: საქართველო რუსთაველი, საქართველო ილია ჭავჭავაძე, საქართველო აკაკი წერეთელი, საქართველო გალაგ-ტიონ ტაბიძე, საქართველო ზაქარია ფალიაშვილი, საქართველო ლადო გუდიაშვილი... და საქართველო ყველა გულანთებული, თავდადებული მამულიშვილი.





გიორგი
სოლეალავაძე

